ევროპის პარლამენტი საქართველოს პარლამენტივით "აზროვნებს" A2

23 ნოემბრის არჩევანი A3

მალხაზა B6

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 23 ნოემბერი, 2004 წელი. №278 (827)

ფასი 50 თეთრი

ეკონომიკა

### პოლიტიკური შოუ ერთობის ლაიტმოტივით



გუშინ სპორტის სასახლეში ისინი იყვნენ თავშეყრილი, ვინც მატარებელზე შეხტომა მოასწრო. დარბაზი სავსე გახლდათ. ეს ერთი დარბაზი ხალხი დღეს ქვეყანაში ამინდს ქმნის.

A2

ეკონომიკა

### მოკრძალებული ღვაწლი პრობლემების ფონზე



"გვინდა, 2004 წლის 23 ნოემბერსაც ერთიანობის ის განცდა დაგვეუფლოს, როგორც ეს ერთი წლის წინათ იყო", - განმარტავს ქალაქის საკრებულოს ხელმძღვანელი.

A6

ეკონომიკა

### მოიპარე? სახელმწიფოს გაუყავი!

*რითი დაგვამახსოვრა თავი პოსტ "ვარდების რევოლუციურმა" პერიოდმა ყველაზე მეტად? ყველაზე მეტად რითი შეიძლება დახასიათდეს ის ერთი წელიწადი, რომელიც რევოლუციის შემდეგ გავიდა? ალბათ, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სამართლიანობის აღდგენის სახელით განხორციელებული ხმაურიანი დაპატიმრებებით.*

A7

გაზეთ "24 საათის" ანონსები შეგიძლიათ, მოისმინოთ რადიო "მწვანე ტალღის" ეთერში, FM 107.4

ამინდი

| | 24/11 | 25/11 |
|---|---|---|
| თბილისი | 8 | 8 |
| ქუთაისი | 11 | 11 |
| ბათუმი | 9 | 8 |
| სოხუმი | 3 | 8 |
| ფოთი | 9 | 8 |
| თელავი | 6 | 6 |
| ზუგდიდი | 9 | 11 |
| გორი | 5 | 4 |
| ახმეტა | 6 | 7 |
| ჭიათურა | 8 | 7 |
| გაგრა | 1 | 7 |
| სამტრედია | 11 | 10 |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7800 |
| ევრო | 2.3125 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.3014 |
| რუბლი | 0.0624 |

# თენდება!




ეს ფოტო გადაღებულია ერთი წლის წინათ რუსთაველზე, რევოლუციურ დღეებში, როდესაც მთელი ქვეყანა ახალი ეპოქის მოლოდინით სუნთქავდა. გიორგობის გათენებამდე ჯერ კიდევ ორი კვირა რჩებოდა, მაგრამ ყველაფერი უტყუარად მიანიშნებდა, რომ საქართველო უკან აღარ დაბრუნდებოდა.

23 ნოემბერს, 20 საათსა და 45 წუთზე, ედუარდ შევარდნაძე გადადგა და საქართველოს ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო. ზუსტად ერთი წელიწადი გავიდა...

ეს იყო დიდი მოლოდინის, დიდი გამოწვევების წელიწადი. იყო საქართველოს ერთიანობისთვის დიდი გამარჯვება და იყო ღალატი და შეცდომები; იყო აღფრთოვანება წინსვლით და იმედგაცრუება წარსულთან ანალოგიით.

მაგრამ, რაც მთავარია, ამ გათენებამ, ხანგრძლივი ძილის შემდეგ, გამოაღვიძა სახელმწიფოს სხეული.

ეს იყო ქმედების წელიწადი! და ეს არის მთავარი იმედი, რომ განთიადს ბრწყინვალე დღე მოჰყვება; რომ გულგრილობას სიამაყე შეცვლის; რომ გაჭირვება სამუდამოდ დატოვებს ქართველთა სახლებს; რომ გამარჯვების წყურვილს მოიკლავს ქართველი.

დღეს მომავლის საქართველოს დილა უდგას. ყველაფერი მოესწრება, თუ ქვეყანა ძილს არ შეიბრუნებს და ისევ სიზმრებში არ გაეხვევა.

ჯერ კი ისევ თენდება...

# ვარდები და ეკლები




## "ვარდების" არომატი

გიორგი ასანიშვილი

*"შენ მეისპე!" - გაცხარდნენ გურულები. "გვერდები აგვიდგა!" - გამოფხიზლდნენ კახელები და... "გაბრაზებული ხალხი" საქართველოს ყველა კუთხიდან თბილისისკენ დაიძრა. ასაკოვანმა მმართველმა უზარმაზარ ზეწოლას ვეღარ გაუძლო და, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, "სახლში წავიდა". ამ ისტორიული დრამიდან უკვე ერთი წელი გავიდა.*

რევოლუცია, კლასიკური გაგებით, სისხლისღვრას, მსხვერპლს, ძალადობას, არეულობას, ქაოსს გულისხმობს... თუ "ვარდების რევოლუციას" ამ საზომით მივუდგებით, გამოდის, რომ საოცრად გაგვიმართლა: რევოლუციის თანმდევი უსიამოვნო მოვლენები თავიდან ავიცილეთ, რევოლუციური შედეგი კი მივიღეთ.

ხელისუფლების სათავეში ვარდებით მოსულმა ქართველმა პოლიტიკოსებმა უხვად გასცეს დაპირებები. იმდენად უხვად, რომ გასული წლის ნოემბრის მოვლენები "იმედის რევოლუციადაც" კი მოინათლა. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ რევოლუციონერები, როგორც წესი, თავისი დაპირებების მძევლები არიან და ცდილობენ, უხვად გაცემული თამასუქები ნებისმიერ ფასად გაანაღდონ, თუნდაც ეს "ფასი" ქვეყნისთვის საზიანო იყოს.

გაგრძელება A2 გვერდზე

## მთავრობის ერთი წელიწადი

თამარ ხორბალაძე

*ერთი წელი არც იმდენად ბევრია და არც იმდენად ცოტა... საქმის გასაკეთებლად, იქნებ, ცოტაც იყოს, თუმცა შეცდომების დასაშვებად ნამდვილად საკმარისი დროა. ამიტომ, ერთი წლის თავზე მთავრობის მუშაობის შეფასებისას ვერც ძალიან მკაცრი იქნები და ვერც თვალის ბოლომდე დახუჭვას გაამართლებ, მით უმეტეს, რომ, ადრეც ვწერდით, საქართველოში დღეს "მთქმელის" აშკარა დეფიციტია.*

მთავრობას დღეს აქვს საფუძველი, იამაყოს, რომ 2004 წელს შეძლო:

ბოლო წლების მანძილზე პირველად გადაჭარბებით შეესრულებინა ბიუჯეტი და აგვისტოში გადაეხედა მისთვის არა შემცირების, არამედ - გაზრდის მიმართულებით;

გაეზარდა პენსიები თუნდაც რამდენიმე ლარით, მოემზადებინა საფუძველი მისი გაორმაგებისთვის და დაეფარა საპენსიო და სახელფასო დავალიანებები თითქმის სრულად;

მომავალი წლის ბიუჯეტში მინიმალური ხელფასი გაეზრდა 115 ლარამდე;

გაგრძელება A4 გვერდზე

## გვინდოდა უკეთესად, გამოვიდა როგორც ყოველთვის

### ეუთო, პასე, ევროკავშირი, ევროსაბჭო და აშშ: უკრაინის არჩევნები გაყალბდა

*21 ნოემბერს ჩატარებული უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური არ პასუხობს ეუთოს, ევროსაბჭოსა და სხვა დასავლური ინსტიტუტების სტანდარტებს. ისევე, როგორც პირველ ტურში, აღმასრულებელმა ხელისუფლებამ და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არ გამოავლინა ნება, რათა საარჩევნო პროცესი ჭეშმარიტად დემოკრატიული ყოფილიყო, - ასეთი დასკვნა გააკეთა ეუთოს საერთაშორისო დამკვირვებელთა მისიამ წინასწარ განცხადებაში.*

**უკრაინის ცენტრალური საარჩევნო კომისიის ოფიციალური მონაცემებით, ბიულეტენების 97,7 პროცენტის დამუშავების შემდეგ იანუკოვიჩს ამომრჩეველთა 49,7 პროცენტი უჭერს მხარს, ხოლო იუშენკოს - 46,7 პროცენტი.**

"ჩვენ უფრო სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი არჩევნების იმედი გვქონდა. ძალიან მიმძიმს, მაგრამ უნდა აღვნიშნო, რომ ხელისუფლება (უკრაინის - რედ.) არ გამოეხმაურა ჩვენს მოწოდებებს", - ამბობს ეუთოს სპეციალური კოორდინატორი ბრიუს ჯორჯი.

გაგრძელება A5 გვერდზე

A2 ამბები | A3 თვალსაზრისი | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 რეალიები

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 მალხაზა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

## აშშ ახალ დაფინანსებას აპირებს

გუშინ აშშ-ს ფინანსთა მინისტრის მოადგილე ჯონ ტეილორი კანცელარიაში პრეზიდენტ სააკაშვილს და პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას შეხვდა. საუბრის თემა იყო საქართველოს ეკონომიკური განვითარება "ვარდების რევოლუციის" შემდეგ, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმები და საინვესტიციო გარემო.

აპირებს თუ არა შეერთებული შტატები ახალ დაფინანსებას? - საქართველოს ხელისუფლების ამ შეკითხვას ტეილორი ამგვარად პასუხობს: საქართველო არის იმ 16 ქვეყანას შორის, რომელთა პროექტებს აშშ-ს მთავრობა დააფინანსებს. " ჯერჯერობით, დაზუსტებული არ არის, კონკრეტულად რომელი პროექტები დაფინანსდება, მაგრამ ახლოს ვართ გადაწყვეტილებასთან, " - დასძინა აშშ-ს ფინანსთა მინისტრის მოადგილემ. **24 საათი**

## საპატრულო პოლიციას ავტომანქანებით "ფოლკსვაგენის" ცენტრი ამარაგებს


*საპატრულო პოლიციას სამი ავტომობილის გასაღები გადაეცა.*

"ფოლკსვაგენის" ცენტრში, გუშინ ხალხმრავლობა იყო. "ფოლკსვაგენის" ოფიციალური დისტრიბუტორი ფირმის "Auto Hause"-ის გენერელურმა დირექტორმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა საქართველოს საპატრულო პოლიციას საზეიმოდ გადასცა საჩუქრად სამი ავტომანქანა. დასაჩუქრების საზეიმო ცერემონიალს საქართველოს საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელები და გერმანიის საელჩოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. როგორც "Auto Hause"-ის გენერალურმა დირექტორმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა განაცხადა, ავტომანქანები პოლიციას "ვარდების რევოლუციის" წლისთავთან და გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით გადასცეს.

სხვათა შორის, საპატრულო პოლიცია მთლიანად "ფოლკსვაგენის" ცენტრმა აღჭურვა ავტომანქანებით. წლის ბოლოს ცენტრი საპატრულო პოლიციისთვის 60 ახალ ავტომანქანას ჩამოიყვანს. როგორც თბილისის საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი ზურაბ მიქაძე აცხადებს, ნაჩუქარი ავტომანქანები პირად შემადგენლობას გადაეცემა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას მოემსახურება.

ცნობისათვის: საქართველოში საპატრულო პოლიციას სულ 135 "ფოლკსვაგენის" ტიპის ავტომანქანა ჰყავს. აქედან თბილისში 70 მუშაობს. "ფოლკსვაგენ პასატის" საბაზრო ღირებულება საშუალოდ 20 ათას ევროს შეადგენს.

სულ რამდენიმე ხნის წინ "Auto Hause"-მა 19 ავტომანქანა "ფოლკსვაგენ პასატი" პრეზიდენტის დაცვის სამსახურს საჩუქრად გადასცა.

*24 საათი*

## "ჩიბუხა", "ფუღო" და "ჭიმე" ჩვენებებს იძლევიან

სამართალდამცველებმა დააკავეს თბილისში და იმერეთის რეგიონში მოქმედი დანაშაულებრივი ყაჩაღური ჯგუფის წევრები - თემურ ხუჭუა, მეტსახელად "ფუღო", ირაკლი დარახველიძე, მეტსახელად "ჩიბუხა" და გია გოგინავა, მეტსახელად "ჭიმე." პოლიციის ინფორმაციით, "ფუღო" არასრულწლოვანის გაუპატიურებაშია ეჭვმიტანილი, "ჩიბუხა" - არველაძეების ოჯახზე განხორციელებულ ყაჩაღურ თავდასხმაში, "ჭიმეს" კი, საკუთარ ბინაში 5.7 გრამი მარიხუანა უპოვეს.

სამართალდამცველთა ინფორმაციით, სამივე დაკავებული საშიში დამნაშავეა, და შესაძლოა, მათ მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებში ბევრი სხვადასხვა ეპიზოდი გაერთიანდეს. სამივე დაკავებულთან საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება უკვე დაიწყო.

*მედია-ნიუსი*

## რაპოპორტი თბილისს 24-საათიან ენერგომომარაგებას დაჰპირდა

*გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან დახურულ კარს მიღმა გამართული შეხვედრის შემდეგ რუსული სახელმწიფო კომპანია "რაო ეესის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ანდრეი რაპოპორტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსული კომპანია მზადაა, საჭიროების შემთხვევაში თბილისისთვის ელექტროენერგიის იმპორტის მოცულობა 100-150 მეგავატით გაზარდოს.*

როგორც ანდრეი რაპოპორტმა გუშინ კანცელარიაში განაცხადა, თბილისში მისი ვიზიტის მიზანი, დედაქალაქის უწყვეტი ელექტრომომარაგების მიზნით, საქართველოს მთავრობასა და "რაო ეესს" შორის ორი თვის წინ ხელმოწერილი მემორანდუმის პირობების შესრულების მონიტორინგია.

**"საქართველოს მთავრობამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულა და, თავის მხრივ, "რაო ეესმა" თბილისის ელექტრომომარაგებისთვის ელექტროენერგიის იმპორტი რუსეთიდან და სომხეთიდან დროულად დაიწყო. საჭიროების შემთხვევაში, ელექტროენერგიის იმპორტი კიდევ გაიზრდება. ეს კი საჭირო გახდება მომავალი წლის მარტში, როდესაც ენგურჰესის გაჩერება იგეგმება. ყველაფერი გაკეთდება იმისათვის, რომ საქართველომ ელექტროენერგიის პრობლემების გარეშე გამოიზამთროს,"** - განაცხადა რაპოპორტმა.

ანდრეი რაპოპორტმა კიდევ ერთხელ უარყო ინფორმაცია, თითქოს რუსეთი აფხაზეთიდან იღებდეს ელექტროენერგიას, რომელსაც შემდეგ საქართველო ყიდულობს.

გუშინვე გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველოში, შესაძლოა, ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა დაიწყოს. საქმე ის არის, რომ როგორც "რაო ეესის" გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ და "თელასის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ანდრეი რაპოპორტიმ განაცხადა, რუსული კომპანია ირანის მთავრობასთან ახალ პროექტს განიხილავს, რომლის მიხედვითაც, ირანმა ელექტროენერგია რუსეთიდან უნდა მიიღოს. ამისთვის კი პროექტში უკვე ჩაება სომხეთი და აზერბაიჯანი. მისივე თქმით, ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა სომხეთ-საქართველოს შორის უკვე მიმდინარეობს, ხოლო რაც შეეხება აზერბაიჯანი-საქართველოს ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობას, ამის თაობაზე მოლაპარაკებები მიდის. რაპოპორტის თქმით, დეკემბერში "რაო ეესის" წარმომადგენლები ირანში ჩავლენ და ამ საკითხებს დაწვრილებით განიხილავენ. **"ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა საქართველოს შესაძლებლობას მისცემს, რომ სომხეთიდან ელექტროენერგიის იმპორტი დამატებით მიიღოს,"** - განაცხადა რაპოპორტმა.

*24 საათი*

# პოლიტიკური შოუ ერთობის ლაიტმოტივით

თამარ ხორბალაძე

*გუშინ სპორტის სასახლეში ისინი იყვნენ თავშეყრილი, ვინც მატარებელზე შეხტომა მოასწრო. დარბაზი სავსე გახლდათ. ეს ერთი დარბაზი ხალხი დღეს ქვეყანაში ამინდს ქმნის. ისე, გუშინ ვერ იყო კარგი ამინდი - წვიმდა. მაგრამ როცა გული საზეიმოდ "გულობს", წვიმა, თავსხმა და, საერთოდ, ბუნებრივი პირობები რა მოსატანია. მით უმეტეს, როცა თავყრილობა ჭერქვეშაა და შოუ კი ისე "ხმამაღლაა დაწერილი", ნებისმიერ ჭექა-ქუხილს გადაფარავს. ხალხს დროდადრო სჭირდება ხმაურიანი სანახაობა - იმის შესაგრძნობად, რომ "ბედნიერია". გუშინ სახელისუფლებო პარტიამ ასეთი პოლიტიკური შოუ მოაწყო.*


*რევოლუციური ტრიუმვირატი კვლავაც ერთიანია.*

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინ სპორტის სასახლეში "გაერთიანებული დემოკრატები" და "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" გაერთიანდნენ, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, ერთმანეთს შეერწყნენ და საბოლოოდ ჩამოყალიბდა პარტია, სახელწოდებით "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა", რომლის ხელმძღვანელობა გუშინდელი დღიდან ასე გამოიყურება: პარტიის თავმჯდომარე - პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, გენერალური მდივანი - გიორგი არველაძე, პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე - პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, აღმასრულებელი მდივანი - დავით კირკიტაძე, რეგიონული სამსახურის უფროსი - მიხეილ მაჭავარიანი.

რევოლუციური სამეულის სამი წევრიდან პარლამენტის თავმჯდომარე პარტიული თანამდებობისა თუ "დატვირთვის" გარეშე დარჩა - ცხადია, პარლამენტში ნეიტრალობის შენარჩუნების უსერიოზულესი მოტივით. სხვათა შორის, პარტიების გამაერთიანებელ ყრილობაზე დელეგატებისა და მოწვეული სტუმრებისთვის დარიგებულ ჟურნალებში, სახელწოდებით "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა," ვერც ბურჯანაძისთვის მოინახა ადგილი და ვერც ზურაბ ჟვანიასთვის. ერთადერთი "გაერთიანებული დემოკრატი", რომლის ფოტო და მოსაზრებაც ამ ჟურნალშია წარმოდგენილი, პარტიის რეგიონული სამსახურის ხელმძღვანელი მიხეილ მაჭავარიანია. პარტიულ-საგიტაციო გაზეთში ეს მდგომარეობა "ნაწილობრივ" გამოსწორებულია და მასში პარლამენტის თავმჯდომარის ინტერვიუს შეხვდებით. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ დეტალებია.

რევოლუციური სამეულიდან სამივე თავს მოვალედ რაცხდა, ხაზგასმით აღენიშნა, რომ "ინტრიგების ხლართვა მისთვის მიუღებელია", "ჭორები განხეთქილების შესახებ ბინძურია და უსუსური", "დღეს საქართველოს ერთიანობა სჭირდება" და ასე შემდეგ. მავანთათვის ამგვარი რიტორიკა კიდევ უფრო აძლიერებდა ეჭვებს იმის თაობაზე, რომ ერთიანობასთან დაკავშირებით პრობლემები, მიუხედავად პარტიული ლიდერების მტკიცებისა, მაინც არსებობს. ამ ეჭვებს კვებავს პარტიული დელეგატების ნაწილის - განსაკუთრებით, ახალგაზრდებისა და ხანშიშესული ქალბატონების განწყობა, რომლებიც ამ გაერთიანებისადმი საკუთარ უარყოფით დამოკიდებულებას გუშინ ერთმანეთთან და ზოგჯერ ჟურნალისტებთან საუბრის დროს სულაც არ მალავდნენ.

რევოლუციური ლიდერები კი, რევოლუციის წლისთავზე, ომახიანნი იყვნენ.

**"ერთი წელი საკმაოდ ცოტაა შეფასებისა და დასკვნების გაკეთებისათვის მაშინ, როცა ისეთი ქვეყანა გხვდება, როგორიც ახალმა ხელისუფლებამ ჩაიბარეთ,** - ამბობდა ნინო ბურჯანაძე, **- რა თქმა უნდა, იქნება კრიტიკა პარლამენტის მხრიდანაც, პარლამენტის მიმართაც. ჩვენი სიძლიერე იმაშია, რომ ჩვენ ერთმანეთისთვის სიმართლის თქმას არ გავურბივართ."**

**"ვარდების რევოლუციის" ხელმძღვანელებს შორის არის კამათიც და გაუგებრობებიც, მაგრამ მთელი პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, რომ ისინი კვლავ ერთად დგანან,** - აქცენტს, პრაქტიკულად, იგივე საკითხზე აკეთებდა პრემიერი ჟვანია და საზოგადოებას ანგარიშს აბარებდა, **- მთავრობამ 10 თვეში ერთი მილიარდი ლარით მეტი გადასახადი ამოიღო და 250 მილიონი ლარის დავალიანება დაფარა. ოპონენტებმა პოპულიზმად შეაფასეს ხელისუფლების განცხადებები პენსიების გაორმაგების და მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის შესახებ, თუმცა ეს ყველაფერი ან უკვე გაკეთებულია ან 2005 წლიდან შევა ძალაში. თუმცა ეს არის "ზღვაში წვეთი" იმისა, რასაც მოქალაქეები მთავრობისგან ელოდებიან. საქართველოს შესწევს ძალა, 3-4 წელიწადში ნამდვილი ევროპული სახელმწიფო გახდეს მოქალაქეთა შემოსავლებისა და ცხოვრების პირობების თვალსაზრისით."**

პრეზიდენტი სააკაშვილი კი, ტრადიციულად, ყველაზე ემოციური გახლდათ და ყველაზე ხშირად იმეორებდა: **"დღეს ყველას ერთიანი პოზიცია უნდა ჰქონდეს..." "სხვაგვარად ქვეყნის წინსვლა წარმოუდგენელია..." "პირველ რიგში, გვმართებს ბრძოლა შევარდნაძის ერთგულ მოსწავლეებთან და ქურდულ მენტალიტეტთან, რამაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქვეყანაში მყარად გაიდგა ფესვები... "ვარდების რევოლუცია" იყო ჩვენი ოცნების დიდებული მანიფესტი, რომელმაც ქართველ ხალხში მომავლის იმედი და რწმენა დააბრუნა და ეს, პირველ რიგში, არა რომელიმე პიროვნების, თუნდაც ჩემი, დამსახურებაა, არამედ თავად ხალხის... კორუფციამ ხელისუფლების ზედა ეშელონებიდან უფრო დაბალ დონეზე, რაიონულ გამგეობებში და სხვადასხვა სახელისუფლებო უწყებებში გადაინაცვლა, თუმცა ხელისუფლება ამ ვითარებასთან შერიგებას არ აპირებს... თავისუფლები ვიქნებით მხოლოდ მაშინ, როცა როკის გვირაბზე და ფსოუზე მსოფლიოში ულამაზესი ქართული დროშა აფრიალდება,"** - ასეთი იყო მიხეილ სააკაშვილის ემოციათა კასკადი...

# ევროპის პარლამენტი საქართველოს პარლამენტივით "აზროვნებს"

გიორგი ასანიშვილი

*"ვარდების რევოლუციის" წლისთავს ნინო ბურჯანაძე თავის საბრძოლო პოსტზე - პარლამენტში ხვდება და წარსულის ბატალიებს იხსენებს. "ერთი წლის წინათ ამ შენობის წინ ხალხი ევროპულ ღირებულებებს იცავდა," - აღნიშნა მან საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომაზე გამოსვლის დროს.*


ლევან ხერხეულიძის ფოტო

*ნინო ბურჯანაძე: "ერთი თვის წინათ ისეთი კარგი რეზოლუცია მიიღეთ, რომ უკეთესი ფორმულირებები ჩვენს პარლამენტშიც ვერ დაიწერებოდა."*

ამასთან, ნინო ბურჯანაძე მადლობას უხდის ევროპარლამენტის დელეგაციის წევრებს იმ მხარდაჭერისთვის, რომელსაც ევროპის პოლიტიკური საზოგადოება კრიტიკულ სიტუაციებში უწევს საქართველოს. **"ერთი თვის წინათ ისეთი კარგი რეზოლუცია მიიღეთ, რომ უკეთესი ფორმულირებები ჩვენს პარლამენტშიც ვერ დაიწერებოდა,"** - კმაყოფილებით აცხადებს სპიკერი .

მისი თქმით, ევროკავშირის წევრობა საქართველოს სანუკვარ მიზანს წარმოადგენს, თუმცა, ისიც ცხადია, რომ ამ მიზნის მიღწევა უახლოეს მომავალში ვერ მოხერხდება. ამიტომ, პარლამენტის თავმჯდომარე იმ ამოცანაზე საუბრობს, რომელიც ხელისუფლებამ დაისახა: **"ამ მოწვევის პარლამენტის უფლებამოსილების ვადაში, ანუ სამ წელიწადში ევროკავშირის ასოცირებულ წევრად გახდომა უნდა მოვახერხოთ."**

კომიტეტის სხდომაზე გამოსვლისას, ნინო ბურჯანაძე ქვეყნის საშინაო საკითხებსაც შეეხო. მისი თქმით, ვინაიდან პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი ერთიან გუნდს წარმოადგენს, არსებობს საფრთხე, რომ ხელისუფლება მიღწეული შედეგებით თვითკმაყოფილებას მიეცემა. სპიკერის აზრით, ასეთ ვითარებაში "მაღვიძარას" როლი პარლამენტმა უნდა შეასრულოს.

საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის გუშინდელი სხდომის მონაწილეებმა მიიღეს რეკომენდაციები, რომლებშიც ხაზგასმულია, რომ "ქართველ ერს ევროპის სხვა ერებთან საერთო მომავალი აკავშირებს და მისი ეროვნული ინსტიტუტების ინტეგრაცია ევროპულ სტრუქტურებში, როგორც ევროკავშირის, ასევე საქართველოს ინტერესებში შედის."

ევროპარლამენტი უკვე "მიეჩვია" სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესების "პროქართულად" აღქმას და ეს გუშინდელ ღონისძიებებზეც იგრძნობოდა: სხდომის მიერ მოწონებული ერთ-ერთი რეკომენდაცია შეიცავს მოწოდებას რუსეთისადმი, რომ მან "უფრო კონსტრუქციული როლი ითამაშოს კონფლიქტების მოგვარების პროცესში".

კიდევ ერთი საინტერესო ფრაგმენტი საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის მიერ გუშინ მხარდაჭერილი დოკუმენტიდან: "შესრულებული უნდა იქნეს 1999 წლის სტამბულის ეუთო-ს სამიტის დეკლარაციის პირობები საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე; გუდაუთის ბაზის დახურვა დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ეუთო-ს წარმომადგენლების მონიტორინგის ქვეშ; მიღწეული უნდა იქნეს შეთანხმება ბათუმსა და ახალქალაქში დარჩენილი ორი სამხედრო ბაზის დაუყოვნებლივ გაყვანის შესახებ; მოწონებული და მხარდაჭერილი იქნეს საქართველოს გადაწყვეტილება, რომელზეც პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაერო-ს ტრიბუნიდან ილაპარაკა, რომ რუსეთის ბაზების გასვლის შემდეგ, საქართველოს ტერიტორიაზე არც ერთი უცხო ქვეყნის ჯარი არ განლაგდება".

ევროპარლამენტის დელეგაცია დღეს ცხინვალში გაემგზავრება და კონფლიქტის ზონაში არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნობა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი საქართველოს ხელისუფლებისთვის სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოგვარების რეკომენდაციების შემუშავებას აპირებს.

# ევროკავშირი მზად არის, საქართველოს მხარში ამოუდგეს

საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს და პრემიერ-მინისტრს ზურაბ ჟვანიას შეხვდა. როგორც კომიტეტის თანათავმჯდომარემ მარი ანე ისლერ ბეგუინმა ქართველ ჟურნალისტებს განუცხადა, ევროკავშირი მზად არის, მხარში ამოუდგეს საქართველოს ხელისუფლებას და ქართველ ხალხს. ბეგუინის თქმით, ევროკავშირი უფრო აქტიურად ჩაებმება კონფლიქტების დარეგულირების საქმეში. " ამ ეტაპზე ყველაზე აქტუალური ცხინვალის რეგიონია, " - შენიშნა საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის თანათავმჯდომარემ. დღეისთვის დაგეგმილია ხსენებული კომიტეტის წევრების ცხინვალის რეგიონში გამგზავრება. უცხოელები კონფლიქტის ზონაში სიტუაციას ადგილზე გაეცნობიან. კომიტეტის წევრთა განცხადებით, ევროკავშირი საქართველოს რუსეთთან წარმატებული დიალოგის წარმოებაში დაეხმარება.

საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის ვიზიტის ფარგლებში, ასევე, დაგეგმილია აჭარის რეგიონის მონახულებაც. **24 საათი**

## მოკლედ

### არძინბას გადაწყვეტილებას, მოქმედი ხელისუფლების აგონიად აფასებენ

აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტობის დამარცხებული კანდიდატის რაულ ხაჯიმბას განცხადებას, რომლის თანახმად, მოქმედი პრეზიდენტი ვლადისლავ არძინბა 6 დეკემბერს უფლებამოსილების შეწყვეტას არ აპირებს, გამარჯვებული კანდიდატის სერგეი ბაგაფშის გუნდი "მოქმედი ხელისუფლების აგონიად" აფასებს. ბაგაფშის თანაგუნდელის სტანისლავ ლაკობას განცხადებით, "არჩევნებში გამარჯვებულ ოპოზიციას კარგად ესმის, რომ არძინბას გუნდს ხელისუფლების დათმობა არ სურს, მაგრამ დარწმუნებულია, რომ ამ სიჯიუტის მიუხედავად, 6 დეკემბრისთვის სოხუმში დაგეგმილი ახლადარჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია მშვიდ ვითარებაში ჩაივლის და მასში მოსახლეობის ის ორი მესამედი მიიღებს მონაწილეობას, რომელიც ბაგაფშს რეალურად უჭერს მხარს"

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებასთან გამართულ მოლაპარაკებებზე ოპოზიციამ არძინბას და მის ოჯახს ხელშეუხებლობის გარანტია მისცა, მოქმედი პრეზიდენტი არჩევნების შედეგების აღიარებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს და ინაუგურაციაში მონაწილეობას არ მიიღებს. ლაკობას განმარტებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თვითგამოცხადებული აფხაზეთის მოქმედ პრეზიდენტს უფლებამოსილება 6 დეკემბერს ეწურება და მისი უფლებამოსილების გასაგრძელებლად არანაირი საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან ცესკო-ს 12 ოქტომბრის და უზენაესი სასამართლოს 28 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, აფხაზეთში 3 ოქტომბერს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებში ოპოზიციის ლიდერმა სერგეი ბაგაფშმა დამაჯერებლად გაიმარჯვა. **ინტერ-პრესი**

### ხაჯიმბას მთავრობა ვიცე-პრემიერმა და სამმა მინისტრმა დატოვა

კრემლის მიერ აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრად ხელდასმული ნოდარ ხაჯიმბას მთავრობა ერთმა ვიცე-პრემიერმა და სამმა მინისტრმა დატოვა. გადადგომის შესახებ განცხადებები თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მთავრობაში ძალოვანი უწყებების კურატორმა, ვიცე-პრემიერმა ასტამურ თარბამ, უშიშროების მინისტრმა მიხეილ თარბამ, იუსტიციის მინისტრმა თენგიზ ლაკერბაიამ და ახალგაზრდობის საქმეთა და ტურიზმის მინისტრმა ასტამურ ადლეიბამ დაწერეს.

დაზუსტებული ინფორმაციით, პრემიერ-მინისტრის მიერ მოწვეულ სამთავრობო სხდომებს, რომლებიც რუსი სამშვიდობოების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე - ერთ-ერთ სანატორიუმში და სახელმწიფო აგარაკზე იმართება, მთავრობის წევრთაგან, პრაქტიკულად, აღარავინ ესწრება. **ინტერ-პრესი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** რუსეთსა და საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულება 90 პროცენტით შეთანხმებულია. ამის შესახებ რუსეთში საქართველოს ელჩმა ვალერი ჩეჩელაშვილმა განაცხადა, რომელიც ორდღიანი ვიზიტით სანკტ-პეტერბურგში იმყოფება. "ჩვენმა დელეგაციებმა კარგად იმუშავეს და ჩარჩო-ხელშეკრულება უკვე 90 პროცენტით შეთანხმებულია. დარჩენილ პრობლემებს საგარეო საქმეთა სამინისტროში კონსულტაციების დროს განვიხილავთ," - თქვა საქართველოს ელჩმა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შავი ზღვის აუზის ქვეყნების ("Black Sea Fore") სამხედრო-საზღვაო ძალების თანამშრომლობის ჯგუფის სწავლების მეორე ეტაპს საქართველო უმასპინძლებს. სასტუმრო "სიმპათიაში" 22-24 ნოემბერს "Black Sea Fore"-ის (თურქეთი, რუსეთი, ბულგარეთი, უკრაინა, საქართველო) სწავლების მეორე ეტაპთან დაკავშირებით კონფერენცია გაიმართება. ღონისძიებაში ყველა წევრი ქვეყნის წარმომადგენლები მიიღებენ მონაწილეობას. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**ოსიაური.** ხცისის პოლიგონზე გუშინ რეზერვისტთა მეშვიდე ნაკადის სწავლება გაიხსნა. ცერემონიას საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე დაესწრო. ახალი ბატალიონი, ძირითადად, შიდა ქართლის რეზერვისტებით არის დაკომპლექტებული. ამ შემადგენლობაშია თავდაცვის მინისტრის ძმა დავით ბარამიძეც, რომელიც 350 გორელ რეზერვისტთან ერთად წვრთნებს საველე პირობებში გაივლის. რეზერვისტებს შორის გიორგი ბარამიძის დეიდაშვილი და სიძეც არიან. რეზერვისტთა ბატალიონში პოლიგონზე მოწყობილ სახელდახელო სცენაზე დღეს "ქუჩის ბიჭების" კონცერტი გაიმართა, რომელშიც ნინი ქარსელაძემაც მიიღო მონაწილეობა, შედგა ჯგუფის ახალი კლიპის პრეზენტაციაც. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** "მე სააკაშვილს მხარი მარტო იმიტომ დავუჭირე, რომ შევარდნაძე შეცვალა. პოლიციას ვეუბნებოდი, რომ ხალხისთვის ცეცხლი არ გაეხსნა, ეს არის და ეს," - აცხადებს სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე, რომელიც შარშან, "ვარდების რევოლუციის" დღეებში მაშინდელ ოპოზიციას სოლიდარობას უცხადებდა. რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე დასწრებას კი იგი არ აპირებს და ამბობს, რომ მას ხელისუფლებისგან არც მოსაწვევი მიუღია. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი,
სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

არასამთავრობოები საარჩევნო კოდექსის პროექტს აკრიტიკებენ
რადიო მწვანე ტალღა თავისუფალი აზრის რადიო
**FM 107.4**
ხალხის ტრიბუნა ყოველ საღამოს შაბათ-კვირის გარდა 7-დან 8 საათამდე



**მირანდა ჩარკვიანი**
ფონდ "სამართლიანი არჩევნების" პროგრამების კოორდინატორი



**კოკი იონათამიშვილი**
მოძრაობის "ახალი თაობა - ახალი ინიციატივა" - წევრი



**ანა დოლიძე**
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილე

**წამყვანი** - რატი გარსევანიშვილი

**კოკი იონათამიშვილი:** საარჩევნო ადმინისტრაციის პროფესიული ნიშნით დაკომპლექტება სადავო არ არის, მაგრამ გასათვალისწინებელია ჩვენი შენიშვნები. გარდა ამისა, ჩემი აზრით პრეზიდენტს არ უნდა ჰქონდეს საარჩევნო აგიტაციის უფლება.

**ანა დოლიძე:** რატომ არ მოხდა ამ ცვლილებების ინიცირება ამ დრომდე და რატომ ჩაიგდო თავი ხელისუფლებამ ფორს-მაჟორულ სიტუაციაში. ხომ არ ხდება ეს მიზანმიმართულად, რათა საზოგადოებამ ხელისუფლებას ალტერნატივა ვერ შესთავაზოს, თუმცა კომიტეტის დათმობამ ეს ეჭვები გააქარწყლა.

**მირანდა ჩარკვიანი:** საარჩევნო კანონში ცვლილებები უნდა იყოს კომპლექსური და თანამიმდევრული.

# 23 ნოემბრის არჩევანი

### წერილი მეორე

დიმიტრი შველიძე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №277

### რატომ დასავლეთი?!

როგორც დღეს, ისე ერთი წლის წინ, საქართველოს წინაშე რამდენიმე სტრატეგიული ხასიათის მიზანდასახულება გახლდათ განსახორციელებელი: სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის უზრუნველყოფა; ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა; სოციალურ-ეკონომიკური აღმავლობა; დემოკრატიული საზოგადოების შექმნა; მეცნიერულ-კულტურული აღორძინება. 23 ნოემბრის მოძრაობის მხარდამჭერი ქართველი საზოგადოება სწორედ ამ მიზანდასახულობების განხორციელების პერსპექტივას გულისხმობდა, როცა სააკაშვილ-ჟვანია-ბურჯანაძის ტრიუმვირატს უჭერდა მხარს.

ზემოაღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად დახმარებისათვის საქართველომ დასავლეთს მიმართა. რატომ დასავლეთს და არა რუსეთს? ჩვენ ხომ მეზობლური სიახლოვით, ეკონომიკური ინტერესებით, უკანასკნელი საუკუნეების პოლიტიკურ-ისტორიული ურთიერთობით, ენობრივი ფაქტორით, კულტურული ტრადიციით და ბოლოს, რელიგიური მრწამსითაც უფრო ახლოს ვართ რუსეთთან.

რუსეთმა უარყო საქართველოსთან თანასწორი პარტნიორობისა და კეთილმეზობლობის ნიადაგზე დაფუძნებული ურთიერთობა. მან თავისი სამართალწინაპრის - საბჭოთა კავშირისაგან მემკვიდრეობად დაიტოვა იმპერიული ამბიციები, სუსტი ქვეყნების ტერიტორიების არაპირდაპირი, მაგრამ ფაქტობრივი ოკუპაცია, მათს საშინაო საქმეებში მუდმივი ჩარევა; სამხედრო გადატრიალებებისა და სამოქალაქო დაპირისპირებების პროვოცირება და ა.შ. ეს ყველაფერი საქართველომ საკუთარ თავზე გამოსცადა და დარწმუნდა, რომ ზემოაღნიშნული მიზანდასახულობების განხორციელებაში რუსეთი ზოგ შემთხვევაში არ და ზოგ შემთხვევაში ვერ დაეხმარებოდა: 1. იგი არ იქნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის გარანტი, რადგან ტრადიციულად მისი შემავიწროებელი გახლდათ; 2. იგი არ იქნებოდა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარანტიც, რადგან სწორედ ის გახლდათ მისი ფაქტობრივი დამრღვევი; 3. მისი დახმარებით საქართველო ვერ დაადგებოდა ეკონომიკურ-სოციალური აღორძინების გზას, რადგან რუსეთი საჭიროებს დასავლეთისაგან სულ უფრო მზარდ დახმარებას; 4. რუსეთი ვერ იქნებოდა პარტნიორი ვერც მისთვის მენტალურად მიუღებელი დემოკრატიზაციის სფეროში და ბოლოს; 5. დღევანდელი რუსეთი არც კულტურულ-მეცნიერული პოტენციალით წარმოადგენს ცივილიზაციის ავანგარდს, რომ ამ ასპარეზზე მაინც იყოს მისაბაძი ნიმუში.

ამ ყოველივეს საპირისპიროდ, 23 ნოემბრის მოძრაობის ხელმძღვანელ ოპოზიციას და მის მხარდამჭერ ქართველ საზოგადოებას გაცნობიერებული ჰქონდა და სჯეროდა, რომ ზემოაღნიშნული მიზანდასახულობების რეალიზაციაში საქართველოს მხოლოდ დასავლეთის ქვეყნების დახმარების იმედი შეიძლებოდა ჰქონოდა, ყოველ შემთხვევაში - პერსპექტივის, - ძნელი, რთული, თუნდაც ხანგრძლივი, მაგრამ მაინც, პერსპექტივის. ის, რისი იმედიც 23 ნოემბრის მოძრაობას ჰქონდა, ჩვენ თვალწინ განხორციელდა და რეალიზდება აღმოსავლეთ ევროპაში. ათეულზე მეტი ყოფილი "სოციალისტური" ქვეყანა დასავლეთის თანადგომით დაადგა სუვერენიტეტის განმტკიცების, ეკონომიკური ალმავლობისა და დემოკრატიის გზას.

განვლილი ერთი წლის მანძილზე დასავლეთმა, რა თქმა უნდა, რეალური შესაძლებლობებისა და თანამედროვე საერთაშორისო კონიუნქტურის ჩარჩოებში, არაერთხელ დაადასტურა საქართველოსა და მისი ახალი ხელისუფლებისადმი თანადგომა. პირველად ეს მოხდა ნოემბრის მოვლენების პერიოდში. შემდგომში, დასავლეთმა ცალსახად დაუჭირა მხარი აჭარაში საქართველოს ხელისუფლების იურისდიქციის აღდგენას. ეს ფაქტი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ დამოუკიდებელი საქართველოს უახლეს ისტორიაში. უკანასკნელი ათწლეულის დაშლა-დაქსაქსულობის მძიმე პერიოდის მანძილზე ქვეყანამ პირველად გადადგა ნაბიჯი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული და სახელმწიფოებრივი მთლიანობის აღდგენის მიმართულებით. ამ ურთულეს პროცესში, რომ არა დასავლეთის აქტიური პოლიტიკური თანადგომა, საქართველოს გაუჭირდებოდა რუსეთის ზემოქმედებასთან გამკლავება.

მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსთან თანამშრომლობისა და დაახლოების პროცესი. ივნისში ნატო-მ განიხილა ალიანსთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამა. სტამბოლის სამიტზე დადასტურდა, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონი ალიანსის სტრატეგიული ინტერესების სფეროს განეკუთვნებოდა. შემდგომში ამას მოჰყვა ნატო-სთან საქართველოს ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის ჯერ სამხედრო, შემდეგ პოლიტიკური ნაწილების დამტკიცება. თანამშრომლობის ინტენსიურად მიმდინარე პროცესის ფინალი გახლდათ ოქტომბრის მიწურულს ნატო-ს მიერ საქართველოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის გეგმის საბოლოო დამტკიცება, რაც თავისთავად დიდად მნიშვნელოვანი ნაბიჯია ალიანსთან ჩვენი ქვეყნის ინტეგრაციისაკენ.

ჩვენი საზოგადოების ნაწილმა ცხინვალის რეგიონში აგვისტო-სექტემბერში განვითარებული მოვლენები საქართველოს მხრიდან ცალსახა შეცდომად და მარცხად მიიჩნია. ამგვარი შეფასება საეჭვოა. პირიქით, სწორედ ამ მოვლენების შემდეგ ცხინვალის რეგიონის საკითხის გააქტიურება მოხდა: საქართველოს ხელისუფლებას შესაძლებლობა მიეცა, მკვდარი წერტილიდან დაეძრა პრობლემა და იგი დაკონსერვებულ მდგომარეობიდან საერთაშორისო-სამართლებრივ განხილვის ფორმატში გადაეყვანა. აქვე აღვნიშნავთ ერგნეთის ბაზრობის გაუქმების ფაქტსაც, რომელსაც დადებითი ეკონომიკური ეფექტი მოჰყვა საქართველოსათვის და ამდენადვე უარყოფითი - ცხინვალის თვითმარქვია ხელისუფლებისათვის.

### ინტეგრაციის შუქ-ჩრდილები

მაგრამ, დასავლეთის, როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური, ფინანსური თუ სხვა სახის მხარდაჭერა არ არის უანგარო. პოლიტიკური პარტნიორობა ორმხრივ თანამშრომლობას და ურთიერთვალდებულებებს გულისხმობს. დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციისათვის მხოლოდ დემოკრატიული საქართველოსათვის მოიძებნება ადგილი, დემოკრატიული გარდაქმნები კი რეფორმების გზით უნდა განხორციელდეს.

ეს პროცესი შორიდან ადვილი, მიმზიდველიც კი ჩანს და მისი დეკლარირებაც სასიამოვნო წარმოდგენებს აღგვიძრავს. მართლაც, რა ჯობს დემოკრატიული საქართველოს წარმოსახვას, სადაც ადამიანის უფლებები ოდნავადაც არ ირღვევა; სადაც სასამართლო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელია და მის დიქტატს ყურს არ უგდებს; სადაც ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობა ფუნქციონალურად გამიჯნულია და ჰარმონიულად მოქმედებს; სადაც ადამიანები სოციალურად დაცულნი არიან და საკუთარი შრომით მოპოვებული კეთილდღეობით ტკბებიან; სადაც... ერთი სიტყვით, ყველაფერი ისეა, როგორც შვეიცარიაში ან დანიაში.

მაგრამ, არსებობს სურვილი და არსებობს ნება; სიტყვა და საქმე. განვლილმა ერთმა წელმა დაგვანახა, რომ დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების უფრო მეტი სურვილი გვაქვს, ვიდრე ნება. ამ ერთმა წელმა ისიც დაგვანახა, რომ ევროპასა და საქართველოს შორის მანძილი უფრო გაზრდილია და იმაზე მეტი ყოფილა, ვიდრე გვეგონა. კაცმა არ იცის, როდის იყო ეს მანძილი მცირე, დღეს თუ მაშინ, როცა იბერიის მეფე ფარსმანი იმპერატორ ანტონინე პიუსთან სტუმრობდა რომში, მეორე საუკუნეში.

უკანასკნელი ხუთი საუკუნის მანძილზე ჩვენი ქვეყნის იზოლირებამ დასავლური სამყაროსაგან შედეგად გარკვეული გაუცხოების ატმოსფერო შექმნა. ჩვენ დავცილდით შავი ზღვის იქითა სივრცეს არა მარტო ტერიტორიულად და პოლიტიკურად, არამედ ცხოვრების წესით, მენტალობით, კულტურულ-ინტელექტუალური შემოქმედების მიმართებით. დღეს ამგვარი რეალური დისტანცირება აბრკოლებს რეფორმებს და დემოკრატიულ გარდაქმნებს, რომელთა არსი საქართველოს დასავლურ თანამეგობრობაში დაბრუნებაა. და თუ არ იქნა სურვილთან ერთად - ნებაც, დასავლეთთან საქართველოს ინტეგრაციას ვერ უშველის ვერც ზურაბ ჟვანიას ფრთოვანი ფრაზა - მე ქართველი ვარ ე.ი. მე ევროპელი ვარ, - და ვერც პირველი "ქართველი ევროპელების" ალმოჩენა დმანისში.

გარდა ზემოაღნიშნული ისტორიულ-პოლიტიკური გაუცხოებისა, არსებობს ფსიქოლოგიური ფაქტორიც, რომელიც ქართველ საზოგადოებას ერთგვარი თვითიზოლაციისკენ უბიძგებს. შესაძლოა, ეს ისტორიის ინერციაცაა. ოსმალურ-ყიზილბაშურ გარემოცვაში მოქცეულ ქართველობას მხოლოდ ერთი საზრუნავიღა დაუტოვეს - ფიზიკურ-სულიერი არსებობის შენარჩუნებისათვის მუდმივი ბრძოლა. ფიზიკური არსებობისათვის ხმალი და გუთანი იყო საჭირო, სულიერი არსებობისათვის კი - საკუთარ სამყაროში ჩაკეტვა. თვითიზოლაცია თვითგადარჩენის იარაღი გახდა. სუნიტურ-შიიტურ ექსპანსიას ჩაკეტილი საზოგადოების წესით უნდა დაპირისპირებოდა ქართველი საზოგადოება. რეალობა არსებითად არ შეცვლილა რომანოვებისა და ბოლშევიკების რუსეთის იმპერიების ორსაუკუნოვან ეპოქაშიც. რუსიფიკაციის საშიშროებამ ქართველ საზოგადოებაში თვითგადარჩენის ინსტიქტი და ფსიქოლოგიური განწყობა გაამძაფრა.

გასული საუკუნის დასაწყისში არჩილ ჯორჯაძე ქართველი კაცის ფსიქოლოგიური პორტრეტისათვის დამახასიათებელ ორ განწყობას გამოყოფდა, რაც, მისი აზრით, მაშინდელ ლიტერატურას ღრმად უნდა შეესწავლა და აღეწერა: ეს იყო, ერთი მხრივ, "ცვალებადი, გულუბრყვილო, მომხიარულე და მომღერალი ერის ხასიათი", მისი დაუღალაობა, სიცოცხლის წყურვილი, "მიუხედავად სასტიკ გარემოებათა, მუდმივი განუწყვეტელი ბრძოლა და ბრძოლასთან ერთად ლხინი", ხოლო მეორე მხრივ კი "გადაგვარების და მოსპობის აჩრდილი, რომელიც დაგვდევს ჩვენ ფეხდაფეხ და რომელსაც ჩვენი დაშინებული გონება ვერსად ვერ გაურბის". იგივე ფსიქოლოგიური განწყობა შენარჩუნდა და დამახასიათებელი გახლდათ ქართველი საზოგადოებისათვის საბჭოთა ეპოქაშიც და მნიშვნელოვანწილად დღესაც. თვითგადარჩენისა და თვითშენახვის ინსტიქტი, ცხადია, ბუნებრივია ნებისმიერი სოციალური და ეროვნული ორგანიზმისათვის, მაგრამ ამგვარი განწყობა როცა ყოვლისმომცველია, იგი თვითჩაკეტვისა და იზოლირებისაკენ მიაქანებს საზოგადოებას, პატრიარქალურობისა და ჩამორჩენილობისაკენ უბიძგებს მას. ის, რაც გამართლებული იყო ყიზილბაშობა-ოსმალობისა და რუსიფიკაციის დროს, გაუმართლებელი და დამღუპველია დღეს.

მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ეროვნულ-ეთნიკური საზოგადოებებისთვის, მათი თავისუფალი და თვითმყოფადი განვითარებისთვის ყველა საშიშროებამ გაიარა. დასავლეთი, ისევე როგორც ნებისმიერი ახალი მოვლენა თუ სამყარო, ორსახოვანი მახასიათებლებით და სტანდარტებით შემოდის საქართველოში. ერთი მხრივ და ძირითადად, ესაა პოზიტიური, ჰუმანური, დემოკრატიული, პარტნიორული, სოლიდარული ღირებულებების დამკვიდრება, რომლებსაც, შესაბამისად, პოზიტიური სახელმწიფო ან საზოგადოებრივი სტრუქტურები ახორციელებენ. ჩვენთვის მხოლოდ მისასალმებელი და საიმედო შეიძლება იყოს, როცა ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსი საკუთარ რეგიონულ წარმომადგენლობას აარსებს თბილისში ან როცა დასავლეთი რომელიმე კანონპროექტის ჰარმონიზაციას უწევს დახმარებას ევროპულ კანონმდებლობასთან, ან კიდევ როცა ჩამოსული ცნობილი როკ-მომღერალი დასავლური ხელოვნების პოპულარიზაციას ეწევა ჩვენს დედაქალაქში. ეს პოზიტიური ექსპანსიაა.

მაგრამ, არსებობს ნეგატიური დასავლური კულტურულ-ეკონომიკურ-პოლიტიკური ექსპანსიაც, რასაც ასევე ნეგატიური სტრუქტურები ახორციელებენ. ეს უკანასკნელნი ჩვენში მხოლოდ ეგოისტური, საკუთარი სარგებლიანობის მიზნით შემოდიან და ნაკლებად უწევენ ანგარიშს ადგილობრივ რეალიებს. დასავლური გავლენების ნეგატიურ ასპექტებს ჩვენში ხელისუფლებაც და მედასავლეთე წრეებიც რატომღაც არ ეხებიან. დასავლეთი რომ არ გაანაწყენონ? კი მაგრამ, საკუთარი რეალობის ნაკლოვანებებით განა დასავლეთში ნაკლებად არიან შეწუხებულები?

სამაგიეროდ, დასავლეთისა და მის მიერ საქართველოში დაფინანსებული არასამთავრობო ორგანიზაციების კრიტიკის და უფრო სწორად - ლანძღვა-გინების მისია სიამოვნებით აიღეს ხელში ანტიდასავლურმა ძალებმა. უკანასკნელთა მტკიცებით, ამ ორგანიზაციებს ძირითადად ამერიკელები, ასობით მილიონ დოლარს ახარჯავენ. მათი საქმიანობა მხოლოდ ეროვნული ცნობიერების დაბნელებას, ზნეობის შერყვნას, ტრადიციების მოსპობას ემსახურება. ის, რაც დასავლეთიდან საქართველოში შემოდის, მხოლოდ მავნეა, მტრულია და ქართველი ერის გადაშენებას ისახავს მიზნად. მათი ამოცანაა, ქართველმა ხალხმა "უარი თქვას საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებელ მფლობელობაზე და გადაიქცეს ოფიციანტთა, დარაჯთა, მენაგვეთა და მეძავთა უსიტყვო ბრბოდ. აუცილებელია ეროვნული თვითშეგნების სრული მოსპობა!.." ეს პროცესი ამერიკელებმა და მის მიერ დაფინანსებულმა ორგანიზაციებმა, საქართველოში ე. შევარდნაძის დროს დაიწყეს, მაგრამ დღეს, 23 ნოემბრის მოვლენების შემდეგ, ამ ორგანიზაციების საკადრო შემადგენლობა სახელმწიფო სტრუქტურებში გადაბარგდა და იქ შეუდგა თავისი საშინელი ჩანაფიქრის "საბოლოო გადაწყვეტას". უნუგეშო სურათია. ოკეანის გაღმა-გამოღმელთა ამ მზაკვრული გეგმების გაცნობიერების შემდეგ, ერთი გამოსავალიღა გრჩება - იმედის თვალი კვლავ ძველ, ნაცად უფროს ძმას მიაპყრო და რამდენიმე ათეული წლის წინ თქმული ერთი სიბრძნე იწამო - მზე ჩრდილოეთიდან ამოდის.

ისევ პირველსავე სიტყვას მივუბრუნდეთ. შარშანდელი 23 ნოემბრის შემდეგ რეალურად დაიწყო ის, რასაც საქართველოს დასავლურ-ევროპულ სივრცესთან ინტეგრაციას ვუწოდებთ. ამ უნივერსალურ პროცესს ალბათ აქვს გარკვეული ნეგატიური ასპექტები, რომლებიც უნდა გამოცალკევდეს საერთო-პოზიტიური კონტექსტიდან. რა არის იმაში გასაკვირი, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ნებისმიერი უცხოური სტრუქტურა ხელმძღვანელობს საკუთარი სარგებლიანობის ინტერესებით. თუ მასპინძელმა ქვეყანამ სტუმარს ყველაფერი ისე დაუთმო, როგორც მას მოეპრიანება, მაშინ მართლაც მოსამსახურე პერსონალის საზოგადოებად ვიქცევით. მაგრამ არსებობს მეორე გზა - სახელმწიფოებრივი, კულტურული, ეკონომიკური, პოლიტიკური ინტერესების დაცვის გზა, რომელიც პარტნიორებთან ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებას და კომპრომისებს გულისხმობს. გავიხსენოთ: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი დიდ სიკეთეს გვპირდება ჩვენც, აზერბაიჯანსაც, თურქეთსაც, სხვებსაც, მაგრამ პრინციპული პოზიციის გამოთქმის შემდეგ, ჩვენმა პარტნიორებმა გაითვალისწინეს და აღკვეთეს ბორჯომის ხეობის ეკოლოგიური საფრთხე.

### რეფორმისტები, ანტირეფორმისტები, ფსევდორეფორმისტები

რეფორმების განხორციელების დაწყება დეკლარაციული არჩევანიდან საქმეზე გადასვლის და ახალი ხელისუფლების ნების გამოვლენის პირველი სიმპტომი იყო. ივნისში, თბილისში ჩამოსული ევროსაბჭოს სამდივნოს საინფორმაციო და დახმარების მისიის ხელმძღვანელი ჟან ლუი ლორანი აღნიშნავდა, რომ საქართველოში ნამდვილად დაიწყო "დაუსჯელობის სინდრომის შემცირება" და "სერიოზული ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია".

რეფორმებთან მიმართებით, როგორც ურთულეს და წინააღმდეგობრივ პროცესთან, საქართველოს მოსახლეობაში რამდენიმე ბანაკი ჩამოყალიბდა. არსებობს რეფორმების აშკარა თუ ფარული მოწინააღმდეგეების ჯგუფი, რომლის წარმომადგენლებიც რეფორმისტებს ანტიეროვნულ ძალებად და კოსმოპოლიტებად მიიჩნევენ. ესენი ძველი ნომენკლატურის ან სხვა შემთხვევაში, ანტიდასავლური ორიენტაციის მქონე ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლები არიან, რომელნიც ბოლომდე დარჩებიან თავიანთ პოზიციაზე, რაც არ უნდა მოხდეს, რადგან სხვაგვარად არ ძალუძთ.

დაახლოებით ამგვარივე ანტირეფორმისტული განწყობა აქვს მეორე ჯგუფსაც. მას უფრო ტრადიციული ღირებულებების მატარებელი, საშუალო ფენების, ინტელიგენციის წარმომადგენლები შეადგენენ, ისინი შეშფოთებით უყურებენ ნეგატიური დასავლური გავლენების უკონტროლო ექსპანსიას და გულწრფელად შიშობენ შესისხლხორცებული, ეროვნული, კულტურული თუ ზნეობრივი იმპერატივების ნიველირების შესაძლებლობის გამო. ეს სკეპტიკური ბანაკი შედარებით პოლიტიკურად პასიური, მაგრამ საკმაოდ მრავალრიცხოვანი ფენაა. ასაკობრივად ისინი ნაწილობრივ საშუალო, ძირითადად კი - უფროსთაობელები არიან. სკეპტიკოსებისათვის ყველა სხვა რეფორმა მეორადი მნიშვნელობისაა, პირველადი კი - სოციალური რეფორმებია. თუ განხორციელდა პრეზიდენტის სოციალური დაპირებები და ისიც, რომ 2005 წელი ეკონომიკური გარღვევის წელი იქნებაო, სკეპტიკოსები ხელისუფლების კრიტიკოსობიდან აქტიურ მხარდამჭერებად მოგვევლინებიან.

ზემოაღნიშნული ორი ბანაკის ინტერესს ვერ იცავენ, მაგრამ მათ თვალსაზრისს ასახავენ ოპოზიციური პარტიები - შეურიგებელი ლეიბორისტები, თუ შედარებით კონსტრუქციულ-კომპრომისული ახალი მემარჯვენეები, მრეწველები და სხვ. გარდა ამისა, არსებობენ ცალკეული რეფორმების მოწინააღმდეგე ლოკალური ჯგუფები. მაგ. კანონს ფინანსური ამნისტიის შესახებ მომხრე-მოწინააღმდეგენი მხოლოდ პოლიტიკურ და ბიზნესის წრეებში ჰყავდა. სხვა სოციალური ჯგუფები ამ კანონის ბედით დიდად არ დაინტერესებულან. სხვადასხვა ლოკალური ჯგუფები აქტიურ წინააღმდეგობას და უკმაყოფილებას გამოხატავდნენ სხვადასხვა სფეროებში ხელისუფლების მიერ გატარებული "მცირე რეფორმების" მიმართ (ქალაქის რიგი ტერიტორიების გაწმენდა უკონტროლო ბაზრობებისაგან და სხვ.).

ახლა, რაც შეეხება რეფორმათა მომხრეებს.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# "ვარდების" არომატი

პირველი გვერდიდან

გამართლდა თუ არა მათი დაპირებები? - ამ კითხვაზე ოპტიმისტები (და "ნაციონალები") დადებით პასუხს იძლევიან, პესიმისტები (და ოპოზიციონერები) - უარყოფითს, შედარებით ნეიტრალურები (ანუ საზოგადოების უმრავლესობა) კი ფიქრობენ, რომ დაპირებების მხოლოდ ნაწილი შესრულდა.

ვინაიდან მოლოდინი არასდროს ემთხვევა რეალობას და დაპირებები ყოველთვის სჭარბობს შესრულებას, ამიტომაც არის, რომ ყოველი რევოლუციის შემდეგ აუცილებლად დგება, თუ სრული არა, ნაწილობრივი იმედგაცრუებისა და გაწბილების ხანა. ეს გარდუვალია. დღეს საქართველოში სწორედ ეს პერიოდი დგას.

ხელისუფლებაში მოსვლის პირველ ხანებში კი ქართველი რევოლუციონერებისთვის ყველაფერი იდეალურად მიდიოდა:

მათ მიაღწიეს საერთაშორისო აღიარებას და მიიღეს ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხი, რასაც მათი წინამორბედი ედუარდ შევარდნაძე, ზვიად გამსახურდიას დამხობის შემდეგ, კარგა ხანს ვერ ეღირსა;

გარდამავალ პერიოდში ნორმალურად ჩაატარეს საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები;

რეგიონებში წინა ხელისუფლების წარმომადგენლების ჩანაცვლება თავისი წევრებით თითქმის უმტკივნეულოდ მოახერხეს; კორუფციაში მხილებული ჩინოვნიკების ქონების ექსპროპრიაციის ხარჯზე შეძლეს პენსიების გაზრდა;

და, რაც მთავარია, აჭარაში "ვარდების რევოლუციის" მინი სცენარი წარმატებით განახორციელეს და ეს რეგიონი საქართველოს სამართლებრივ სივრცეში დააბრუნეს.

თუმცა, ახალი ხელისუფლების სინქრონულად მომუშავე მექანიზმში პირველი ბზარები სწორედ აჭარის მოვლენების შემდეგ გაჩნდა - ავტონომიურ რესპუბლიკაში წამყვანი პოზიციების დაკავებისთვის გაჩაღებულმა შიდაპარტიულმა ბრძოლამ "ნაციონალურ მოძრაობას" ჩამოაშორა რესპუბლიკელები და "ეროვნულ ძალთა გაერთიანება". პარალელურად, კობა დავითაშვილი ეწეოდა აჭარისთვის ავტონომიური სტატუსის გაუქმების კამპანიას... მიუხედავად ამისა, დაბეჯითებით შეიძლება იმის თქმა, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ აჭარის თემა თავისთვის დადებითი ბალანსით "დახურა".

პირველმა წარმატებებმა რევოლუციონერების გუნდი, როგორც ჩანს, ზედმეტად თავდაჯერებული გახადა. ამის დასტურია ის თამამი განცხადებები, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხზე გაზაფხულსა და ზაფხულის დასაწყისში კეთდებოდა. თბილისში, ეტყობა, ჩათვალეს, რომ ისევე, როგორც აჭარის შემთხვევაში, ცხინვალის რეგიონშიც საკმარისი იქნებოდა ერთი, კარგად ორგანიზებული "ჰუმანიტარული შტურმი" და სასუქებით ავსებული ოსური მოსახლეობა სეპარატისტებს ზურგს შეაქცევდა და რევოლუციურ სამეულს ვარდებით შეეგებებოდა.

მაგრამ ქვეყანა რეალურად დადგა ფართომასშტაბიან კონფლიქტში ჩათრევის საფრთხის წინაშე. თუმცა, საბედნიეროდ, კარსმომადგარი საშიშროება ხელისუფლებამ ბოლოს მაინც გააცნობიერა და უკან დაიხია.

"ოსეთის კრიზისის" წარმოქმნა და მოგვიანებით მისი განმუხტვა ნამდვილად ვერ შევა ქვეყნის დღევანდელი მმართველი ძალის აქტივში, თუმცა, წარუმატებელი ოსური პარტიის მიუხედავად, ერთი კარგი საქმე მაინც გაკეთდა: ათწლეულობის განმავლობაში მივიწყებულმა, ქართულ-ოსური კონფლიქტის საკითხმა საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიპყრო და გაჩნდა იმედი, რომ დასავლური სტრუქტურების დახმარებით (რაშიც, პირველ რიგში, რუსეთზე ზეწოლა იგულისხმება), პრობლემა საქართველოსთვის სასურველი შედეგით გადაწყდება.

სამხრეთ ოსეთში განცდილი წარუმატებლობის ფონზე უფრო ნათლად გამოჩნდა ის პოლიტტექნოლოგიური ხარვეზები, რომელზეც მანამდე საზოგადოება დუმდა. ყველას ძალიან გვიან, მაგრამ მაინც გაახსენდა, რომ კორუფციასთან ბრძოლა ადამიანის უფლებების უხეში დარღვევით მიმდინარეობს და ნარკოტიკებისა თუ იარაღის ჩადებასთან ერთად, სამართალდამცავებისთვის არც ბრალდებულთა წამების მეთოდის გამოყენებაა უცხო ხილი. დღეს ისიც ირკვევა, რომ იგივე კორუფციასთან ბრძოლას, თურმე, შერჩევითი ხასიათი ჰქონდა და ვინც პირველ ტალღას გადაურჩა, მალე, ფინანსური ამნისტიის წყალობით, "ამქვეყნიური ცხონების" მტკიცე გარანტიებს მიიღებს.

ხელისუფლების ოპონენტები იმაზეც აპელირებენ, რომ რევოლუციის წინ და მის პირველ ხანებში სააკაშვილის გუნდმა "ულირსი მოხელეების მიერ უკანონოდ მითვისებული ქონების ხალხისთვის დაბრუნების" პირობა დადო. მეტიც: შვეიცარიის ბანკებში განთავსებული, ქართველი მაღალჩინოსნების ავუარების ჩამორთმევაზეც იყო საუბარი. შესაბამისად, კულუარებში დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ ახალმა ხელისუფლებამ კორუფციული პირამიდა ბოლომდე არ დაანგრია. ამ "თეორიას" კობა დავითაშვილი კიდევ უფრო ავითარებს და ირწმუნება, რომ ხელისუფლებას აქვს ე.წ "შავი სალარო," რომელსაც ის ხალხი ავსებს, ვისაც ციხეში ჩაჯდომა არ სურს...

რევოლუციიდან გასული ერთი წლის განმავლობაში საგრძნობლად შეიცვალა საინფორმაციო სივრცეც. მედიის მეტამორფოზა, ძირითადად, იმაში გამოიხატა, რომ მისმა ცალკეულმა სუბიექტებმა საკუთარი, ინდივიდუალური სახე დაკარგეს და ერთ, უსახურ საინფორმაციო მონსტრად ჩამოყალიბდნენ, რომლის მთავარ ფუნქციადაც იქცა ხელისუფლების პიარ-აქციების ფართოდ რეკლამირება. მაგალითად, ამას წინათ, თითქმის ყველა ტელეარხი იმაში ეჯიბრებოდა ერთმანეთს, თუ ვინ უკეთ მოახერხებდა ეროვნულ სტადიონზე დასამონტაჟებელი სკამების ნიმუშების(!) პრეზენტაციის გაშუქებას.

დღეს სახელისუფლებო რესურსი იმდენად ძლიერია, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების თითქმის ყველა "კუთხე-კუნჭულის" გაკონტროლება შეუძლია. ასეთ დროს იზრდება ხოლმე დემოკრატიული ღირებულებების ფეხქვეშ გათელვის და შელახვის საფრთხე. ხელისუფლება ამ ცდუნებას რომ არ აჰყვეს, აუცილებელია მისი დამცავი ბარიერის არსებობა. როგორც ჩანს, ამ ფუნქციის შესრულება არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწევთ, რომელთა პოზიციასაც ხელისუფლება ჯერ კიდევ დიდ ანგარიშს უწევს. ამ დღეებში სწორედ მათ აღებინეს ხელი მმართველ გუნდს განზრახვაზე, სტახანოვური წესით შეეცვალა საარჩევნო კოდექსი.

რევოლუციური ხელისუფლების მისამართით არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან გაჟღერებული კრიტიკა (არა მარტო საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით), ალბათ, დროულია: ადრე თუ გვიან, შეცდომებს ყველა ხელისუფლება უშვებს, მთავარია, ამ შეცდომების გამოსწორების შესაძლებლობა და სურვილი არსებობდეს.

თანაც, როგორც ამბობენ, ახალ ჭურჭელს დიდხანს ასდის იმის სუნი, რასაც მასში პირველად ჩაასხამენ. ამიტომ, დღევანდელი ხელისუფლება უნდა ეცადოს, რომ ქვეყანაში მხოლოდ "ვარდების სურნელმა" იტრიალოს და ის უვარგისი პოლიტიკური არომატით არ განეიტრალდეს. ამ შემთხვევაში, პრეზიდენტ სააკაშვილის "მომავლის მატარებელში" მგზავრები მუდამ მრავლად იქნებიან.

# კომერციულმა ინსტიტუტებმა მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემებზე იმსჯელეს

*გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" "პროკრედიტბანკის" ინიციატივით ორგანიზებული მრგვალი მაგიდის ფარგლებში ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), "პროკრედიტბანკის" პარტნიორი ბანკებისა და მცირე ბიზნესის წარმომადგენლებმა საქართველოში მცირე ბიზნესის განვითარების საკითხებზე იმსჯელეს. მრგვალი მაგიდა სპეციალურად ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის მოადგილის ჯონ ტეილორის ვიზიტთან დაკავშირებით მოეწყო.*



იური ლობოდინის ფოტო

სოფო თბილელი

"პროკრედიტბანკი-საქართველოს" გენერალური დირექტორის ფილიპ ზიგვარტის განმარტებით, შეხვედრის ძირითადი მიზანია საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან ერთად საქართველოში მიკრო, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების პრობლემებისა და განვითარების პერსპექტივების განხილვა.

**"საქართველოში ძალიან ბევრი ადამიანია დასაქმებული სწორედ მცირე ბიზნესში. შესაბამისად, მთლიანად ქვეყნის კეთილდღეობა დამოკიდებულია ამ ხალხზე. აქ უაღრესად მნიშვნელოვანია ბანკების როლი და მათი მხარდაჭერა. "პროკრედიტბანკი" ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ საქართველოში მცირე ბიზნესს შესაბამისი დახმარება გაუწიოს,"** - განაცხადა ფილიპ ზიგვარტმა.

გუშინდელი შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ ის ძირითადი საფინანსო ინსტიტუტები (ამერიკის სახაზინო დეპარტამენტის, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ამერიკის საელჩოს, საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია IFC-ის, და EBRD-ის პროგრამის მონაწილე კომერციული ბანკების: საქართველოს ბანკის, "თბილუნივერსალბანკის" და საქართველოს გაერთიანებული ბანკის წარმომადგენლები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსურ მხარდაჭერას, ჟურნალისტებთან საუბრისას ტეილორმა დადებითად შეაფასა და მრგვალი მაგიდის მონაწილე მცირე მეწარმეების პრობლემებითა და საქმიანობითაც დაინტერესდა.

დისკუსიის დროს მცირე და საშუალო ბიზნესის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებად საგადასახადო, საბაჟო და საპროცენტო განაკვეთები დასახელდა. **"ჩემზე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა რამდენიმე რაიონში მიღწეულმა შედეგებმა,"** - განაცხადა ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის მოადგილემ და იქვე კომერციული ბანკების წარმომადგენლებისგან არსებული მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიზეზების ახსნა მოითხოვა.

მაღალი საპროცენტო განაკვეთის მიზეზად ბანკების წარმომადგენლებმა ორი მიზეზი დაასახელეს: მოზიდული თანხების სიძვირე და სესხების მცირე მოცულობა, თუმცა, ისიც დაუმატეს, რომ საპროცენტო განაკვეთები შემცირების ტენდენციით ხასიათდება. **"მუშაობა 24-პროცენტიანი საპროცენტო განაკვეთით დავიწყეთ, ახლა საქართველოში საშუალო საპროცენტო განაკვეთი 17 პროცენტია, მომავალში ეს კიდევ დაბლა დაიწევს,"** - ასეთი იყო მრგვალი მაგიდის მონაწილე კომერციული ბანკების წარმომადგენლების პოზიცია.

## ორი სიტყვით

**თბილისი**. აღიარებული სახელმწიფო შიდა ვალის პრობლემათა განხილვის, გადაჭრისა და რეკომენდაციების შემუშავების მიზნით სახელმწიფო კომისია შეიქმნა. კომისია 2006 წლის პირველ მაისამდე იმუშავებს და აღიარებული შიდა ვალის ანაზღაურების მექანიზმებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს მთავრობას და პარლამენტს წარუდგენს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფარული და აღურიცხავი წარმოების მაჩვენებლების გათვალისწინებით, წარმოებული სამრეწველო პროდუქციის რეალურმა საერთო მოცულობამ დაახლოებით 2,3 მლრდ. ლარი შეადგინა, რაც 4,6 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. ასეთია სტატისტიკის დეპარტამენტის ექსპერტული შეფასება. განსხვავებულია საწარმოების მიერ სტატისტიკის დეპარტამენტში დეკლარირებული მონაცემები, რომელთა მიხედვით, ქვეყნის მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების მიერ 2004 წლის იანვარ-ოქტომბერში წარმოებული სამრეწველო პროდუქციის ღირებულებამ 1367,5 მლნ. ლარი შეადგინა, რაც 10,7 პროცენტით აღემატება 2003 წლის იანვარ-ოქტომბრის პერიოდის მაჩვენებელს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ელექტრონული ანგარიშსწორების სხვადასხვა სისტემების მეშვეობით, 2004 წლის 1 ოქტომბრის მდომარეობით, უცხოეთის სახელმწიფოებიდან საქართველოს კომერციულ ბანკებში 178 845 212 აშშ დოლარი ჩაირიცხა, ხოლო საქართველოდან უცხოეთში 23 329 290 აშშ დოლარი გადაირიცხა. საქართველოში სწრაფი ფულადი გზავნილების დიდი ნაწილი ისევ "ვესტერნ იუნიონზე" მოდის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს საბანკო სისტემაში უცხოური ვალუტის მოცულობა 190 508 000 ლარით გაიზარდა. საქართველოს ეროვნული ბანკის მაკროეკონომიკურ გამოკვლევათა და მონეტარული პოლიტიკის სამმართველოს ინფორმაციით, 2004 წლის 1 ოქტომბრისთვის 38 135 000 ლარით შემცირდა მთავრობის წმინდა დავალიანება, 106 759 000 ლარით მოიმატა დანარჩენი ეკონომიკის დავალიანების მოცულობამ, ასევე 125 928 000 ლარით გაიზარდა ბანკების გარეთ არსებული ნაღდი ფულის მოცულობა. გასულ წელთან შედარებით, ფართო ფულის მოცულობა 266 947 000 ლარით გაიზარდა, ხოლო უცხოური ანაბრების გარეშე ფართო ფულმა 206 201 000 ლარით მოიმატა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიხსნა ქართული პროდუქციის გამოფენა, სახელწოდებით "დამზადებულია საქართველოში". მისი ორგანიზატორია საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა. გამოფენაში 93 ქართული კომპანია მონაწილეობს. წარმოდგენილია 500-ზე მეტი სახეობის პროდუქცია, მათ შორის საქართველოში დამზადებული კომპიუტერი. **მედია-ნიუსი**

## "ს/ს თელასის" განცხადება

ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:

**25 ნოემბერს, 12.00-დან 16.00-სთ-მდე:**
სოფელი კოჯორის მაცხოვრებლებს.

**25 ნოემბერს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**
სამშვილდის, ხუდადოვის, მანგლისის, არგვეთის, სტურუას, ღუდუშაურის, მესხის, გივიშვილის, სენაკის, სამურზაყანოს, აბაშიძის, ტაშირის, ჭალადიდის, კელაპტრიშვილის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# მთავრობის ერთი წელიწადი

პირველი გვერდიდან

აღქმისა გზების ნაწილი, ანუ ამ მიმართულებით თანხები მეტ-ნაკლებად მიზნობრივად დაიხარჯა;

რეფორმების დაწყება - შესაძლოა ბოლომდე და ბევრისთვის მიუღებელიც, მაგრამ მაინც - მორიგობა უკვე სჯობს დამყაყებულ ყოფას;

თუმცა, რა შეძლო ამ მთავრობამ, ამის თაობაზე დღეს და უახლოეს დღეებში თითქმის ყველა სახელისუფლებო პირი ძალიან ბევრს და ძალიან ბევრჯერ იტყვის. და მაინც, არის რაღაც, რაზე საუბარსაც დღეს ხელისუფლებაში გაურბიან.

მაგალითად, ხმამაღლა სულაც არ აღნიშნავენ, რომ:

ცხოვრება ამ ერთი წლის განმავლობაში საკმაოდ გაძვირდა - ეს ის ცვლილებაა, რომელიც ყველამ თავის თავზე იგრძნო - მიუხედავად იმისა, თუ რამდენად დამოკიდებულია მისი შემოსავალი სახელმწიფოზე. ამ ადამიანებს შევარდნაძის პერიოდში არსებული მსყიდველუნარიანობა არ გაზრდიათ. ხოლო განმარტებები იმის თაობაზე, რომ ფასების ზრდა კონტრაბანდის შეზღუდვითაა გაპირობებული, დიდი ვერაფერი შეღავათია ქვეყნის მოსახლეობისთვის, რომელსაც ხელისუფლება ერთ სათავაზოზე ახალ სამუშაო ადგილებს, დასაქმებას პირდებოდა;

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში შემცირდა საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა, რაც უდავოდ დადებითი ფაქტორია. თუმცა, მეორე მხრივ, ეს ნიშნავს, რომ თითქმის იმდენით გაიზარდა უმუშევართა რიცხვი, რადგან ახალი სამუშაო ადგილების არარსებობა ამ ადამიანებს, პრაქტიკულად, არჩევანს არ უტოვებს.

შეპირებული სამუშაო ადგილები ისევ პერსპექტივად რჩება, ხოლო ერთი წლის წინ სამთავრობო სამსახურში - ხელისუფლების განცხადება იმის თაობაზე, რომ შეიქმნებოდა კადრების მონაცემთა ბანკი, ფაქტობრივად, პიარად დარჩა.

მიუხედავად მთავრობის არაერთგზის განცხადებისა, სახელმწიფო სტრუქტურებში 3000-ზე მეტი შემცირებული კადრის ადგილზე ახალი კადრები დაინიშნენ, რაც ისეთ მნიშვნელოვან ორგანოებშიც მოხდა, როგორიც პოლიცია და სახელისუფლებო სტრუქტურებია.

რაც შეეხება არასახელმწიფო სექტორს: საქართველოს ხელისუფლებამ ამ ერთი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა ინვესტორების მოზიდვა და ბიზნესისთვის სტაბილური გარემოს შექმნა - ბიზნეს-კონფერენციები, ჯერჯერობით, მხოლოდ ლაყბობად რჩება და ერთადერთი, ვინც საქართველოს ბაზარზე კვლავ აქტიურობს, რუსული თუ დსთ-ს ბიზნესია. ამასთან, ეს ბიზნესი აქტიურობს, ძირითადად, ენერგეტიკისა და კომუნიკაციების სფეროში.

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოში დღეს მიმდინარე პრივატიზაციის პროცესი ისევ სახელისუფლებო გავლენის ქვეშ რჩება.

ჯერჯერობით, ვერ მოხერხდა საგადასახადო კოდექსის მიღება და მხოლოდ კანონმდებლობის ცვლილება ბიზნესში ნდობას და ოპტიმიზმს თოვანებას არ იწვევს.

მიუხედავად ყველაფრისა, უდავოა, რომ ბიზნესის ნაწილი საქართველოში მართლაც გამოვიდა ჩრდილიდან. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ყველაზე სერიოზული და შემოსავლიანი სფეროები დღეს ისევ "გავლენის" ქვეშ რჩება და მიუხედავად იმისა, თუ სად მიდის ამ ბიზნესებიდან მიღებული "შენაწილი" ფული.

ფაქტია ისიც, რომ საქართველოში ხელისუფლების სტრუქტურაში (რა მნიშვნელობა აქვს, რომელ რგოლში?) არსებული კორუფცია...

ერთი სტატია არც იმდენად დიდი, რომ ყველაფერი თქვა. ვფიქრობთ, ერთი წლის თავზე წერტილის დასმა უკვე ნათქვამზეც შეიძლება.

## კომენტარი

**ნიკო ლეკიშვილი, პარლამენტარი** - ეს დადებითი ტენდენციების წელი იყო, როგორც ფინანსური, ასევე ფისკალური და ეკონომიკური თვალსაზრისით. სწრაფად დამყარდა წესრიგი ფისკალურ სფეროში. ადმინისტრირების გაუმჯობესებით შესაძლებელი გახდა ბიუჯეტში თანხების მობილიზება, დაიწყო ხელფასებისა და პენსიების ზრდის პროცესი, უფრო ეფექტური გახდა თანხების ხარჯვა. თბილისში ძალიან ბევრი სავაჭრო ორგანიზაცია გაიხსნა, ძალიან ბევრმა მცირე საწარმომ დაიწყო მოქმედება. ერთი წლის განმავლობაში, ძირითადად, ამ სფეროებში მოხდა ძვრები. თუმცა, მსხვილ საწარმოებთან მიმართებაში არანაირი სიახლე არ იგრძნობა. ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ახალ საგადასახადო კოდექსზე მუშაობის დაწყება და სახსრების მობილიზების ადმინისტრირების გაუმჯობესება იყო.

დადებითთან ერთად, უარყოფითი ტენდენციებიც შეიმჩნეოდა. კერძოდ, ზედმეტად დიდი პროპაგანდა გავუწიეთ პრივატიზების საკითხს და ბევრი ვილაპარაკეთ ამ პროცესიდან მისაღებ თანხებზე. ზედმეტმა აჟიოტაჟმა მოსახლეობაში არასწორი და ცრუ მოლოდინი შექმნა. ასევე, დასახვეწია სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის ურთიერთობა. დაუშვებელია, საწარმოს შემოწმების მიზნით საწარმოს მუშაობის გაჩერება. აუცილებელია, რომ ხელისუფლებამ უფრო აქტიურად დაიწყოს მეწარმეების მხარდაჭერა. განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება მშენებლობას, რაიონებში არ იგრძნობა ეკონომიკური აქტიურობა. ქვეყანაში გაჩნდა ბიზნესცენტრების მეზობელ ქვეყანაში გადატანის ტენდენცია. კერძოდ, ქართულ ბაზარზე მოღვაწე ავტოცენტრები, საკუთარი ბიზნესოფისების მეზობელ ქვეყნებში გატანაზე სერიოზულად ალაპარაკდნენ. ეს არ უნდა დაუშვას ხელისუფლებამ. ეს ძალიან საშიში ტენდენციაა განხილვის დონეზეც კი.

თუმცა, ამ ლაფსუსების მიუხედავად, ზოგადად, ტენდენციები აშკარად დადებითია. თუ ვინმე ამ ერთ წელიწადში ელოდა, რომ ქვეყანაში ახალი ქარხნები და ფაბრიკები აშენდებოდა, ავყვავდებოდით და ქვეყანაში მილიარდობით ინვესტიციები შემოვიდოდა, ძალიან ცდებოდა, ასე, ერთბაშად, არაფერი არ ხდება. ყველაფერს დრო სჭირდება.

**გია ჯანდიერი, ექსპერტი** - რევოლუცია ისევ მიმდინარეობს და არ დამთავრებულა. აქედან გამომდინარე, ბევრი საქმე რევოლუციურ რეჟიმში წყდება, რაც ქვეყნის სტაბილურობისთვის არასასურველია. ბევრი დაპირება იყო ზეპირი, აქედან გამომდინარე, მთავრობა ცდილობს ისეთი რაღაცები გააკეთოს, რომლებიც კონკრეტულ სტრატეგიაში კი არ ჯდება, არამედ, პოპულისტურია. სამწუხაროდ, არ ყოფილა კონკრეტული დაპირებები, რომლის განხორციელებითაც ქვეყანა სტაბილური ეკონომიკური განვითარებისა და ზრდის გზას დაადგება. ეს დაპირებები არ გაცხადებულა, შესაბამისად, ამ მიმართულებით არც რაიმე ძვრებია. ქვეყანაში მიმდინარეობს ძალიან სერიოზული ფარული და დიდი ინფლაცია. მაქსიმალურად ხდება მოსახლეობის ჯიბეებიდან, მათი ბიზნესებიდან ფულების ამოქაჩვა. არანაირი ცვლილება არ შეიმჩნევა ეკონომიკის ზრდის კუთხით. ჯერ არ მსმენია, რამდენი ახალი საწარმო, რამდენი სამუშაო ადგილი შეიქმნა. ამ კუთხით მიღწევები არ არის. ხელისუფლებას არა აქვს გაცხადებული სტრატეგიები, არ ვიცით, ქვეყანა რა მიმართულებით მიდის, რა ადგილის დაკავება უნდა, ვთქვათ, რეგიონში ან მსოფლიო ბაზარზე, რა გადაწყვეტილებებს მიიღებს მთავრობა უახლოეს მომავალში, თუნდაც ენერგეტიკის სისტემის მოწესრიგებისთვის და ა.შ. ასეთ კონკრეტულ გადაწყვეტილებზე ან სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობას, ჯერჯერობით, ვერ ვხედავ.

არაერთხელ აღინიშნა, რომ ქვეყანაში 9-პროცენტიანი ზრდაა, ინფლაციის ოფიციალურ მაჩვენებლად კი 4,5 პროცენტს ასახელებენ. ეს მე არ მჯერა, იმიტომ, რომ ფასები კატასტროფულად - 4,5 პროცენტით კი არა, 20 პროცენტით გაიზარდა. ამასთანავე, ის სტაბილური მომსახურებებიც და საქონელიც, რომელზეც ფასი ლარებში არ აწეულა, რეალურად დოლარებში გაძვირდა.

ყველაფერი ამის ფონზე ძალიან ძნელია რაიმე დადებით ძვრებზე საუბარი.

მთლად უმოქმედობა რომ არ დაბრალდეთ, უნდა ითქვას, რომ რაღაც კარგი ძვრებიც იყო, მაგალითად, კარგია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ტვირთების გადაზიდვა აღარაა რთული.

**ირაკლი ლექვინაძე, ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია** - დადებითი ძვრები ნამდვილად არის და ამაზე თვალის დახუჭვა არ შეიძლება, მაგრამ რა მოლოდინიც და იმედიც ხალხს ჰქონდა, ნამდვილად არ გამართლდა. მოლოდინი იყო ასეთი, რომ ქვეყანაში დაიწყებოდა ეკონომიკური ბუმი, ქვეყანაში შემოვიდოდნენ ინვესტორები, გაიზრდებოდა ხელფასები, განვითარდებოდა მცირე ბიზნესი, ხელისუფლება მიიღებდა ისეთ საგადასახადო კოდექსს, რომელიც მეწარმეებს ყოველგვარი პრობლემებისგან გაათავისუფლებდა, რაც არ გამართლდა.

მთავრობაში აშკარად იგრძნობა რაღაცის კეთების სურვილი. დადებითია, რომ დაიწყო კორუფციასთან ბრძოლა, მაგრამ უარყოფითიც ბევრია. მაგალითად, საინვესტიციო გარემო იმის მაგივრად, რომ გაუმჯობესებულიყო, პირიქით, უფრო დამძიმდა. ბიზნესგარემოს კუთხით უკეთესობისკენ არაფერი შეცვლილა, ბიზნესი არ ვითარდება. ბიზნესმენების დაჭერებმა და სხვა ფაქტორებმა ბიზნესი დათრგუნა. მართალია, ეკონომიკური ზრდა არის ქვეყანაში, მაგრამ ეს უფრო წინა წლების ინერციაა და არა წელს გაკეთებული საქმეების შედეგი. ფაქტობრივად, ქვეყანაში ეკონომიკა სტაგნაციის მდგომარეობაშია. შეჩერებულია მშენებლობები, არ დაწყებულა ახალი ბიზნესი, არ გაზრდილა დასაქმებულთა რიცხვი, პირიქით, უმუშევრობა გაიზარდა. ფაქტორები, რაშიც ეკონომიკური ზრდა გამოიხატება, ზრდისკენ არ არის მიმართული. ხალხის ცხოვრების დონეც არ გაუმჯობესებულა. შეიძლება, პენსიები გაიზარდა, შეიძლება, ზოგიერთ სახელმწიფო სტრუქტურაში ხელფასებიც გაიზარდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ლარის მსყიდველობითუნარიანობა იგივე დონეზეა, ცხოვრების დონე უკეთესობისკენ არ შეცვლილა.

რაც შეეხება ამნისტიას, იდეა ძალიან კარგია, მაგრამ ის ფორმა, რომლითაც ხელისუფლება მის განხორციელებას აპირებს - რომ ზოგს შეეხოს და ზოგს არა - ეს ძალიან მახინჯი და ცუდი ფორმაა.

**ზურაბ ტყემალაძე, პარლამენტარი** - ეს ისეთი ბობოქარი წელი იყო, როგორც თავად რევოლუცია. რევოლუციას ბევრი დადებითი ძვრები მოჰყვა, მაგრამ მოლოდინთან შედარებით ეს ზღვაში წვეთია.

ჯერ კიდევ რევოლუციის პერიოდში საუბრობდნენ მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობაზე, რაც პირველ რიგში, ახალი საგადასახადო კოდექსის მიღებით უნდა გამოხატულიყო. სამწუხაროდ, ამ კოდექსის მიღება დღემდე ვერ მოხერხდა. ხოლო, ის პროექტი, რაც დღეს გვაქვს საკმაოდ შორსაა იმ დაპირებულისგან. ერთი წლის განმავლობაში შემცირდა ინვესტიციები, გასულ პერიოდთან შედარებით შემცირებულია წარმოების ზრდის ტემპიც. დასახვეწია ფინანსური ამნისტიაც, რადგან მიდგომა მეწარმეების მიმართ არათანასწორია. მცირე მეწარმეების გადასახადისგან გათავისუფლების დაპირება დაპირებად დარჩა. ახლა ისე მაინც გააკეთონ, რომ გადასახადებისგან თუ არა, დავალიანებებისგან მაინც გაათავისუფლონ. ხელოვნურად გამყარდა ეროვნული ვალუტა. ეს პროცესი ხელოვნური იყო, რადგან ამის არანაირი ეკონომიკური საფუძველი არ არსებობს. ქვეყანაში, სადაც ინფლაციაა და სადაც ფასები 20-25 პროცენტით იზრდება, ეროვნული ვალუტის გამყარება ისეთი ანომალიაა, რომელიც ეკონომიკურ თეორიაში არ არსებობს.

კორუმპირებული ჩინოვნიკების დასჯის მოთხოვნილება საზოგადოებაში არსებობდა, მაგრამ საბოლოოდ ამან დამახინჯებული სახე მიიღო.

დაჭერებმა, ამნისტიის დროულად არგამოცხადებამ, ვალუტის კურსის ხელოვნურმა გამყარებამ, საგადასახადო კოდექსის მიღების გაჭიანურებამ საინვესტიციო კლიმატი უფრო შეასუსტა. ყოველივე ეს უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკაზე, თუმცა ვნახოთ, ჯერ ამნისტიაც და საგადასახადო კოდექსიც განხილვის პროცესშია.

**ლადო პაპავა, პარლამენტარი** - ეს პირველი წელიწადია, როდესაც დაძლეული იქნა საბიუჯეტო კრიზისი, როცა ბიუჯეტი სრულდება, გადასახადები ამოიღება, როცა ხელფასები და პენსიები გაიცემა და არა მარტო მიმდინარე ვალდებულებები სრულდება, არამედ ძველი დავალიანებებიც იფარება. ეს წელი მნიშვნელოვანია იმით, რომ მომზადდა ახალი ლიბერალური საგადასახადო კოდექსის პროექტი, რომელიც ეკონომიკის აყვავებას ხელს შეუწყობს. სერიოზული ნაბიჯი იყო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყება, მთავრობამ ნაწილობრივ გადადგა ნაბიჯები მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების კუთხითაც, მაგრამ გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

დადებითი ტენდენციების პარალელურად, არის გარკვეული ხარვეზებიც, რაც პირველ რიგში, შეეხება იმას, რომ პრაქტიკულად, მოკვდა ეკონომიკის სამინისტრო, არ არის ნათლად ჩამოყალიბებული საპრივატიზაციო პროგრამა, მთავრობა, ფაქტობრივად, უარს ამბობს წარმოადგინოს ქვეყნის განვითარების გეგმა - ინდიკატური გეგმა.

**შოთა გვენეტაძე, პარლამენტარი** - არ ვიცი, ვის რა მოლოდინი ჰქონდა, მაგრამ ჩემი მოლოდინი შესრულდა, ანუ რაც შეიძლებოდა ერთ წელში მომხდარიყო ქვეყანაში, ის ყველაფერი გაკეთდა. ამ ერთი წლის განმავლობაში, ეკონომიკური თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები იქნა მიღებული. მათ შორის - კონკურენციის მხარდაჭერა, კორუფციასთან ბრძოლა, კორუფციული ხვრელების გადაკეტვა, რაც საბაზრო ეკონომიკის განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ხელისუფლებამ მიაღწია იმას, რომ სრულდება ბიუჯეტი, იკრიფება გადასახადები.

ხელისუფლებამ მოამზადა ფუნდამენტური დოკუმენტი - ახალი საგადასახადო კოდექსი, მიიღო გადაწყვეტილება საგადასახადო ლეგალიზაციის შესახებ, დაიწყო აგრესიული პრივატიზება, რაც ძალიან მნიშვნელოვანია.

კორუმპირებული ჩინოვნიკების დაჭერებმა ცოტა დამახინჯებული ფორმა მიიღო. თავიდან ხელისუფლებამ აჩვენა მოსახლეობას, რომ მას შესწევს დამნაშავეების დაჭერის უნარი. მაგრამ ახლა ხელისუფლებამ უნდა გადახედოს თავის მიდგომას კორუმპირებულ ჩინოვნიკებთან მიმართებაში. მე არ ვამბობ, რომ ხელისუფლებამ შეასუსტოს თავისი ძალაუფლება დღეს მოქმედ ადამიანთა მიმართ. უბრალოდ, მან უნდა დაივიწყოს ძველი საქმეები. გლობალურად ამ წელს დადებითად ვაფასებ, თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ ფრაგმენტულად შეიძლება უარყოფითი მომენტებიც იყოს.

**გიორგი ისაკაძე, გადამხდელთა კავშირის გენერალური დირექტორი** - ზოგადად, ამ წელს დადებითად ვაფასებ, თუმცა, არის უარყოფითი მომენტებიც.

ბოლო წლების განმავლობაში არ არსებობდა ერთიანი მიდგომა ბიუჯეტთან მიმართებაში, არც ძალოვანი სტრუქტურების და არც ეკონომიკური გუნდის მხრიდან, რაც ყოველთვის ბიუჯეტის სეკვესტრით მთავრდებოდა. ამ ერთი წლის განმავლობაში ხელისუფლებამ შეძლო ამ კუთხით წესრიგის დამყარება, რაც საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაშიც გამოიხატა. მართალია, არ არის აღმოფხვრილი, მაგრამ საგრძნობლად შემცირდა კორუფცია. დადებითია პრივატიზების პროცესი, რომელსაც ერთმნიშვნელოვნად ვუჭერ მხარს. მნიშვნელოვანია ახალი საგადასახადო კოდექსის შემუშავებაც, მაგრამ უარყოფითად ვაფასებ ტენდენციას, საითკენაც მიდის საგადასახდო კოდექსი. შევარდნაძის მთავრობის მთავარი პრობლემა იყო ის, რომ სისტემის მოუწყობლობისა და უსუსურობის გამო გადაწყვეტილებების მიღება ფერხდებოდა, ახლა შედარებაც არ შეიძლება - ხელისუფლება გადაწყვეტილებებს იღებს და, ზოგ შემთხვევაში, ახორციელებს კიდეც ძალიან სწრაფად.

ფაქტია, რომ ჯერჯერობით ქვეყანაში ინვესტიციების მოზღვავება არ იგრძნობა, მაგრამ წინ გადადგმული ნაბიჯია პოტენციურ ინვესტორებთან ურთიერთობაც.

ერთი წლის წინ ბევრი ისეთი დაპირება გაკეთდა, რომლებიც მე, როგორც ეკონომისტს, არარეალურად მიმაჩნდა მაშინაც და ახლაც. ასეთი დაპირებებისგან ყველამ თავი უნდა შევიკავოთ, იმიტომ, რომ ეკონომიკას არ უყვარს რევოლუციები, ის ევოლუციურად ვითარდება. თავიდანვე კატეგორიულად არ ვეთანხმებოდი იმ დაპირებებს, რომლებიც მიწის გადასახადის გაუქმებასა და ინდმეწარმეების გადასახადებისგან გათავისუფლებას ეხებოდა, რადგან, თუ ყველა და ყველაფერი გადასახადისაგან გავათავისუფლეთ, ბიუჯეტი მუდმივი საფრთხის წინაშე იქნება. ასეთ ქვეყანაში კი, მერწმუნეთ, ბიზნესი და მეწარმეობა ვერ განვითარდება. ბიზნესი ქმნის სამუშაო ადგილებს და დოვლათს და არა მთავრობა. თუ ხელისუფლება კერძო სექტორის განვითარებას სათანადო ყურადღებას მიაქცევს, გარანტიას გაძლევთ, ხელისუფლების ყველა დაპირება შესრულდება.

**ზურაბ ცქიტიშვილი, პარლამენტარი** - წინა ხელისუფლებასთან შედარებით, დაპირებების შესრულების კოეფიციენტები არნახულად მაღალია. ხელისუფლებამ ბევრი დაპირება შეასრულა. მათ შორის: მიწის გადასახადისგან გაათავისუფლა ხუთ ჰექტრამდე მიწა, ინდივიდუალური მეწარმეები გადასახადებისგან გათავისუფლდნენ, უკვე მზადაა ახალი ლიბერალური კოდექსის პროექტი, შესრულებულია პენსიებისა და ხელფასების დროზე გაცემის დაპირებაც. უფრო მეტიც, მიმდინარესთან ერთად იფარება საპენსიო დავალიანებებიც.

მთავრობამ შეძლო, სერიოზულად გაეზარდა ბიუჯეტის საშემოსავლო რესურსები, რაც თანამდებობის პირთა დაჭერიდან შემოსავლების ამოღებისა და საგადასახადო შემოსავლების ზრდის ხარჯზე მოხდა. ფაქტია, რომ ამ ერთი წლის განმავლობაში ფისკალური ორგანოები გეგმას გადაჭარბებითაც კი ასრულებენ. დადებითი მომენტია ფინანსური ამნისტიის საკითხის წამოწყება. ამ კანონპროექტის განხორციელება ხელისუფლების მიმართ ნდობას გააძლიერებს და დამალული რესურსების ეკონომიკაში ჩართვას გამოიწვევს. მთავრობამ სერიოზული ბრძოლა გამოუცხადა კონტრაბანდას. ვერ გეტყვით, რომ კონტრაბანდა 100 პროცენტით აღმოიფხვრა, მაგრამ მთავრობამ ამ მიმართულებით სერიოზული ნაბიჯები გადადგა. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ კონტრაბანდასთან ბრძოლამ ფასების მომატება გამოიწვია.

შესრულებული დაპირებების პარალელურად, არის დაპირებები, რომლებიც ვერ შესრულდა, კერძოდ, სამუშაო ადგილების ზრდის დაპირება. ამ კუთხით, ჯერჯერობით, უკეთესობისკენ ცვლილება არ იგრძნობა. პირიქით, უმუშევართა რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა. ასევე, გადამწყვეტი არაფერი მომხდარა მეწარმეობისა და ბიზნესის განვითარების კუთხით. ლეგალური ბიზნესის პროცენტის ზრდის წყალობით, ეკონომიკური ზრდა შეიმჩნევა, თუმცა წარმოებისა და ბიზნესის გაძლიერება, ჯერჯერობით, არ დაფიქსირებულა. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზია.

vmt®
სახალხო ბანკი
VB ОТКРЫТОЕ АКЦИОНЕРНОЕ ОБЩЕСТВО ВИП-БАНК
"სახალხო ბანკი" და VIP-ბანკი წარმოგიდგენთ ფულადი გზავნილების ახალ სისტემას
"VIP Money Transfer".
ყველაზე დაბალი საკომისიო 1,5% გზავნილის თანხიდან და თანხის მიღება გამოგზავნიდან 5 წუთში.
ფულადი გზავნილების გაგზავნა ან მიღება შესაძლებელია რუსეთიდან, ესპანეთიდან, დსთ-სა და ბალტიის ქვეყნებიდან „სახალხო ბანკის" 75 ფილიალის საშუალებით.
„ვი ემ თი" საბანკო მომსახურების ახალი დონე და ხარისხი.
ტელ: +(7995) 7778855 (მოსკოვი)
+(99532) 555500 (თბილისი)

# გვინდოდა უკეთესად, გამოვიდა როგორც ყოველთვის

პირველი გვერდიდან

ჯორჯი ხაზს უსვამს, რომ ასეთივე აზრი აქვთ ევროსაბჭოს საპარლამენო ასამბლეის, ევროპარლამენტისა და ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დამკვირვებლებს. ანალოგიური პოზიცია დააფიქსირა ევროკავშირმა, ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფმა, არჩევნებზე მონიტორინგის ორგანიზაციათა ევროპულმა ქსელმა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, აშშ-ს პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა უკრაინის არჩევნებზე სენატორმა რიჩარდ ლუგარმა. "სერიოზული შეშფოთება", "გადაიხედოს არჩევნების შედეგები", "უკრაინის არჩევნები არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს", - ასეთმა გამონათქვამებმა ხშირად გაიჟღერა ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყნის, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა მინისტრის ბერნარდ ბოტას სპეციალურ პრესკონფერენციაზე.

იმედგაცრუებული ჩანდა თეთრი სახლის ოფიციალური წარმომადგენელი უკრაინის არჩევნებზე რიჩარდ ლუგარიც. "აშკარაა, არჩევნების დღეს გაყალბების აგრესიული და მასშტაბური გეგმა ხელისუფლების უშუალო ხელმძღვანელობით ან მისი ხელშეწყობით განხორციელდა," - განაცხადა სენატორმა კიევში გამართულ ბრიფინგზე. "ამომრჩევლებზე ფიზიკური ძალადობა და ხელისუფლების ადმინისტრაციული და სამართალდამცავი ძალაუფლების უკანონო გამოყენება ყოვლისმომცველი და აშკარა იყო," - დასძინა გავლენიანმა ამერიკელმა.

აღშფოთება არ დაუმალავთ ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის წარმომადგენლებსაც. დამკვირვებლები, პირველ რიგში, დონეცკსა და სხვა რეგიონებში იანუკოვიჩის სასარგებლოდ დაფიქსირებულ არანორმალურად მაღალ მაჩვენებლებს აპროტესტებდნენ. საერთო ვერდიქტი ასეთი იყო: ჩვენ ვთლით, რომ არჩევნების გამოქვეყნებული შედეგები არ ასახავს უკრაინელი ხალხის ნებას.

თითქმის ერთადერთი გამონაკლისი (სავარაუდოდ, იქნებოდა სხვაც) დსთ-ს და რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს დამკვირვებელთა მოსაზრება იყო. რუსი დამკვირვებლები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ არჩევნების დღეს დაფიქსირებული დარღვევები, მის ლეგიტიმურობაზე გავლენას არ მოახდენენ.

ღიმილის მომგვრელი იყო რუსეთის სახელმწიფო სათათბირო სპიკერის ბორის გრიზლოვის უკრაინის არჩევნებთან დაკავშირებით გაკეთებული კომენტარი. "ბუნებრივია" არჩევნები მაღალ დონეზე ჩატარდა და "მცირეოდენ" დარღვევებს მის შედეგზე გავლენა არ ჰქონია, - ასეთი შინაარსის იყო მისი გამოსვლა. იქვე დასძენს: "დარწმუნებული ვარ, დადგება დრო, როდესაც პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები კი არ დაიწყებენ ევროკავშირისკენ სწრაფვას, არამედ პირიქით, ისინი (ევროკავშირის ქვეყნები) შეგვეხვეწებიან ერთიან ეკონომიკურ ზონაში მიღებაზე".



კიევის ცენტრში დამოუკიდებლობის მოედანზე იუშენკოს მხარდამჭერთა გრანდიოზული აქცია მიმდინარეობს.

თუმცა, პოლიტკორექტულობას ვერ მოსთხოვ პარლამენტის სპიკერს, როდესაც თავად რუსეთის პრეზიდენტი ერთი შეხედვით გაუგონარ ნაბიჯებს დგამს.

ჯერ კიდევ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, მაშინ როცა კანდიდატებს შორის მცირე განსხვავებაა, ვლადიმირ პუტინი ურეკავს უკრაინის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ იანუკოვიჩს და გამარჯვებას ულოცავს. "ბრძოლა დაძაბული იყო, მაგრამ ღია და სამართლიანი, ხოლო გამარჯვება დამაჯერებელი", - ასე გადმოსცემს პუტინის სიტყვებს მისი პრესმდივანი.

უკრაინელი ოპოზიციონერები კი უმაღლესი რადას რიგგარეშე სხდომის გამართვას ცდილობენ. მართალია, მათ, ჯერჯერობით, არ აქვთ საამისოდ საჭირო 226 მანდატი და არც უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილება არის არსებული სიტუაციიდან გამოსავალი - რადას არ შეუძლია, უნდობლობა გამოუცხადოს ცენტრალურ სარჩევნო კომისიას, ამის უფლება მხოლოდ პრეზიდენტს აქვს. უკრაინელ პარლამენტარებს შეუძლიათ მხოლოდ რაიმენაირად აიძულონ ლეონიდ კუჩმა ასე მოიქცეს. ასე რომ, საარჩევნო ხმების დაცვის "სამართლებრივი გზები" არცთუ ბევრია.

ამასობაში, უკრაინის დასავლეთი რეგიონები დაუმორჩილებლობის შესახებ აცხადებენ - ლვოვი, ივანოფრანკოვსკი, ტერნოპოლი, ვინიცა და ა.შ. იუშენკოს აღიარებენ გამარჯვებულად. იუშენკოს კიევის საქალაქო საბჭომაც დაუჭირა მხარი და ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადადგომა მოითხოვა. ქვეყნის აღმოსავლეთი რეგიონები, ხარკოვი, დონეცკი - პირიქით, იანუკოვიჩის მხარდამჭერი აქციების ჩატარებით იმუქრებიან. ვითარება უკიდურესად დაძაბულია. ქვეყანა რეალურად დგას სამოქალქო ომის საშიშროების წინაშე.

კიევის ცენტრში დამოუკიდებლობის მოედანზე იუშენკოს მხარდამჭერთა გრანდიოზული აქცია მიმდინარეობს. ხრეშატიკზე ასობით კარავია გაშლილი. ხელისუფლება აცხადებს, რომ რევოლუციას არ დაუშვებს. დამოუკიდებლობის მოედანზე მყოფები - უკან დახევას არ აპირებენ.

დღეს 23 ნოემბერია - დღე, რომელიც შარშანდელი "ვარდების რევოლუციით", დსთ-ს ყველა ქვეყნისთვის თვალსაჩინო მაგალითია. საინტერესოა, გახდება თუ არა გიორგობისთვე კიდევ ერთ პოსტსაბჭოთა ქვეყნისთვის "რევოლუციური".

# ბელგია ზაქაევის მიღებას არ აპირებს

ლევან გელაშვილი

სამშაბათს ბრიუსელში, ჩეჩნეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით მოგვარების თაობაზე, ჩეჩენ ემისარს ახმედ ზაკაევსა და რუსეთის ჯარისკაცთა დედების კავშირის დელეგაციას შორის მოლაპარაკებები უნდა შედგეს. თუმცა, აღნიშნული შეხვედრა ჩავარდნის პირას აღმოჩნდა. ბელგიის ხელისუფლება ზაკაევისათვის ხელშეუხებლობის გარანტიების მიცემაზე უარს აცხადებს და ჯარისკაცთა დედებისათვის ვიზების გაცემას აყოვნებს.

ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ შეხვედრა სწორედ ბრიუსელში უნდა შედგეს. კავშირის ხელმძღვანელმა ვალენტინა მელნიკოვამ განმარტა, თუ რატომ არ შეიძლებოდა მოლაპარაკებების ლონდონში გამართვა: "თუ მხარეებს თანაბარ პირობებში სურთ საუბარი, მაშინ ადგილი, სადაც ისინი ერთმანეთს უნდა შეხვდნენ, უპირატესობას არც ერთ მათგანს არ უნდა ანიჭებდეს. ამგვარ სიტუაციაში ბევრი თავიანთ ვიზიტს საიდუმლოდ შეინახავდა. თუმცა, ყველაფერი, რასაც ჩვენ მშვიდობის სასარგებლოდ ვაკეთებთ, ჩვენ მიერ ღიად ხორციელდება".

მელნიკოვასათვის ვიზებთან დაკავშირებული სირთულეები საკმაოდ უცნაურია. მისი აზრით, ევროპას სერიოზულად უნდა აშფოთებდეს ის გარემოება, რომ 10 წლის მანძილზე რუსეთში საომარი მოქმედებები მიმდინარეობს.

როგორც გაირკვა, ბელგია ზაკაევისათვის ვიზის გასაცემად მზად არ არის და გარდა ამისა, ვიზების გაცემა ჯარისკაცთა დედების კავშირის წევრებისათვისაც ფერხდება. "ეს მათი სრული უფლებაა, ქვეყანაში არ შეუშვან ადამიანი, რომელმაც ინგლისში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო. თუმცა, სამწუხაროდ, პრობლემები ჩვენს ჯგუფსაც გაუჩნდა. ჩვენ ვიზების გაფორმებას გვიგვიანებენ. ჩემთვის დღესაც გაუგებარია, შევძლებთ თუ არა სამშაბათს ბრიუსელში ჩასვლას", - განაცხადა მელნიკოვამ.

ბელგიის შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, რომ ზაკაევს ვიზაზე განაცხადი არც კი გაუკეთებია. ლორან პანელსის თქმით, თუ ზაკაევი ბელგიის ტერიტორიაზე შესვლას შეეცდება, მას უკან დიდ ბრიტანეთში გააბრუნებენ, რომელიც შენგენის ზონაში არ შედის.

"საკონსულოში ჩვენ განგვიცხადეს: "თქვენს ვიზებთან დაკავშირებით გარკვეული სირთულეები გაჩნდა, რადგან ჩვენ გვირჩიეს ბელგიის შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის მიგვემართა", - აცხადებს მელნიკოვა. - უცნაური იყო ამის გაგება: ჩვენ უკიდურესად დისციპლინირებული ხალხი ვართ, აქამდე პრობლემა არავის გვქონია... ევროპარლამენტის დეპუტატმა ბარტ სტაისმა ჟურნალისტებს განუმარტა, რომ მას ბელგიის საგარეო საქმეთა სამინისტროდან მიმართეს და რუსეთის მხრიდან გაჩენილ სირთულეებზე ესაუბრნენ.



ბელგიის ხელისუფლება ზაკაევის დაპატიმრებითა და დიდ ბრიტანეთში მისი დეპორტაციით იმუქრება.

მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ჯარისკაცთა დედების კავშირის დელეგაცია ორშაბათს ბრიუსელში გამგზავრებას მაინც გეგმავდა. მელნიკოვას განცხადებით, ბილეთები მოსკოვის დროით საღამოს 9 საათზე იყო შეკვეთილი და ისინი ბრიუსელში გაფრენას ნებისმიერ შემთხვევაში აპირებდნენ.

მისი თქმით, ზაკაევთან 23 ნოემბერს დანიშნული შეხვედრის თაობაზე მას ბრიუსელიდან ევროპარლამენტის დეპუტატის, ბარტ სტაისის თანაშემწემ აცნობა. ცნობილი გახდა ისიც, რომ შეხვედრას არა მარტო სტაისი, არამედ ევროპარლამენტის სხვა დეპუტატებიც დაესწრებიან.

იმავდროულად, ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრმა პატრიკ დევალმა განაცხადა, რომ ზაკაევი, რომელიც დიდი ბრიტანეთის პოლიტიკური თავშესაფარით სარგებლობს, ბელგიიდან გაძევებული იქნება. მისი თქმით, ჩეჩნეთის ემისარს შენგენის ქვეყნებში შესვლა ეკრძალება.

ზაკაევი, აღნიშნული მუქარის მიუხედავად, ბრიუსელში ჩასვლას მაინც აპირებს. "ჯერჯერობით, ევროპარლამენტში მიწვევა ძალაში რჩება და მე ბრიუსელში ჩასვლას ვგეგმავ", - ნათქვამია მის განცხადებაში. იგი გაოცებულია იმით, რომ ბელგიაში ჩასვლითანავე მას დააკავებენ და დიდ ბრიტანეთში გაამგზავრებენ. მისი თქმით, მიმდინარე წლის მაისში ის ბელგიაში იმყოფებოდა, სადაც ჩეჩნეთთან დაკავშირებული საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა. მაშინ ბელგიის ხელისუფლების დამოკიდებულება საკმაოდ მეგობრული იყო. როგორც ზაკაევის განცხადებაშია ნათქვამი, ის იმედოვნებს, რომ "ორშაბათს, როდესაც ბელგიის ოფიციალური პოზიცია გახდება ცნობილი, პრინციპული მიდგომა კონიუნქტურულს გადაწონის".

როგორც ადგილობრივი პრესა იუწყება, ჩაშლის საფრთე ემუქრება ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის კარელ დე გიუხტის მოსკოვში ვიზიტს, რომელიც 22-23 დეკემბრისათვის არის დაგეგმილი. ევროპარლამენტის ზოგიერთ დეპუტატს მიაჩნია, რომ ზაკაევისა და ჯარისკაცთა დედების კავშირის დელეგაციის შეხვედრის მიმართ ბელგიის მთავრობის უარყოფითი დამოკიდებულება, შესაძლოა, რუსეთის ხელისუფლების გარკვეული ზეწოლის შედეგი იყოს. "სასაცილოა რუსების წინაშე ასე დაჩოქება, როდესაც ევროპის სხვა ქვეყნები სხვაგვარად მოქმედებენ", - განაცხადა ბარტ ტაისმა.

დანიამ და დიდმა ბრიტანეთმა რუსეთს საერთაშორისო ტერორიზმის ბრალდებით ზაკაევის ექსტრადიციაზე უარი განუცხადეს. პოლიტიკური თავშესაფარის მიღების შემდეგ ჩეჩნეთის ემისარი ნორვეგიასა და გერმანიაშიც იმყოფებოდა. ტაისის თქმით, "ზაკაევი ჩამოვა და ვნახოთ, თუ ჩაიყენებს ბელგია საკუთარ თავს სასაცილო მდგომარეობაში მსოფლიო საზოგადოების წინაშე".

სტაისმა განაცხადა, რომ ივლისში მან ბრიუსელში ზაკაევის ვიზიტი საგარეო საქმეთა სამინისტროს თხოვნით გადადო. საგარეო უწყების მაშინდელი ხელმძღვანელი ლუი მიშელი მოსკოვში ვიზიტს გეგმავდა, რომელიც მაინც არ შემდგარა. ამჯერად, ტაისი მოლაპარაკებების წარმოებას აპირებს, რათა 25 დეკემბერს დაგეგმილი ევროკავშირი-რუსეთის სამიტის წინ "ზეწოლა გააძლიეროს".



# უძრაობა რევოლუციური ცვლილებების მოლოდინში

ზაზა ფაჩუაშვილი

ხელისუფლების როტაციას ჯანდაცვის სფეროში ერთწლიანი უძრაობა მოჰყვა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ 2004 წელი სრულიად უნაყოფო იყო. ახალმა ხელისუფლებამ სამედიცინო დაწესებულებებისადმი წლების მანძილზე დაგროვილი ვალების გასტუმრება დაიწყო. სამედიცინო პერსონალის ცოტაოდენ დამშვიდებას ხელი იმანაც შეუწყო, რომ დღის წესრიგიდან ამოვარდა სიტყვა "შემცირება", რაც უკიდურესად აშფოთებდა თეთრხალათიანთა უმრავლესობას და არაერთი სასამართლო გარჩევს მიზეზი გამხდარა. სხვათა შორის, ყველა სასამართლო შემცირებულთა გამარჯვებით დამთავრდა.

ამ ხნის განმავლობაში ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სისტემამ ორი ხელმძღვანელი გამოიცვალა. თუმცა, ხელმძღვანელობის შეცვლა უფრო პირობითი ნათქვამია. საქმე ისაა, რომ, როცა გიგი წერეთელი შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი იყო, მაშინ ლადო ჭიპაშვილი პარლამენტის შესაბამის კომიტეტს ხელმძღვანელობდა. შემდეგ მოხდა სახელისუფლო როქი (წერეთელი - პარლამენტში, ჭიპაშვილი - სამინისტროში), თორემ სისტემას ისევ ეს ორი ადამიანი მართავს.

ლადო ჭიპაშვილის სამინისტროში მოსვლას დიდი საკადრო ცვლილებებიც მოჰყვა დევიზით - "არც ერთი ძველი ხელმძღვანელი ჩვენს გვერდით" და ყველა დეპარტამენტისა და სამმართველოს ხელმძღვანელ-მოადგილეები, თითქმის, ერთბაშად გათავისუფლდა. სამინისტროში დარჩენილი რიგითი თანამშრომლები კი ჩუმად ბუტბუტებდნენ, - უცოდინრებით გაივსო აქაურობაო, - მაგრამ ხმამაღლა საუბარს მაინც ყველა ერიდებოდა, - აქაოდა, 2005 წლიდან ხელფასების მომატებაზეა ლაპარაკიო.

აქვე უნდა ითქვას, რომ მომავალი წლიდან, ხელფასების მომატების გარდა, ბევრი სხვა ცვლილებაც იქნება. ყოველ შემთხვევაში, ლადო ჭიპაშვილი სწორედ ამაში გვარწმუნებს და გვეუბნება, - 2005 წლიდან ჯანდაცვაში რევოლუციური ცვლილებებია მოსალოდნელიო.

**"რევოლუციური ცვლილებები დაიწყება 2005 წლიდან, როდესაც ჩვენ დავგეგმავთ იმდენი ლარის სამუშაოებს, რამდენიც ფული გვექნება. მართალია, ვალდებულებები ცოტათი შემცირდება, მაგრამ პაციენტებისთვის ეს სრულებითაც არ იქნება მტკივნეული, ვინაიდან ისინი ამ მომსახურებას მაინც ვერ იღებდნენ. სამაგიეროდ, სამედიცინო დაწესებულებების მიერ შესრულებული სამუშაოები სრულად და დაუგვიანებლად დაფინანსდება. ამიტომ, მომავალი წლიდან სახელმწიფოს პარტნიორი სამედიცინო დაწესებულებები, დღევანდელთან შედარებით, განუზომლად უკეთეს პირობებში იქნებიან",** - აცხადებს მინისტრი.

სრული და უწყვეტი დაფინანსების გარდა, კიდევ რა იგულისხმება რევოლუციურ ცვლილებებში, ამას ზუსტად მაშინ გავიგებთ, როცა ხელთ გვექნება 2005 წლის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები და დამტკიცებული ბიუჯეტი; ასევე, მომავალი წლიდან უნდა შევიტყოთ ჯანდაცვის ახალი რეფორმის ძირითადი კონტურები და დეტალები. ამთავითვე კი იმის ვარაუდი შეიძლება, რომ უძრაობა, ანუ სამედიცინო დაწესებულებების შერწყმა-შემცირება, არც ისე მდგრადი პოზიცია უნდა იყოს, როგორც წლის დასაწყისში იყო დეკლარირებული.

**"ჩემი ბრძანებით, არც ერთი ექიმი არ იქნება გაგდებული ქუჩაში. ოღონდ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ექიმს გადავუსვამთ თავზე ხელს. უღირსი, არაკვალიფიციური და ისეთი ექიმების მიმართ, რომლებიც არ აკმაყოფილებენ თანამედროვე მოთხოვნებს, საკმაოდ მომთხოვნები და პრინციპულები ვიქნებით.**

**რაც შეეხება პრივატიზაციას, თანახმა ვიქნები იმ შემთხვევაში, თუ დაცული იქნება ორი პირობა - თავად შრომითი კოლექტივის თანხმობა და სამედიცინო პროფილის შენარჩუნება",** - ამბობს მინისტრი.

აღსანიშნავია, რომ წლის ბოლოს "უძრავი" 2004 წელი საგრძნობლად შეარყია უპრეცედენტო შემთხვევამ, როცა ფილტვის დაავადებათა ეროვნულ ცენტრში უწამლობითა და უყურადღებობით სასოწარკვეთილმა მომაკვდავმა ავადმყოფებმა შიმშილობა დაიწყეს. მინისტრი მათ ვითარების გამოსწორებას 45 დღეში დაჰპირდა. ეს უკვე 2005 წელი იქნება. ალბათ, ესაა რევოლუციური ცვლილებების დასაწყისი.

# მოკრძალებული ღვაწლი პრობლემების ფონზე

ნანა ქადაგიშვილი

*ვარდების რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურს თბილისის ბიუჯეტიდან 80 ათასი ლარი გამოეყო. ეროვნული ერთიანობის მემორიალის მშენებლობა კი, რომლის პრეზენტაციაც რევოლუციის წლისთავისთვის დაგეგმილ ღონისძიებებში შედის, საბოლოოდ, 2 700 ათასი ლარი დაჯდება. ხელისუფლება აცხადებს, რომ ვარდების რევოლუციის იუბილეს მოკრძალებულად აღნიშნავს. "გვინდა, 2004 წლის 23 ნოემბერსაც ერთიანობის ის განცდა დაგვეუფლოს, როგორც ეს ერთი წლის წინათ იყო", - განმარტავს ქალაქის საკრებულოს ხელმძღვანელი.*



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

თბილისის მთავრობის წარმომადგენელთა ანგარიშებს როცა გადავხედავთ, - ქალაქში არაფერი გაკეთებულაო, - ნამდვილად ვერ ვიტყვით. საკრებულოს სხდომაზე ქალაქის პრემიერის მიერ წარდგენილი 6 თვის ანგარიში საკრებულოს უმრავლესობამ დიდი მოწონებითაც კი მოისმინა. თუმცა, მოსახლეობას რომ ჰკითხო, ეს ძალიან ცოტაა, იმასთან შედარებით, რასაც ისინი ახალი ხელისუფლებისგან ელოდნენ. ჩვენ მიერ გაკეთებული საქმე დედაქალაქში არსებული აურაცხელი პრობლემის ფონზე არ ჩანსო, - თავს იმართლებს მთავრობა.

2004 წლის ბიუჯეტის შედგენისას ქალაქის მთავრობამ, პრეზიდენტის დავალებით, თბილისში არსებულ პრობლემათაგან პრიორიტეტული ამოარჩია და, წინა წელთან შედარებით, 70 მილიონით გაზრდილი ბიუჯეტი ამ შერჩეული პრობლემების მოსაგვარებლად გადაანაწილა. ყველაზე მეტი თანხა (25 მილიონი ლარი) ქალაქის გზების რეაბილიტაციას ერგო. ამ თანხით 27 ქუჩის, მტკვრის სანაპიროების, ხიდების, გვირაბებისა და აეროპორტის ტრასის აღდგენაა დაგეგმილი. 27 ქუჩიდან 12-ის რეაბილიტაცია უკვე დაწყებულია და, როგორც ამბობენ, წლის ბოლოსთვის უნდა დასრულდეს.

ქუჩების აღდგენის შემდეგ ნომერ მეორე პრიორიტეტი გზების განტვირთვა გახლდათ. ახალ სამარშრუტო სქემაზე მუშაობა ჯერ კიდევ ქალაქის ტრანსპორტის რეგულირების სამსახურის ძველმა ხელმძღვანელობამ დაიწყო. შემდეგ სამსახურის ახალ უფროსობას ბევრი რამის შეცვლა დასჭირდა, თუმცა - კონკრეტულად რისი, ჯერ არ ახმაურებენ. როგორც ქალაქის მერმა რამდენიმე თვის წინათ განაცხადა, ახალი სამარშრუტო სქემა ნოემბერ-დეკემბერში უნდა ამოქმედებულიყო, მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, გასაიდუმლოებული სქემა ჯერ ქალაქის მთავრობისთვისაც არ წარუდგენიათ განსახილველად. სამაგიეროდ, პრეზიდენტის ერთ-ერთი დავალება კარგად სრულდება - მერიამ ჰოლანდიიდან უკვე 100 ავტობუსი ჩამოიყვანა და 50-ის ჩამოყვანასაც აპირებს.

ახალი შუქნიშნების დასამონტაჟებლად კი ქალაქის ბიუჯეტიდან 1 300 ათასი ლარია გამოყოფილი. როგორც ქალაქის პრემიერი აცხადებს, ახლად დადგმული შუქნიშნები ეკონომიურიც არის, რადგან ნაკლებ ელექტროენერგიას ხარჯავს. ერთ თვეში კი შუქნიშნებზე კვების წყაროების დაყენებასაც გვპირდებიან, რის წყალობითაც, ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევაში, შუქნიშანი 4-5 საათის განმავლობაში იმუშავებს. ასეთი კვების წყარო საბურთალოს ქუჩისა და გამსახურდიას გამზირის გადაკვეთაზე მდებარე შუქნიშანს უკვე დაუმონტაჟდა. თუმცა, დაპირება ერთია და შესრულება - მეორე. შუქნიშნების დამმონტაჟებელთა ტემპით თვით პრემიერიც კი უკმაყოფილო დარჩა.

აღნიშნულის გარდა, ქალაქის მთავრობის წარმომადგენელთა ანგარიშში ლილოს ნაგავსაყრელის კონსერვაცია, იაღლუჯის ნაგავსაყრელის, ფონიჭალის ნაგავშზიდისა და ნაგვის გადამამუშავებელი ქარხნების ამოქმედებაც შედის. პირადად ქალაქის მერის დამსახურებაა რამდენიმე უკანონოდ მიმდინარე მშენებლობის შეჩერებაც.

რაც შეეხება გარე ვაჭრობის აკრძალვას, რითიც ქალაქის საკრებულოს ხელმძღვანელობა ხშირად იწონებს თავს, ამ საქმეში ქალაქის ძველ მთავრობასაც მიუძღვის წვლილი; თანაც, მეტრო "გოცირიძისა" და ბავშვთა სამყაროს მიმდებარე ტერიტორიას თუ გადავხედავთ, ქალაქის ძველი და ახალი ხელმძღვანელობის ნაღვაწი წყალში ჩაყრილად მოგვეჩვენება. გარე ვაჭრობის აკრძალვა არც ახალი მთავრობისთვის აღმოჩნდა იოლი.

ცოტაა თუ ბევრი, ქალაქის მთავრობის მთელი წლის ნაღვაწი ეს არის. ოღონდ, არსებული პრობლემების ფონზე, გაკეთებული საქმე, თითქმის, არ ჩანს. დასასრულს კი, მერიის შენობის წინ ერთ-ერთი მომიტინგე ქალბატონის სიტყვებს გავიხსენებ: ესენი (მერი და პრემიერი) ერთმანეთში კინკლაობას რომ არ უნდებოდნენ, საქმესაც უკეთ გააკეთებდნენო.

# ქართული განათლება ევროპული საგანმანათლებლო სივრცისკენ

დალი კუპრავა

განათლების სისტემა ის სფეროა, რომელიც პერმანენტულად საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობის ყურადღების ქვეშაა მოქცეული და, შესაბამისად - დიდი მღელვარების გამომწვევიც.

საზოგადოების ყურადღების პარამეტრად სტატისტიკას თუ მოვიშველიებთ, ოპოზიციური შეხვედრების და საპროტესტო აქციების რაოდენობით განათლების სფერო პირველი იქნება. განათლების პრობლემებზე პოლემიკაც საყოველთაო დემოკრატიული თემაა, რომელზეც კამათობენ ყველგან - საზოგადოებრივი ტრანსპორტიდან მოყოლებული, უნივერსიტეტის დარბაზებამდე, და ყველა ხერხით - განცხადებიდან მოყოლებული, სამინისტროს შენობის შტურმით დამთავრებული. განათლების სისტემა ყველა ქვეყანაში ძალიან კონსერვატული სფეროა და, ამავდროულად, განვითარებულ ქვეყნებში ის ყველაზე ინოვაციური და ნოვატორულია.

დღეს განათლების რეფორმა იმ მიმართულებით მიმდინარეობს, რომ გახდეს მსოფლიო სტანდარტების შესაბამისი. ქართველი სპეციალისტი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნისთვის მისაღები სპეციალისტი გახდეს, ყოველგვარი "საზღვარგარეთული" დამატებითი სწავლებების გარეშეც. განათლების რეფორმის მიმართულება, რომ საქართველოში ყველას, ცოდნისა და უნარის შესაბამისად, ჰქონდეს სპეციალობის მიღების საშუალება და ყველა სპეციალისტს ჰქონდეს სამუშაო ადგილი.

რაც შეეხება განათლების სისტემის ნოვატორულობას, ეს ის აუცილებლობაა, რომელსაც ყოველდღიურობა გვკარნახობს. განათლება ის შეუჩერებელი დინამიკაა, რომლის დადებით და უარყოფით შედეგს საზოგადოების ყოველი წევრი სუბიექტურად აღიქვამს; ყოველთვის რჩება რაღაც შეუსრულებელი თუ სასურველი და ეს ბუნებრივიცაა. თუ მედიცინის ძველმა მეთოდმაც შეიძლება მოარჩინოს ავადმყოფი, განათლების მოძველებული სტანდარტი და მეთოდები ადამიანს თანამედროვე ცხოვრებისთვის ვერ მოამზადებს.

1999 წელს ბოლონიაში, ევროპის პირველი უნივერსიტეტის სამშობლოში ოცდაცხრა ევროპული ქვეყნის განათლების მინისტრებმა ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომელიც 2010 წლისათვის უმაღლესი განათლების საერთო ევროპული სივრცის შექმნას ითვალისწინებს. ამ დეკლარაციის მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეებს საერთო ევროპული სტანდარტებისათვის დამახასიათებელ განათლებას მისცემენ. "ბოლონიის ჯგუფის" შეხვედრების ორგანიზატორმა პაველ ზგაგამ განაცხადა, რომ საქართველოსათვის ამ პროცესში ჩართვა შესაძლებელია, რადგან საქართველო ევროპული კულტურული კონვენციის წევრია და აქ "ტასისისა" და "იუნესკოს" პროგრამებიც ხორციელდება. მთავარია სურვილი და ვალდებულებების აღებისა და მისი შესრულების უნარი.

ბოლონიის პროცესთან შეერთების კიდევ ერთი შანსი საქართველოს გაისად მიეცემა. თუ ის ამ შესაძლებლობასაც ხელიდან გაუშვებს, მომავალში ამის განხორციელება ბევრად რთული, ან, საერთოდ, დაგვიანებული იქნება. ბოლონიის პროცესისათვის მზადება 2010 წელს დასრულდება. თუ ამ დროისათვის საქართველოც ამ პროცესის წევრი ქვეყანა გახდება, მაშინ ქართველ, ისევე, როგორც ნებისმიერ ევროპელ სტუდენტს მიეცემა უფლება, ისეთი დიპლომი მოიპოვოს, როგორსაც ერთნაირი ძალა ექნება არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში.

განათლების კანონპროექტები სწორედ იმ იურიდიულ საფუძველს შექმნის, რომელიც მაქსიმალურად უზრუნველყოფს საერთო ევროპულ სივრცეში გაწევრიანებას, სტუდენტების მაქსიმალურ თავისუფლებას სწავლის გზების, ადგილების და მეთოდების არჩევაში; უზრუნველყოფს აკადემიური და სამეცნიერო პროგრამების და ხარისხების სრულ თავსებადობას და საუნივერსიტეტო სისტემების თანასწორობას.

მსოფლიო გლობალიზაციის პროცესი ობიექტურად მოითხოვს ამას და ეს არ მიუთითებს ეროვნულობის დაკარგვის პერსპექტივაზე, როგორც საზოგადოების და სპეციალისტების ერთ ნაწილს მიაჩნია.

# "ფაგობიოდერმით" მთავრობა დაინტერესდა

ნინო ბერელიძე

"ფაგოთერაპიის ცენტრის" საქმიანობა თანდათან ცნობილი ხდება საზოგადოებისათვის. ქართველმა ქიმიკოსებმა და მიკრობიოლოგებმა შექმნეს პრეპარატი "ფაგობიოდერმი", რომლითაც შესაძლებელი გახდა ისეთი საშიში ინფექციური ჭრილობების მკურნალობა, როგორიცაა - ოსტეომილიტი, დიაბეტური ტერფი, ტროპიკული წყლული, ნაწოლები. რადგან პრეპარატის ლაბორატორული გზით მიღება საკმაოდ ძვირია და მასზე საზოგადოების დიდ ნაწილს ხელი არ მიუწვდება, ქალაქის მერიამ და მისმა მუნიციპალურმა სამსახურმა კეთილი ნება გამოიჩინეს და მათ მიერ შემუშავდა პროგრამა, რომელიც 2005 წლის ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსდება. თანხები დიდი არ იქნება, მაგრამ 20-მდე მძიმე ინფექციური ჭრილობით (ოსტეომილიტი და დიაბეტური ტერფი) დაავადებული პაციენტის მკურნალობა მოხდება.

მეცნიერების გამოგონება "ფაგობიოდერმი" შეუმჩნეველი არ დარჩენილა უცხოელებისათვის. ტელეკომპანია BBC-მ ფაგების შესახებ გადაიღო ორმოცწუთიანი დოკუმენტური ფილმი და უცხოეთში ქართული პრეპარატით დაინტერესება საგრძნობლად გაიზარდა. "ფაგოთერაპიის ცენტრს" ინფიცირებული ჭრილობების სამკურნალოდ უკვე ბევრი უცხოელი მიმართავს. ცენტრში კიდევ ერთი ამერიკელი პაციენტი განიკურნა, რომელსაც ფეხზე ტროპიკული წყლული ჰქონდა და ამის გამო სამშობლოში კიდურის ამპუტაცია ელოდა. ეს უკვე მეხუთე უცხოელი პაციენტია, რომელიც სრულიად გამოჯანმრთელებული და ქართველი ექიმების მადლიერი ბრუნდება სამშობლოში.

გაზრდილი ინტერესის გათვალისწინებით, "ფაგოთერაპიის ცენტრის" დირექტორი ვახტანგ ბერიძე ცენტრის გაფართოებას გეგმავს. ამისათვის მას კვალიფიციური კადრები სჭირდება. ქირურგების მომზადებას ისახავს მიზნად კონკურსი, რომელიც ცენტრში უახლოეს მომავალში გამოცხადდება. ახალგაზრდა ქირურგებს შესაძლებლობა ექნებათ, ცენტრში, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტისა და ბაქტერიოფაგის ინსტიტუტის ბაზაზე, სწავლების კურსი გაიარონ. ორისამი წარჩინებული ახალგაზრდა სტიპენდიასაც მიიღებს.


## ვაკანსია

ამერიკული კომპანია Procter&Gamble-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში შ.პ.ს “არტი” იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე

**აუცილებელი მოთხოვნები:**

ა) ასაკი - 24 წლამდე;

ბ) განათლება - უმაღლესი;

გ) უპირატესობა მიენიჭებათ ავტომანქანის მართვის უფლებების მქონე კანდიდატებს.

კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ,**

ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ 30 ნოემბრამდე.

ფაქსი: 94-18-94.

ელ-ფოსტა: hr@arti.ge



**გვესაჭიროება ჩეხურ-ინგლისურ-ქართული ენების გამოცდილი თარჯიმანი კომპიუტერის ცოდნით.
გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ:
ტელ: 244310, 244305 ; მობილური: 899 176440
ელ. ფოსტა: tamriko.natsvlishvili@pagmbh.ge**


# მთავარი დადებითი ძვრებია

*2004 წლის მიწურულს საზოგადოებრივი აზრი იმასთან დაკავშირებით, ახალი ხელმძღვანელობის მოსვლით რა გაკეთდა ქვეყანაში, კერძოდ - სოციალური კუთხით, არაერთგვაროვანია. ამ საკითხზე ბევრი მადლიერებით, ბევრიც უკმაყოფილოდ ლაპარაკობს. რეალურად კი, ვინც რა უნდა თქვას, საქმე მაინც გაკეთდა. მართალია, სკეპტიკურად განწყობილებისთვის ეს ზღვაში წვეთია, მაგრამ მთავარი დადებითი ძვრებია. ყველაზე თვალშისაცემი კი ის არის, რომ ჩვენს ხანდაზმულ მოქალაქეებს ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა მოუგვარდათ - პენსიას დროულად იღებენ; ერთ თვეში კი პრეზიდენტის შეპირებულ გაორმაგებულ პენსიას - 28 ლარსაც ელიან.*

ნონა მაისურაძე

სოციალურ სფეროში მიმდინარე ცვლილებები ყველაზე თვალნათლივ საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში მიმდინარე მოვლენების ფონზე ჩანს. ამ უწყებაში 2004 წლიდან ახალი ხელმძღვანელობა მოვიდა, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული სოციალურად დაუცველი ფენის მდგომარეობაზე ზრუნვა გახლდათ. პირველი, რაც გაკეთდა, იყო უმწეოთა დამატებითი ინდივიდუალური დახმარების პროგრამა, რომლის ფარგლებში, მთელი წლის მანძილზე უამრავ გაჭირვებულ ადამიანს გაეწია დახმარება. თუ ადრე ამ პროგრამით გათვალისწინებული ხარჯებით ჩინოვნიკები სარგებლობდნენ, წელს თანხა მიზანმიმართულად დაიხარჯა. ამაზე ფონდში მადლობის სათქმელად მოსული ადამიანები მეტყველებენ.

სასიკეთო ცვლილებები საპენსიო კუთხითაც განხორციელდა - ამოქმედდა სტაბილური დაფინანსების გრაფიკი. თუ ადრე საპენსიო თანხების დროული გაცემა პრობლემა იყო, 2004 წელს ეს საკითხი მოგვარდა. მიმდინარე თვის დაფინანსება სოციალური დაზღვევის სახელმწიფო ფონდის მიერ იმავე თვის 15 რიცხვიდან იწყება და თვის ბოლომდე სრულდება.

საპენსიო დავალიანებების, "გაყინული პენსიების" ყბადაღებული თემა მალე წარსულს ჩაბარდება. წინა პერიოდის დავალიანებების მნიშვნელოვანი ნაწილი 2004 წელს დაიფარა. ამისათვის გადარიცხულია 75 მილიონი ლარი. წლის ბოლომდე კიდევ 15 მილიონი გადაირიცხება. მთლიანად იქნა გასტუმრებული დევნილ პენსიონერთა მიმართ წინა წლებში არსებული დავალიანება, აგრეთვე - მარჩენალდაკარგულთა საპენსიო დავალიანება. სრულად დაიფარა ცხინვალის რეგიონისა და კონფლიქტის ზონის მიმდებარე სოფლების პენსიონერთა დავალიანება, მესტიის რაიონის, როგორც სტიქიით დაზარალებული ზონის, პენსიონერთა საპენსიო დავალიანება. დაიფარა, აგრეთვე, გარდაცვლილ პენსიონერთა ოჯახის წევრების მიმართ არსებული დავალიანება; ნაწილობრივ გასტუმრებულ იქნა ძალოვანი პენსიონერების ვალები.

აპრილის თვიდან პენსიის ოდენობა მცირედით გაიზარდა, 2005 წლის იანვრიდან კი პენსიონერები 28 ლარს მიიღებენ.

საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სოციალური დაზღვევის ერთიანმა სახელმწიფო ფონდმა 2004 წლის აგვისტოდან საქართველოში პენსიონერთა საკონტროლო რეგისტრაცია დაიწყო, რომლის მიზანია პენსიონერთა საერთო ბაზის შექმნა, უზუსტობების აღმოფხვრა და საპენსიო სახსრების მიზანმიმართული და სამართლიანი განაწილება.

ბოლო პერიოდის მანძილზე საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში შემოსავლების მკვეთრმა ზრდამ გააუმჯობესა როგორც სამედიცინო, ისე დასაქმების პროგრამების დაფინანსებაც.

სოციალური კუთხით არსებული ეს საიმედო ცვლილებები მომავალში კიდევ უფრო მეტი სიახლის საფუძველს იძლევა. როგორც საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ აღნიშნა, 2005 წელი საპენსიო სისტემაში ახალი ცვლილებებისა და გადაწყვეტილებების წელი იქნება.

# არარევოლუციური გარემო გარემოს დაცვაში

*რევოლუციური წელი გავიდა. თითქოს, გარემოს დაცვა ის თემაა, სადაც რევოლუციური განწყობა ყველაზე მალე უნდა ჩაქრეს საქმიანი ვითარების სასარგებლოდ, მაგრამ არც აქ მოხდა ასე; მეტიც - გარემოს დაცვა სრულმა ინერტულობამ მოიცვა, გარდა რიგი შემთხვევებისა.*

ოთარ ქირია

რევოლუციის ასაკთან შედარებით, გარემოს დაცვის ახალი ხელისუფლება გაცილებით პატარაა. ალბათ ამიტომაც, აქ დიდ ცვლილებებს ადგილი არ ჰქონია. აქ ყველა "ძველს" არავინ დარევია რევოლუციური შანთებით და ადამიანები ულუკმაპუროდ არ გაუშვიათ სახლებში, მიუხედავად იმისა, იყო ის კორუმპირებული, თუ არა. რაფინირება ძველ თუ ახალ "კარგებსა" და "ცუდებს" შორის მაინც მოხერხდა. თავად მინისტრი თამარ ლებანიძე კი გარემოს დაცვაში საფინანსო საქმიანობიდან მოხვდა.

მთავრობაში დღესაც მიაჩნიათ, რომ გარემოს დაცვის სამინისტროსთან მიწის მართვის დეპარტამენტის ნაწილის, ჰიდრომედცენტრის, სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის და სხვათა გარემოს დაცვის სამინისტროში გაერთიანება შესანიშნავი ძვრა იყო. მაგალითად, ექსპერტი ქეთი გუჯარაიძე ამბობს, რომ **"ეს გაუაზრებელი ნაბიჯი იყო. ერთ გაჭირვებულს ათი გაჭირვებული მიუმატეს. ყველაფერი აურდაურიეს".** სხვათა შორის, მხოლოდ გუჯარაიძე და "მწვანე ალტერნატივა" არ აფასებენ მსგავსად მთავრობის ნაბიჯს. თუმცა, სამინისტროში ფიქრობენ, რომ ეს დიდი სიკეთე იყო. მას, ასევე, მოსწონს ის, რომ ყველა სახის ლიცენზიები და ნებრათვები ერთ სამსახურში გაერთიანდა, - ინვესტორებს ბევრი სარბენი აღარ ექნებათო. მაგრამ, რამდენად სწორია, როცა გარემოს დაცვის სამინისტრო ინვესტორებზე უფრო ზრუნავს, ვიდრე გარემოს დაცვაზე. გარემოს დაცვის სამინისტროს ინვესტორები, ძირითადად, იმისთვის აწუხებენ, რომ ბიზნესი აკეთონ; ამასთან, ნებსით თუ უნებლიეთ გარემო დააბინძურონ, ხოლო ლიცენზიებისა და ნებართვებისათვის სამინისტროს მიმართონ.

თუმცა, არც ისეა საქმე, რომ ყველაფერი უკან მიდის. სამინისტროში, უკვე დიდი ხანია, მუშაობს რამდენიმე ათეული პროექტი, რომელსაც საერთაშორისო ორგანიზაციები და დონორები მართავენ სამინისტროსთან ერთად. არცთუ დიდი ხნის წინათ სამინისტროში გაკეთდა რამდენიმე პროექტის ანგარიში - მათ შორის, მდგრადი ორგანული დამაბინძურებლების (სტოკჰოლმის კონვენცია) პროექტის, რომელიც წელს დაიწყო გაერო-ს განვითარების პროგრამის დაფინანსებით და საკმაო წარმატებით მიმდინარეობს. სერიოზული შედეგები აქვს, ასევე, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის პროექტებს. სატყეო მეურნეობის დეპარტამენტმა, პირველად უწყების ისტორიაში, თურქ კოლეგებთან მოაწერა შეთანხმებებს ხელი. კავკასიის რეგიონული გარემოს დაცვითი ცენტრი კი, "კიევი+"-ის ფარგლებში, ათობით საერთაშორისო ორგანიზაცია მასპინძლობდა. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომელიც უშუალოდ სამინისტროს ძალისხმევით მოეწყო, გარემოს დაცვის მინისტრების თბილისში ჩამოყვანა და სამთავრობო დონის კონფერენციის გამართვა იყო. მას "კიევი+" ეწოდა და მსოფლიოს გარემოს დაცვის მინისტრთა სამიტის დამატებად ჩაითვალა.

ერთობ საინტერესო იყო სამინისტროს აგვისტოს გადაწყვეტილება "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის" პროექტის შეჩერებასთან დაკავშირებით, თუმცა ის მალევე ჩაანაცვლა საოცარმა ბრძანებამ, რომელსაც, სხვათა შორის, წინ უსწრებდა უმაღლესი მთავრობის აშშ-ში ვიზიტი. მინისტრმა ლებანიძემ გამოსცა ბრძანება, რომლის თანახმადაც, ნავთობსადენის მშენებლობის პროცესში ნებისმიერი სადენთან დაკავშირებული ქვეპროეტი თავისუფლდება გარემოს დაცვითი ნებართვის მიღების ვალდებულებისგან. არასამთავრობოები ამას სკანდალს უწოდებენ. ისე კი, ბორჯომში მილი უკვე გადის. თუმცა, რატომღაც არც "ბი-პის", არც ვინმე სხვას არ ახსენდება, რომ მეწყერმა სოფელი დვარი უკვე სანახევროდ დაფარა და მალე ამ მილსაც მოულებს ბოლოს. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ, არასამთავრობოების პროგნოზით, ბორჯომს ახლა მხოლოდ ის გადაარჩენს, თუ მეწყერი მილს მანამდე გაანადგურებს, ვიდრე ნავთობს გაუშვებდნენ. არანაკლებ მტკივნეულად აღიქმება ის საუბრებიც, რომელიც ყულევის ტერმინალის მშენებლობის აღდგენასთან დაკავშირებით დაიწყო. ერთი სიტყვით, აშკარაა, რომ ჩვენში ფულს მეტ უპირატესობას ანიჭებენ, ვიდრე გარემოს დაცვას, რაც ძლიან, ძალიან ძვირი დაუჯდება ერს და, აქედან გამომდინარე - "ვარდების ხელისუფლებას".

# მოიპარე? სახელმწიფოს გაუყავი!







*[illegible]*

სოფიკო ჩხაიძე

ყოფილ მაღალჩინოსანთა დაპატიმრებებმა, რითაც ასე გამოირჩია თავი დღევანდელმა ხელისუფლებამ, დიდი, ზოგჯერ არცთუ აუცილებელი, ხმაურით ჩაიარა. ხმაურით ჩაიარა ამ ყოფილ მაღალჩინოსანთა მხრიდან იმ თანხების გადახდამ, რომელთა მიტაცებასაც საქართველოს ხელისუფლება ედავებოდა. [illegible]

# კანონის უზენაესობის დასამყარებლად ერთი წელი საკმარისი არ აღმოჩნდა

*[illegible]*

თამარ კაციტაძე

ვინ ვინ და, ერთი წლის განმავლობაში პროკურატურის მიერ გაწეული მუშაობით დღევანდელი ხელისუფლება ნამდვილად კმაყოფილია (ისევე, როგორც თავის დროზე წინამორბედი ხელისუფლების წარმომადგენლები). სამაგიეროდ, უკმაყოფილოა საზოგადოების ერთი ნაწილი, რომელიც თვლის, რომ გენპროკურატურა კვლავ სახელმწიფო კანცელარიიდან წამოსული დირექტივებით მუშაობს.

სხვათა შორის, ცნობილი ფაქტია, რომ პროკურატურაში კომპრომატები ყველას შესახებ ინახებოდა და ინახება, მიუხედავად თანამდებობისა და პოლიტიკური კუთვნილებისა. უბრალოდ, მათი გახმაურებაა პოლიტიკურ დირექტივაზე დამოკიდებული.

აქედან გამომდინარე, დღევანდელმა პროკურატურამ ბევრ ძველ სახეს წარსულ ცოდვებზე დამსახურებულად მოსთხოვა პასუხი, მაგრამ, როცა ყოფილ მაღალჩინოსანთა დანაშაულთან დაკავშირებით რამდენჯერმე დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლების ახლობელთა გვარებმაც გაიჟღერა, გამოძიებამ ამ კვალს გაყოლას თავი აარიდა. ამასთანავე, არ დასრულებულა არც ერთი იმ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, რომლებშიც ახლანდელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის გვარები ფიგურირებდა და ჯერ კიდევ რევოლუციამდე იყო აღძრული.

ამის მაგალითად ე.წ. ინვალიდების საქმის გახსენებაც კმარა. ამ საქმეს თავის დროზე დიდი სკანდალი მოჰყვა და ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე კი ძიება შეწყდა. ძიებისთვის წერტილის დასმის ოფიციალური მიზეზი უცნობია, ცნობილია მხოლოდ ის, რომ "ინვალიდების" საქმის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტი, "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტი კოტე კემულარია ჯერ რუსეთში საქართველოს ელჩად დაინიშნა, დღეს კი მოღვაწეობას უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე აგრძელებს. არ არის გამორიცხული, რომ გამოძიებას კემულარიას წინააღმდეგ საკმარისი მტკიცებულებები მართლაც არ აღმოაჩნდა, მაგრამ ეჭვს ის ფაქტი ბადებს, რომ ამ საქმეზე ოფიციალური კომენტარის გაკეთება არავის სურს.

ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ მოულოდნელი შედეგით დასრულდა კრიმინალურ ისტორიაში უკვე ლეგენდად ქცეული პანკისელი შოთა (მევლუდ) ჭიჭიაშვილის საქმის გამოძიებაც. [illegible] ლობაში მფარველობდნენ. ჩვენი ინფორმაციით, ავტორიტეტულმა დამნაშავემ მაშინდელ უშიშროების მინისტრს თვითმფრინავში მისცა ჩვენება და გატაცებებთან დაკავშირებული მაღალჩინოსანი პოლიციელების გვარებიც დაასახელა, მაგრამ გენპროკურატურაში მიმდინარე გამოძიებას ამ კუთხით აღარ უმუშავია. როგორც ამბობენ, შოთა ჭიჭიაშვილს საპყრობილეში ერთ-ერთი ახლანდელი მაღალჩინოსანი სამართალდამცველი თავად ეწვია და გარიგებაც იქვე შედგა. დღეს შოთა ჭიჭიაშვილის სასამართლო პროცესზე მისული დაზარალებულები, რომლებიც თავის დროზე მის გვარს თავიანთ ჩვენებებში აქტიურად ახსენებდნენ, ჭიჭიაშვილს ვეღარ ცნობენ ან დაშაულში მის მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფენ.

ასე უპასუხოდ დარჩა კითხვები, რომლებიც ცოტა ხნის წინ, ძველი პოლიციელების უმძიმეს დანაშაულებთან დაკავშირებით გაისმოდა. თუმცა, გაჩნდა ახალი კითხვა - რატომ არის ახალი ხელისუფლება გახმაურებული გატაცებების საქმის მიჩქმალვით დაინტერესებული და ძველ სამართალდამცველთა დანაშაულებზე რატომ აღარ საუბრობენ ისე აქტიურად, როგორც ეს მათი მხრიდან ხელისუფლებაში მოსვლამდე გვესმოდა?

[illegible] ხალხს თავისუფალი არჩევანის უფლება წაართვა და რომელიც, ფაქტობრივად, "ვარდების რევოლუციის" საფუძველი გახდა, სამართლებრივი შეფასების გარეშე რჩება. როგორც ამბობენ, ამ საქმის გამოძიება უკვე აღარავის ახსოვს, მეტიც - ხელს აღარავის აძლევს.

**"მასალების მიწოდებასთან ერთად, გენერალურ პროკურორს მივმართეთ განცხადებით, სადაც კონკრეტულად დავასახელეთ ის პირები, ვისი უშუალო დამსახურებაც გახლავთ 2 ნოემბრის არჩევნების გაყალბება. დარწმუნებული ვართ, თუ გამოძიება ობიექტურად წარიმართება, ამ ხალხის და კიდევ ბევრი პიროვნების დანაშაული დადასტურდება. თუ არჩევნების გაყალბებაზე პასუხს ვინმე ერთხელ მაინც აგებს, ეს იქნება მაგალითი საარჩევნო კომისიების მომავალი წევრებისთვისაც. მაგრამ თუ საქართველო ტრადიციულ გზას გაჰყვება და დამნაშავეები არ დაისჯებიან, არ არის გამორიცხული, რომ ქვეყანა უახლოეს მომავალში იმავე პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს,"** - აღნიშნავდა იმ დროის "სამართლიანი არჩევნების" თავმჯდომარე ზურაბ ჭიაბერაშვილი.

რა პოზიცია აქვს დღეს არჩევნების გაყალბების საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით საარჩევნო კომისიის თავმ-[illegible] **ერ პროკურატურაში გადაგზავნილ მასალებში სრულად იყო ასახული არჩევნების სისტემა და ტექნოლოგია, სადაც პირდაპირ ჩანდა დანაშაულის კვალი და თუ გამოძიება მოინდომებდა, დამნაშავეებსაც ძალიან მალე და ადვილად დაადგენდა. არ არის გამორიცხული, რომ ამ საქმეში დანაშაულის ძაფები ამ ხელისუფლების წარმომადგენლებამდეც მიდიოდეს. ეჭვი მაქვს, რომ საარჩევნო სიების გაყალბებაში სერიოზული ძალები იყვნენ ჩართული და დიდი ფულიც იყო ჩადებული. ამიტომაც, არ გამიკვირდება, თუ გამოძიება ლოგიკურ დასასრულამდე არ მივა,"** - აღნიშნა ჩვენთან საუბარში ლაშა ტუღუშმა.

"ვარდების რევოლუციის" ერთი წლისთავზე ქართველი სამართალდამცველები შევარდნაძის დროინდელი ჩინოსნების მასობრივი დაპატიმრებებით ამაყობენ, არადა, საქართველოს კანონმდებლობა მათ ზოგადად კანონის დაცვის სამსახურში ყოფნას ავალდებულებს - კანონის, რომლის წინაშეც თანაბარია ნებისმიერი ხელისუფლების თანამოაზრეც და მოწინააღმდეგეც. კანონის დაცვის პირობით ქვეყნის სათავეში მოსული ხელისუფლებისთვის კანონის უზენაესობის დასამყარებლად ერთი წელიწადი საკმარისი არ აღმოჩნდა.

# "ხავერდოვან რევოლუციას" ციხეში არ შეუღწევია

***"დიდი იმედი გაგვიჩნდა და ხმასაც იმას ვაძლევთ, ვინც ეს იმედი დაგვიბრუნა,"*** *- ზუსტად ერთი წლის წინ პატიმართა უდიდესი უმრავლესობა ასეთი იმედიანი განწყობითა და სურვილით, რომ მათ მიერ დანახული მომავლის იმედი დაეცვათ, საარჩევნო ურნებთან მიდიოდა და "ხავერდოვანი რევოლუციით" მოსულ ხელისუფლებას აძლევდა ხმას. გაჩენილ დიდ იმედს, რომელმაც პატიმრები საარჩევნო ყუთთან მიიყვანა, დიდი სიახლის მოლოდინი ედო საფუძვლად. ციხის გისოსებს მიღმა მყოფი ადამიანებისთვის "ხავერდოვანი რევოლუციის" გამარჯვება, გარდა დემოკრატიისა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობისა, უამრავი სოციალური პრობლემის მოგვარებასთან და პირად კეთილდღეობასთანაც იგივდებოდა.*

ინგა ალავიძე

**"რევოლუციის შემდეგ, იმედი გვქონდა, რომ რაღაც შეიცვლებოდა, მაგრამ სიტუაცია უცვლელია, ზოგ შემთხვევაში დამძიმდა კიდეც. ეს არის ადგილი, სადაც მონანიებაზე საუბარიც ზედმეტია. ეს არის სამყარო, სადაც მგლური კანონებია გამეფებული. აქედან ისეთი გაცხოველებული გადიხარ, რომ გამოსწორებაზე და ნორმალური ცხოვრების რიტმისთვის ფეხის აწყობაზე საუბარიც ზედმეტია,"** - რევოლუციის წლისთავზე, უკვე დღეს, ასეთი განწყობილება აქვთ პატიმრებს და აცხადებენ, რომ "ხავერდოვან რევოლუციას" საპატიმროებში ჯერ არ შეუღწევია.

სამწუხაროდ, ქართული პენიტენციური სისტემა რეფორმისა და საერთაშორისო სტანდარტებისგან ჯერ კიდევ შორსაა. ციხეს დღესაც კვლავ "კანონიერი ქურდები" მართავენ და საკმაო წარმატებითაც, კვლავ გროვდება "ობშიაკი" - პატიმრები კვლავ იხდიან არაოფიციალურ გადასახადებს, ამ სისტემას კვლავ მართავს კორუფცია.

სტატისტიკა ასეთია: საქართველოში დღეისთვის 7203 პატიმარია, აქედან 25 - არასრულწლოვანი მსჯავრდებული; 60 - არასრულწლოვანი განსასჯელი; 90 - ქალი მსჯავრდებული, ხოლო 30 - განსასჯელი ქალი; 7 ათას 203 პატიმრიდან 2800 განსასჯელი და ბრალდებული საგამოძიებო იზოლატორში - ორთაჭალის ციხეში იმყოფება, 67 - მე-7 საპყრობილეში, ხოლო დანარჩენი პატიმრები, მათ შორის მსჯავრდებულებიც, 15 საპატიმრო დაწესებულებაში არიან გადანაწილებული.

საყოფაცხოვრებო პირობების მხრივ, 15 საპატიმრო დაწესებულებიდან გამორიჩევა არასრულწლოვანთა კოლონია, ქსნის ტუბზონა, ქსნის ახლადგახსნილი №5 დაწესებულება და ქალთა კოლონია. თავისუფლად შეიძლება თქმა, რომ ამ ოთხ საპატიმრო დაწესებულებაში არსებული პირობები ევროსტანდარტების შესაბამისია, რასაც, სამწუხაროდ, სხვა საპატიმრო ადგილებზე ვერ ვიტყვით. ამ მხრივ, განსაკუთრებით კატასტროფულ მდგომარეობაში №1 საპყრობილე - ორთაჭალის ციხეა.

საუკუნენახევრის წინ აშენებული გუბერსკის ციხე, ფაქტობრივად, დანგრევის პირასაა მისული და თანაც, პატიმრებით ისეა გადატვირთული, რომ მას უკვე საწამებელ ადგილსაც უწოდებენ. საქმე ისაა, რომ ორთაჭალის საპყრობილე 1300 პატიმარზეა გათვლილი, მაგრამ იქ ამჟამად 2800 პატიმარი იმყოფება. არადა, არსებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ერთ პატიმარზე საცხოვრებელ ფართად 2,5 კვ.მ-ია გათვალისწინებული, რაც ორთაჭალის საპყრობილეზე არ ვრცელდება. აქ არსებული საკნების 90 პროცენტი ციხის სლენგით, "სმენკაზეა" ანუ, ერთ ნარზე 2-3, ზოგ შემთხვევაში კი, 5 პატიმარიც მოდის, რის გამოც, ისინი მორიგეობით იძინებენ და როგორც თავად ხუმრობენ, "მორიგეობით სუნთქავენ ჟანგბადს". საკნები იმდენადაა გადატვირთული, რომ პატიმრების ფეხზე დგომაც დიდ პრობლემასთანაა დაკავშირებული. სიტუაცია მართლაც ყვარყვარისებურია: - ყვარყვარე უფროსო, არ ეტევა1 - კუჭკუჭიას ამ გულუბრყვილო "შენიშვნას" ყვარყვარეს პრეტენზიული პასუხი მოსდევს: - კარი იკეტება? ესე იგი, ეტევა! სწორედ ამიტომაც იგივდება დღევანდელ ციხე ყვარყვარეს ციხესთან - კარი ჯერჯერობით იკეტება.

ამ პრობლემის გამო ხელისუფლების წარმომადგენლები კარგა ხანია წუხან, მაგრამ რეალურად ჯერ არაფერი შეცვლილა. არც იუსტიციის მინისტრის წინადადებას მოჰყოლია ლოგიკური დასასრული. საუბარია გიორგი პაპუაშვილის ინიციატივით შეკრებილ 400 საქმეზე, რომელიც მსუბუქი დანაშაულის გამო დაპატიმრებულებს ეხებოდა და რომლებსაც, მინისტრის რეკომენდაციით, აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა უნდა შეცვლოდათ. ეს თემა გაპიარდა და ამით დასრულდა ყველაფერი.

სახელმწიფოს ზრუნვის საგნად არც პატიმართა ჯანმრთელობის დაცვა გაუხდია.

რევოლუციამდე ასეთი სტანდარტები იყო: მხოლოდ მედიკამენტებისთვის, წელიწადში 100 ათასი ლარი იყო გამოყოფილი. ანუ, ერთ პატიმარზე წელიწადში გათვალისწინებული გახლდათ 13 ლარისა და 33 თეთრის წამალი, თვეში - ერთი ლარისა და 10 თეთრის, ხოლო დღეში - 3 თეთრის. ეს არ გახლავთ მოგონილი ციფრები. ეს ის თანხაა, რაც შევარდნაძის ხელისუფლებამ პატიმრებისთვის გამოყო, ხოლო ახალმა ხელისუფლებამ არც იფიქრა მათ გაზრდაზე. მეტიც, როგორც პარლამენტის ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ელენე თევდორაძე აცხადებს, ახალ ბიუჯეტში პატიმართა მედიკამენტებით უზრუნველყოფის ხარჯები საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ანუ, "ვარდების რევოლუციით" მოსულმა ხელისუფლებამ წინამორბედის შეცდომები არც გამოასწორა და იუსტიციის მინისტრს ახლა, ფაქტობრივად, ხელგამოწვდილი სიარული უწევს, რათა ჯანდაცვის სამინისტროსგან ელემენტარული ტკივილდამაყუჩებელი აბები მაინც მიიღოს (სხვათა შორის, ეს ტკივილდამაყუჩებელი აბები საპატიმროში ერთ ლარად იყიდება). არადა, პატიმართა უმრავლესობა უმძიმესი ავადმყოფობითაა დაავადებული. დღეს ქართულ ციხეში მსოფლიოს მიერ "საუკუნის დაავადებად" აღიარებული ვირუსები - ჰეპატიტი, შიდსი, ტუბერკულოზი და სხვა მძიმე დაავადებები მძვინვარებს, ხელისუფლება კი მათ მკურნალობაზე არ ფიქრობს. არადა, ციხე ამ ვირუსების საზოგადოებაში გავრცელების კერაა და ამ სავალალო შედეგებს ვიმკით კიდეც. ფაქტია, ციხე სამკურნალო დაწესებულება არ არის, მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ იქ მოხვედრილ ადამიანს სიცოცხლის უფლება არ აქვს. არადა, ქართულ ციხეში გავლილ პატიმარს სიკვდილის ან სამუდამო ინვალიდობის დიდი შანსი გააჩნია, ვიდრე იმისა, რომ საზოგადოებას სრულფასოვან ადამიანად დაუბრუნდეს.

რაც შეეხება კვებას - საპატიმროს ტრადიციული მენიუ წლებია, არ შეცვლილა. პატიმართა ყოველდღიური კვებისთვის ლარი და 80 თეთრია დაწესებული. სხვათა შორის, პატიმართა კვების რაციონი ციხეში დღესაცაა გამოკრული და, სამწუხაროდ, ის შევარდნაძის ეპოქას შეგახსენებთ, რადგან მას ხელს სწორედ შევარდნაძის დროინდელი უფროსი აწერს. ანუ, ამ სისტემაში კვების მხრივაც არაფერი შეცვლილა. არ გათვალისწინებულა ევროსაბჭოს მოთხოვნები კვების დეცენტრალიზაციის შესახებ. არადა, ასეთ შემთხვევაში ყველა საპატიმრო დაწესებულებაზე ქალთა კოლონიაში განხორციელებული ნოვაცია ამოქმედდებოდა (იუსტიციის მინისტრის ინიციატივით ქალთა კოლონიაში ამ ექსპერიმენტმა გაამართლა) და პატიმართა კვება პრობლემებთან არ იქნებოდა დაკავშირებული. თუმცა, როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც ხელისუფლების ნებაა საჭირო.

კვლავ პრობლემაა ე.წ. "უდო" - ვადამდე ადრე გათავისუფლება და უკანონო პატიმრობის თემა. კვლავ პრობლემაა საკადრო გადახალისება. ამ სისტემაში გიორგი პაპუაშვილის ინიციატივით მოსული რამდენიმე ახალი სახე ამინდს ვერ შექმნის მანამდე, სანამ იქ იქნებიან საბჭოურ სისტემაში გამობრძმედილი კადრები, ასეთებით ეს სისტემა სავსეა. არადა, სწორედ მათი, "ძველი კადრების" აქტიურობით იბლოკება "ახალი სახეების" რევოლუციური მცდელობა - სისტემის გარდაქმნისკენ სვლა.

დაბოლოს, გუშინ საქართველოს პრეზიდენტს ერთი კვირის წინ გაპიარებული ფაქტისთვის - დიდი შეწყალებისთვის ხელი უნდა მოეწერა. პატიმართა ზეიმი არ შედგა. მიუხედავად ლოდინისა, 150-მა შეწყალებულმა პატიმარმა დაპირებისამებრ გუშინ "რევოლუციური" შეწყალება ვერ მიიღო - პრეზიდენტმა შეწყალების კომისიის მიერ შედგენილ სიაზე ხელის მოწერა გუშინ ვერ მოახერხა. სხვათა შორის, ერთ-ერთი შეწყალებული პატიმარი, რომლის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესი იყო და გათავისუფლებას აქამდე ექვემდებარებოდა, ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გუშინწინ, შეწყალებამდე გარდაიცვალა. აქვე იმასაც გეტყვით, რომ რევოლუციის წლისთავზე შეწყალებულ პატიმართა უმრავლესობის ჯანმრთელობის მდგომარეობა უმძიმესია და როგორც თავად შეწყალების კომისიის წევრები ამბობენ, "შეწყალება, ფაქტობრივად, უპერსპექტივო ადამიანებზე გაკეთდა."

ქართულ პენიტენციურ სისტემაში არსებულ ხარვეზებზე საუბარი ვრცლად შეიძლება, ეს ერთ საგაზეთო წერილში ნამდვილად ვერ ჩაეტევა. სამწუხაროდ, დასკვნა ერთია: "ხავერდოვანი რევოლუციის" ტალღა ამ სისტემას, სამწუხაროდ, ჯერ არ შეხებია. ვერც შეეხება, რადგან იუსტიციის მინისტრისა და მისი გუნდის რამდენიმე წევრის სარეფორმო სვლას უმაღლესი ხელისუფლება მხარს არ უბამს. ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ბიუჯეტში პენიტენციური სისტემისთვის თანხები საერთოდ არ არის გათვალისწინებული. არადა, ცხადია, სისტემური ცვლილებებისა და ფინანსების გარეშე, მხოლოდ კადრების ჩანაცვლებით, საქმე არ კეთდება. მით უმეტეს, ისეთი დანგრეული სისტემა, როგორიც ქართული პენიტენციური სისტემაა, ფეხზე ადვილად ვერ დადგება.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, პენიტენციურ სისტემას ტოვებს ის ახალი კადრიც, რომლის მოყვანაც რეფორმის განხორციელებას ისახავდა მიზნად. მათი წასვლის მიზეზი ერთია - ხელისუფლებას სურვილი ჯერ არ აქვს, შიშველი ენთუზიაზმით ვერაფერს გავხდებით, - ამბობენ ისინი.

საპატიმრო დაწესებულებები ყველა ქვეყანაში სტრატეგიულ ობიექტად ითვლება და ციხის ბუნტი ქვეყნის ბუნტის ტოლფასია. საქართველოში მყოფი თითქმის 8 ათასი პატიმრის უკან მათი ოჯახის წევრები, ახლობლები და ის სოციალური ინტერესები დგას, რომელიც საბოლოოდ ისევ ქვეყანაზე აისახება. თუ ასე გაგრძელდა, ხელისუფლება, რომლის ძირითადი საყრდენი, "ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ, მის მიმართ საზოგადოების მიერ გამოცხადებული ნდობის ფაქტორი იყო, სწორედ ამ ნდობის დაკარგვის საშიშროების წინაშე დადგება. ამის კონტურები უკვე გამოიკვეთა - ერთი წლისთავზე ციხეში "ხავერდოვან რევოლუციას" არ შეუღწევია, იქ კვლავ საბჭოური მეთოდები მეფობს.

# ქართული სასამართლო - სადამსჯელო სისტემა

*[illegible] სამართლიანობის დამკვიდრებას ემსახურება. არა ქუჩურ, არა ქურდულ, მეტიც, არა ხალხის მასებისთვის მისაღებ სამართლიანობას, არამედ სამართლიანობას, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, კანონს ემყარება, სამართლიანობას, რომელსაც მხოლოდ და მხოლოდ კანონი განსაზღვრავს.*

სოფიკო ჩხაიძე

მეხსიერების უკიდურესად დაძაბვის შედეგადაც კი ძნელია გაიხსენო შემთხვევა, როცა სასამართლომ, სამართალდამცველთა ნების საწინააღმდეგოდ, პატიმრობა არ არგუნა ამა თუ იმ, მეტ-ნაკლებად მაღალ თანამდებობაზე ნამუშევარ, უბრალოდ გავლენიან თუ სისხლის სამართლის გახმაურებულ საქმეზე დაკავებულ ბრალდებულს.

დანაშაულის სიმძიმე, ბრალდებულის ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, საზოგადოების მიმართ მისგან მომდინარე საფრთხის ალბათობა, გამოძიებასთან თანამშრომლობის ხარისხი - ეს ის კატეგორიები გახლავთ, რომელთა მიხედვითაც, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა გამოძიების პროცესში ბრალდებულის პატიმრობაში დატოვება-არდატოვების აუცილებლობას განსაზღვრავს და რომლებიც ბოლო ერთი წლის მანძილზე სრულიად უგულებელყოფილია სხვადასხვა სასამართლო ინსტანციების მხრიდან. მიდგომა ცალსახაა - ადვოკატების მიერ ბრალდებულის დაკავების მოტივების უსაფუძვლობის დამადასტურებელი არგუმენტების მოსმენა მოსამართლეებისთვის მხოლოდ პროცესის შემადგენელი ფორმალური ნაწილია, მათი გავლენა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე კი - ნულის ტოლი. სამაგიეროდ, ბოლო ერთი წლის მანძილზე უსაზღვროდ გაიზარდა სასამართლოს ნდობა სამართალდამცველებისადმი და შესაბამისად, სასამართლო განხილვების მთელი დედააზრი იქამდე დავიდა, რომ გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ერთ რამეზეა დამოკიდებული, კერძოდ - თუ ბრალდების მხარე ითხოვს, ესე იგი დასაჭერია.

როგორ მოიქცევა სასამართლო გახმაურებული საქმეების არსებითი განხილვისას, ამას მომავალი გვიჩვენებს - ამ ეტაპზე დაწყებული ერთადერთი ასეთი - დავით მირცხულავას სასამართლო პროცესი ოპტიმიზმის საფუძველს ნამდვილად არ იძლევა. რაც შეეხება იმ საქმეებს, რომლებზეც განაჩენი არსებითი განხილვის გარეშე, ანუ საპროცესო შეთანხმებით იქნა გამოტანილი, სავარაუდოდ, მილიონების მითვისებაში დადანაშაულებული აკაკი ჩხაიძისა და ქრთამის აღებაში ბრალდებული პარლამენტარის გიორგი კენჭაძის განაჩენების გამოტანაში სასამართლოს როლი მინიმალური უნდა ყოფილიყო - მხოლოდ იმ შეთანხმების დადასტურება, რომლის მიღწევაც პროკურატურას სხვადასხვა მიზეზებით დასჭირდა.

ძნელი სათქმელია, რა აიძულებთ მოსამართლეებს, როგორც არასდროს, ისე დაემორჩილონ ძალოვან სტრუქტურათა წარმომადგენლების ნებას და, ქვეყანაში კანონიერების დაცვის გარანტების ნაცვლად, პროკურატურის გადაწყვეტილებების ნოტარიალურად დამმტკიცებლის ფუნქცია შეასრულონ. რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, მიუხედავად დაცვის საკმაოდ ძლიერი მექანიზმების არსებობისა, აქამდე არც ერთ მოსამართლეს არ გასჩენია პოლიტიკური შეკვეთის წინააღმდეგ აქტიურად გამოსვლის სურვილი. ერთადერთი ჩანასახი ასეთი პროტესტისა თითქოს მაშინ გაჩნდა, როდესაც მთაწმინდა-კრწანისის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს საკუთარი თანაკურსელისთვის სრულიად უსაფუძვლოდ პატიმრობის შეფარდება მოუწია, მაგრამ პროტესტის ნიშნების გამოვლინება მხოლოდ იმით დასრულდა, რომ მამუკა სონღულაშვილი 45-დღიან შვებულებაში გავიდა.

დაბოლოს, რაც არ უნდა ჩაედინათ ამ ერთი წლის მანძილზე ქართველ მოსამართლეებს, რაც არ უნდა ეცადათ, რომ არ შეემჩნიათ ბრალდებულთა დალურჯებული, სისხლჩაქცევებიანი თვალები, რაც არ უნდა უყურადღებოდ დაეტოვებინათ ის ფაქტი, რომ იარაღის უკანონოდ შენახვისთვის დაკავებული ყველა ბრალდებულის საქმეზე მოწმეთა ერთი და იგივე გვარები მეორდება, მაინც ყველას და ყველაფერს აჭარბებს ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს მოსამართლის მზია წიკლაურის გადაწყვეტილება ცხინვალის რეგიონში განლაგებული ქართული სამშვიდობო ბატალიონის სარდლის მოადგილის მიხეილ ქებაძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების შესახებ. ქებაძის დაპატიმრებასთან დაკავშირებით პოლიტიკურ ინტერესებზე იმთავითვე ალაპარაკდნენ. მაგრამ მოსამართლემ, მიუხედავად იმისა, რომ ქებაძის ადვოკატმა პროცესზე წარადგინა დაკავებულის სახლში ჩატარებული ჩხრეკის მოწმის ჩვენება, რომლის თანახმადაც, მოწმემ დაინახა, როგორ მიიტანეს სამართალდამცველებმა პოლკოვნიკის სახლში იარაღი, ბრალდებულს სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა. ამ გადაწყვეტილების მიღებიდან მესამე დღეს, საქართველოს პრეზიდენტის თბილისში დაბრუნების შემდეგ, უშიშროების სამინისტრომ მიხეილ ქებაძე თავად გაათავისუფლა პატიმრობიდან, მზია წიკლაური კი მოსამართლის თანამდებობაზე მუშაობას აგრძელებს.

# ვის ხელშია კანონის დაცვა?

*ქართული ძალოვანი სტრუქტურების სერიოზული რეფორმირება აუცილებელი და გარდაუვალი რომ იყო, ამაზე "ვარდების რევოლუციამდეც" არავინ დავობდა. "ვარდებით" მოსული ხელისუფლების რევოლუციური რეფორმა, რომელიც თითქმის ყველა ძალოვან სტრუქტურას შეეხო, დღემდე, რევოლუციის ერთი წლის თავზე ჯერ კიდევ არ დასრულებულა და, სავარაუდოდ, კიდევ კარგა ხანს გასტანს. რაც მთავარია, მთელი ერთი წლის განმავლობაში განხორციელებული რეფორმის შედეგად მივიღეთ არა არსებითად შეცვლილი სამართალდამცველი სტრუქტურები, არამედ ახალი, რევოლუციური სახეებით დაკომპლექტებული თითქმის შეუზღუდავი გავლენის მქონე ძალოვანი უწყებები.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

ხელისუფლება ირწმუნება, რომ რევოლუციის პირველივე დღეებიდან დაწყებული, რეფორმები ძალოვან სტრუქტურებში წარმატებით განხორციელდა. რეალურად, რამდენად წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს ის ცვლილებები, რაც ერთი წლის განმავლობაში, ძირითადად, მხოლოდ საკადრო წმენდით შემოიფარგლა და რასაც სტრუქტურების არსობრივი შეცვლა არ მოჰყოლია, თავად განსაჯეთ. რაც შეეხება ნამდვილად ელვის სისწრაფით მიმდინარე, საკადრო ოპტიმიზაციის სახელით ცნობილ დანიშვნა-გათავისუფლებებს, ერთის თქმა დღევანდელი გადასახედიდან უკვე თავისუფლად შეიძლება - რაოდენობრივი ოპტიმიზაციის ფონზე მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება საგრძნობი ნაკლებად გახლავთ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებს ძველი ახალი სახეები დაუბრუნდნენ, ანუ ნარჩემაშვილის კადრები თარგამაძე-ალავიძის გამოზრდილებმა ჩაანაცვლეს. ძველი კადრების მუშაობის ახალ სტილზე გადასვლის იმედმა აშკარად რომ არ გაამართლა, ამაზე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ დაკავებულთა წამების ფაქტების შესახებ მოპოვებული ინფორმაცია მოწმობს. თუმცა, ვისაც ამ თვალსაზრისით რაიმეს შეცვლა ძალუძს, შექმნილი სიტუაციით, როგორც ჩანს, მაინცდამაინც უკმაყოფილო არ უნდა იყოს, შესაბამისად, არც ცვლილებების გატარებით იწუხებს ვინმე თავს. სხვათა შორის, სახელგანთქმული მოძრაობა "კმარას" ის ყოფილი აქტივისტებიც სდუმან, რომლებიც რევოლუციამდე სამართალდამცველთა უკანონო მოქმედებებს რადიკალურად უპირისპირდებოდნენ, ახლა კი იმავე სამართალდამცველი სტრუქტურების მაღალ სავარძლებში მოკალათებულან და არასამთავრობო სექტორში შემორჩენილ, აწ უკვე ყოფილ თანაკმარელთა კრიტიკას გულგრილად ისმენენ. ასეა პოლიციაში, ასეა უშიშროების სამინისტროშიც, სადაც საკადრო ცვლილებები, ფაქტობრივად, გასაიდუმლოებულ ვითარებაში ხორციელდება. მიუხედავად იმისა, რომ, კანონმდებლობით, საკადრო დანიშვნები საჯარო სამსახურებში ასევე საჯარო უნდა იყოს, უშიშროების სისტემაში დანიშნული სახეები საზოგადოებისთვის ცნობილი მოგვიანებით, პოსტფაქტუმ ხდება. მეტიც, არის შემთხვევები, როცა ქვეყნის უშიშროების სამსახურის გავლენიან თანამდებობებს ახალგაზრდა, უმაღლესი განათლების არმქონე კადრებს აბარებენ.

რაც შეეხება საკადრო ცვლილებებს პროკურატურის სისტემაში, აქ ამ თვალსაზრისით მდგომარეობა შედარებით უკეთ გამოიყურება. ძველ, მაგრამ შედარებით გაუსვრელ კადრებთან ერთად ახალგაზრდა პროფესიონალების შემოკრება, პროკურატურაში, გარკვეულწილად მოხერხდა, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, ბევრი ახალი ჩინოვნიკი პროკურატურაში გავლენიან თანამდებობაზე კანონდარღვევით, ანუ, სავალდებულო სტაჟის გარეშე და ასევე სავალდებულო საპროკურორო გამოცდების ჩაუბარებლად მოხვდა.

დაბოლოს, რეფორმის პირველი და აუცილებელი ნაბიჯი ძალოვან უწყებებში კადრების შემცირება რომ გახლდათ, ცნობილია, თუმცა, ცალკე საკითხია, რამდენად კანონიერად მოხდა სამართალდამცველი სტრუქტურების ფართომასშტაბიანი საკადრო წმენდა. ფაქტია - საკადრო ოპტიმიზაციის ფონზე გატარებული რეფორმის შედეგად უმუშევრად დარჩენილთა საჩივრებით სასამართლოები უკვე აივსო, და, რაც მთავარია, მოსარჩელეებს საჩივრების წერის რეალური საფუძველი გააჩნიათ.

რეფორმის მიმდინარეობის მოტივით, ძალოვანი უწყების თანამშრომელთა სამსახურებიდან დათხოვნა უკანონოდ, შრომითი კანონმდებლობის ძალზე უხეში დარღვევებით განხორციელდა და ხორციელდება კიდეც. არადა, "შრომის კანონთა კოდექსი" და "საჯარო სამსახურის შესახებ კანონი" მკაცრად მოითხოვს ყოველი პუნქტის დაცვას. ამ კანონების დაცვის ვალდებულებასა და უგულებელყოფაზე "24 საათი" ბოლო დროს არაერთხელ წერდა.



ნესტან ნიჟარაძე · იუსტინა მილნიკიევიჩი

რეპორტაჟები (ფოტო)კომენტარებით

# ვარდები და ეკლები







ნესტან ნიჟარაძე

*რევოლუციის წლისთავს ახალი საქართველო, ვარდების გარდა, ეკლიანი პოსტრევოლუციური რეალობით ხვდება.*

ერთი წელი, როგორც მოსალოდნელი იყო, საკმარისი არ აღმოჩნდა მძიმე პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მემკვიდრეობიდან ქვეყნის დასახსნელად. მიმდინარე რეფორმების რეალური შედეგები, ჯერჯერობით, უხილავია. ქვეყნის მოსახლეობის 90 პროცენტი, ისევე, როგორც რევოლუციამდე, უმძიმეს ყოფით პირობებში განაგრძობს ცხოვრებას. განვლილი წელი იძლევა საბაბს, ვიფიქროთ, რომ პოსტრევოლუციური პერიოდის მეორე წელიც მნიშვნელოვან ცვლილებებს მათ ცხოვრებაში არ მოიტანს. ისინი, ვინც მოლოდინით და გაუსაძლისი ყოფით ჯერ არ დაიღალა, მომავლის იმედით განაგრძობს ცხოვრებას. როდემდე? პასუხი ამ შეკითხვაზე ჯერ არ არსებობს. სამაგიეროდ, არსებობს ახალი ვარდებით დამხობილი რეჟიმისგან ერგო მემკვიდრეობით. მეტიც, იგი მძიმე მემკვიდრეობის ის ერთადერთი ელემენტი აღმოჩნდა, რომელიც დემოკრატიული ფასეულობების მატარებელმა ახალგაზრდა, პროდასავლურმა ხელისუფლებამ არათუ კრიტიკის ქარცეცხლში არ გაატარა, არამედ პრესტიჟულადაც ჩათვალა მისი მემკვიდრეობით მიღება. ძველი ხელისუფლების ერთ-ერთი ყველაზე ხატოვანი სიმბოლო, სამების საკათედრო ტაძარი, ახალმა ხელისუფლებამაც ქვეყნის რელიგიური და პოლიტიკური სიძლიერის სიმბოლოდ აღიარა. გიორგობის დღესასწაულზე და რევოლუციის წლისთავზე ტაძრის კურთხევამ, ქვეყნის ცხოვრებაში რელიგიურთან ერთად პოლიტიკური დატვირთვაც შეიძინა.

ჩვენი ყველა მცდელობა, ტაძრის კურთხევისთვის საბოლოო სამზადისის დროს სამღვდელოების წარმომადგენლებს გავსაუბრებოდით, უშედეგოდ დასრულდა. რევოლუციის წლისთავს, არა მხოლოდ სახელმწიფო ერთიანობის სიმბოლოტაძრის კურთხევა, არამედ ეკლესიის რიგებში დისკუსიაც დაემთხვა.

„...დასრულდება, ღმერთის წყალობა გვექნება," - ამბობს ნინო.

მორწმუნეთა ამაღლებულ განწყობას ახალგაზრდების ჯგუფმა ერთგვარი პოლიტიკური სკეპტიციზმი შეურია: "რევოლუციის წლისთავი და ტაძრის კურთხევა ერთმანეთს რომ ემთხვევა, მორწმუნე ადამიანისთვის ეს არაფერს ნიშნავს. ხელისუფლებამ ეს ფაქტი საკუთარი პრესტიჟის ასმაღლებლად გამოიყენა."

ქვეყანაში, რომლის დედაქალაქის ცენტრალურ გამზირზე გამოფენილი ფირნიშები - "სადილი ყველასთვის" - მოსახლეობის გარკვეული ნაწილისთვის, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ აქტუალურია, საქართველოში და ევროპაში უდიდესი ტაძრის მშენებლობაზე 90 მილიონი ლარი დაიხარჯა. ტაძრის მოსაპირკეთებელი სამუშაოების დასრულებას დაახლოებით იგივე თანხა დასჭირდება. გრანდიოზული ქრისტიანული კომპლექსის პროექტში, საკათედრო ტაძრის გარდა, ას ადგილიანი მონასტრის და ორმოც ადგილიანი სასტუმროს, კათალიკოს პატრიარქის რეზიდენციის, სასულიერო სასწავლებლის, საეკლე-

## ძველი თბილისიდან - ევროპულ ქალაქამდე

"უკან სამების ტაძარი აგვიშენეს, წინ ძველ სახლებს ანგრევენ და ახალ კერძო სახლებს აშენებენ. ჩვენ კი შუაში დავრჩით," - ამბობენ ტაძრის მისადგომებთან მდებარე ძველი თბილისური ეზოს მაცხოვრებლები. "ეგებ, ვინმემ ჩვენც მოგვხედოს და სახლი შეგვიკეთოს, რადგან ღამე შიშით ვიძინებთ, თავზე არ ჩამოგვენგრეს კედლები."

გიორგი წერეთლის ქუჩაზე, გრანდიოზული მშენებლობის შორიახლოს მდებარე ნამდვილ ავლაბრულ ეზოს მძიმე ქართული რეალობის ნაკვალევი უფრო ეტყობა, ვიდრე ღვთისა და ერის სადიდებელად წამოწყებული მშენებლობის სიახლოვე. რესტავრაციის და გასამაგრებელი სამუშაოების გარეშე, მიწისძვრის შემდეგ მნიშვნელოვნად დაზიანებულ ეზოში, ძველი თბილისური ტრადიციის თანახმად, სხვადასხვა ეროვნების ოჯახები ცხოვრებენ. მათი უმრავლესობისთვის პენსია და უცხოეთში სამუშაოდ გამგზავრებული ოჯახის წევრების დახმარება არსებობის ერთადერთი წყაროა. სწორედ ამიტომ, პოსტრევოლუციური პერიოდის ცვლილებები ანუ პენსიის გაზრდა და მისი დროულად აღება მათთვის მნიშვნელოვან მოვლენად იქცა. "მართალია, კაპიკები დაუმატეს ჩემს მეუღლეს პენსიაზე, მაგრამ ამითაც კმაყოფილები ვართ. თან რეგულარულად ვიღებთ, სულ რამდენიმე დღის დაგვიანებით. ოჯახში ექვსი კაცი ვართ და 21 ლარი მხოლოდ პურზე გვყოფნის. კიდევ რამდენი რამე გვჭირდება..." - ამბობს 58 წლის უმუშევარი ქალბატონი. შემდეგ კი განაგრძობს: "უკეთესის მოლოდინში ვართ. თორემ რაც გაგვაჩნდა, ყველაფერი უკვე გავყიდეთ, რომ როგორმე გაგვეტანა თავი."

"მე და ჩემს ინვალიდ შვილს პენსია სულ 42 ლარი გვაქვს, - ებმება საუბარში ქალბატონი ელენე, - როგორ ვიცხოვროთ ოთხმა კაცმა? ფასები იზრდება. ერთადერთი იმედი მაქვს, რომ რამე შეიცვლება. გზები შეკეთდა, ავტობუსები გაჩნდა, თბილისი ცოტა გასუფთავდა, ამბობენ, ევროპულ ქალაქს უნდა დაამსგავსონო, და ეგებ ჩვენც მოგვხედონ." თუმცა, მანამდე... პოსტრევოლუციურ საქართველოს აქ, ძველი თბილისის ეზოში, მხოლოდ პატრულის სირენები და ხის ცისფერ აივანთან დაბმული, გიორგობაზე შესაწირად მომზადებული ცხვარი გვახსენებდა.

## სასტუმროდან - ქუჩაში

რევოლუციის წლისთავს თბილისიც გარკვეული სახეცვლილებით ხვდება. პოსტრევოლუციურ დედაქალაქში მიმდინარე ცვლილებებს, ევროპული თბილისობა, ახალი ავტობუსები და, რაც მთავარია, ლტოლვილების სასტუმროებიდან გასახლება და ქუჩების გარემოვაჭრეებისგან გათავისუფლებაც მოჰყვა.

ლტოლვილების ხალხმრავალ თავშესაფარად ტრანსფორმირებული სასტუმრო "ივერია" 12 წლის მანძილზე საქართველოს პოლიტიკური მარცხის სიმბოლოდ აღიქმებოდა. აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკურ მოგვარებამდე კი, ლტოლვილების თბილისის ცენტრალური სასტუმროდან გასახლება, უდავოდ საკმარისი აღმოჩნდა მცა, ჩვენი დახმარებისთვის განკუთვნილი თანხებით ძალიან ბევრი ადამინი გამდიდრდა."

"როგორც აღმოჩნდა, აფხაზეთის და ლტოლვილების პრობლემის მოგვარება, უბრალო საარჩევნო ლოზუნგი იყო, - ებმება საუბარში ხანდაზმული ქალბატონი, - "ივერიიდან" გაგვასახლეს და ყველას დავავიწყდით, თითქოს აღარ ვარსებობთ." "გვემუქრებოდნენ კიდევაც, - განაგრძნობს თინა, კონტრაქტს თუ არ მოაწერთ ხელს, გაგინახევრებთ თანხას და მაინც გაგასახლებთო."

სასტუმროდან გასახლებას თავად ლტოლვილები ახალ გადასახლებად მიიჩნევენ, თუმცა ხვდებიან, რომ მათი ადგილი დედაქალაქის ცენტრში არ იყო და, მით უმეტეს, ახლა აღარ იქნება. სამაგიეროდ, ნიშნად იმისა, რომ თბილისი ახალი საქართველოს განახლებული დედაქალაქია და ყოველთვის იყო ევროპიდან აზიისკენ მიმავალი გზების გადაკვეთა, დაცარიელებულ და რეკონსტრუქციისთვის გამზადებულ სასტუმროზე "აბრეშუმის გზა" გადის და პოსტრევოლუციური საქართველოს სახელმწიფო დროშა ფრიალებს. ისევ და ისპრობლემა მოგვარებულად ჩაითვლებოდა, დღემდე იგივე ტერიტორიაზე გარევაჭრობა რომ არ გრძელდებოდეს. "იმედი გვქონდა, რომ ჩვენი მდგომარეობა უკეთესობისკენ შეიცვლებოდა, - ამბობს ახალგაზრდა გამყიდველი ქალი, - მაგრამ პირიქით მოხდა. ჩვენ შემოგვიყვანეს და გარეთ სხვები ვაჭრობენ. თორემ აქ გვირჩევნია -არ გვაწვიმს და არ გვათოვს. სამაგიეროდ, ველარაფერს ვყიდით და ულუკმაპუროდ დავრჩით ამდენი ხალხი."

"ადრე გარეთ ვვაჭრობდი, მერე შიგნით შემიყვანეს. მაგრამ ახლა იძულებული ვარ, ისევ გარეთ დავდგე, რადგან იქ ვერაფერს ვყიდდი, - აცხადებს ერთ-ერთი გარემოვაჭრე, - პოლიციამ რომ დამინახოს, უნდა გავიქცე ჩემი ჩანთებით. მერე კი ისევ დავბრუნდები. აბა, ორი შვილი როგორ გამოვკვებო?"

როგორც საუბარში გაირკვა, ორიოდე კვირის წინ, ბაზრის დირექციის წინააღმდეგ პროტესტის გამოხატვის მიზნით, გარემოვაჭრეებმა გზის გადაკეტვა გადაწყვიტეს. პოლიციით გარშემორტყმულ მოვაჭრეებამდე ჟურნალისტები არ დაუშვეს. ჩვენ კი ბაზრის დაცვის ერთ-







დროის თვალშისაცემი სიმბოლოები, რომელთა არსებობა ან არარსებობა, სამწუხაროდ, ბევრს არაფერს ცვლის ქვეყნის რეალობაში. თუმცა, ახალ დროებას თავისი სიმბოლოები მაინც სჭირდება. და სწორედ ამიტომ, რევოლუციის წლისთავს ქვეყანა დედაქალაქის მერიის შენობაზე და ისტორიულ რევოლუციურ აივანზე გადმოფენილი გრანდიოზული ახალი სახელმწიფო დროშით, ევროპაში ყველაზე დიდი ტაძრის კურთხევით, აფხაზეთიდან ლტოლვილების სასტუმრო "ივერიიდან" გასახლებით, გარევაჭრობის აკრძალვით, საპატრულო მანქანების ევროპული სირენებით, ქუჩაში მოცეკვავე პრიმა ბალერინით, ქართული ესტრადის უცვლელი ვარსკვლავების უცვლელი სიმღერებით და, რა თქმა უნდა, ვარდებით აღნიშნავს. ჩვენ კი რეპორტაჟს ელიას მთიდან ვიწყებთ.

## სიმბოლური სამება

საქართველოს ერთიანობის სიმბოლოდ მშენებარე სამების ტაძარი რევოლუციურ ხელისუფლებას

...ბორჯომი-ბაკურიანის მთავარეპისკოპოსის, მეუფე სერაფიმის გარდა ინტერვიუზე არც ერთი მღვდელი არ დაგვთანხმდა. მან კი ასე განგვიმარტა ტაძრის მშენებლობის რელიგიური მნიშვნელობა: "ძველ აღთქმაში ვკითხულობთ, რომ ყველა ერს ღვთისგან აქვს დავალებული ისეთი სიწმინდის შექმნა, რომლის ძალითაც უფალი წყალობს ამ ერს. სამების ტაძრის მშენებლობას სწორედ ეს დატვირთვა აქვს."

ტაძრის შესასვლელთან შეკრებილ მორწმუნეთა შორის კი რეალობით გამოწვეულ პესიმიზმს, ღვთის წყალობის გადმოვლენის იმედი ენაცვლება. "ჩემს ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა ამ ერთი წლის განმავლობაში, - ამბობს ახალგაზრდა მორწმუნე ქალი, - პირიქით, უფრო გამიჭირდა, მაგრამ მაინც ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ტაძარი აშენდა. ამის შემდეგ, ალბათ, ღმერთი მოგვხედავს ქართველებს."

"აღარც მაქვს იმედი, რომ რამე შეიცვლება უკეთესობისკენ. ერთადერთი ეს ტაძარია ჩვენი გადარჩენა. ასე მგონია, მშენებლობა რომ

...სიო მუზეუმის, სტამბა-გამომცემლობის, საეკლესიო ხელოვნების სახელოსნოების, პარკის, ორანჟერეის და ვოლიერების გაშენებაც კი იგეგმება.

ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური და სოციალური სიტუაციის არაადეკვატური, ესოდენ ძვირადღირებული მშენებლობის პროექტის მოწინააღმდეგე ქართული ეკლესიის რიგებში მხოლოდ დეკანოზი მამა ბასილი კობახიძე აღმოჩნდა: "ეს ტაძარი ბიზანტიური ფეოდალიზმის სულისკვეთების ნათელი გამოვლინებაა; სადაც ადამიანი უსუსურ ჭიანჭველად გრძნობს თავს ღვთის სიდიადის წინაშე. გავა დრო, - აცხადებს მამა ბასილი, - და სამების ეკლესია არა ეროვნული სიდიადის, არამედ ეროვნული სირცხვილის სიმბოლოდ იქცევა." თუმცა, მანამდე... როგორც მოსალოდნელი იყო, იბერიის დაპირებულ გაბრწყინებამდე, 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულზე და ვარდების რევოლუციის წლისთავზე სამების საკათედრო ტაძარი გაბრწყინდება, როგორც ახალი საქართველოს სიმბოლო.

...იმისთვის, რომ ქვეყანაში მხოლოდ აფხაზეთიდან 250 ათასი ლტოლვილის არსებობის ფაქტი დავიწყებას მისცემოდა. სამაგიეროდ, ის 7 ათასი დოლარი, რომელიც ლტოლვილებს გადაეცათ სასტუმროს დატოვების საფასურად, სრულებით არ აღმოჩნდა საკმარისი მათი საბინაო საკითხის გადაწყვეტისთვის.

ისინი თავად აღიარებენ, რომ ქალაქის ცენტრში ლტოლვილთა თავშესაფარი არ უნდა არსებობდეს. მაგრამ აღიარებენ იმასაც, რომ 7 ათასი დოლარი მათ გარეუბანშიც კი არ აძლევს ბინის ყიდვის შესაძლებლობას. ლტოლვილების უმრავლესობამ ბინები ვერ შეიძინა. ერთადერთი გამოსავალი ბინის გირაოთი ან ქირით აღება აღმოჩნდა. "ივერიიდან ჩვენმა გამოსახლებამ, ბინებზე ფასების 30 პროცენტიანი გაძვირება გამოიწვია. ბინის შეძენა შეუძლებელი აღმოჩნდა. ეტყობა, ყველას ისე მოვაბეზრეთ თავი, რომ უბრალოდ ქუჩაში გამოგვყარეს, - ამბობს ჩვენთან საუბარში სოხუმიდან დევნილი თინა, - ჩვენთვის არაფერი შეცვლილა და, ალბათ, არც გვაქვს მომავალი. თუ-

...ევ, დაპირებული იბერიის გაბრწყინებამდე, ახალ საქართველოში "ივერია" გაბრწყინდა.

## ქუჩიდან - ბაზარში

"ლტოლვილები სასტუმროდან ქუჩაში გამოყარეს, ჩვენ კი ქუჩიდან ბაზარში შეგვყარეს და ამით დაგვღუპეს," - ვერ ფარავენ აღშფოთებას ცენტრალურ სუპერმარკეტში ყოფილი გარემოვაჭრეები. "ჩვენამდე მყიდველი ვერ აღწევს, რადგან ქუჩაში მაინც ვაჭრობენ, ჩვენ კი მთელი დღის მუშაობის შემდეგ ორი პურის საყიდელი ფულიც კი არ გვრჩება. ნუთუ, შიმშილით უნდა დავიხოცოთ?" - ჩვენ გვეკითხება ბოსტნეულის გამყიდველი თბილისის ცენტრალურ სუპერმარკეტში.

პოსტრევოლუციურ თბილისში გარემოვაჭრეებისგან ბაზრის მიმდებარე ტერიტორიის გაწმენდა მტკივნეული, მაგრამ გარდაუვალი პროცესი აღმოჩნდა. მათთვის ბაზრის შენობაში სპეციალურად გამოიყო სავაჭრო ადგილები და ყოველდღიური სამლარიანი ოფიციალური გადასახადიც დაწესდა.

ერთმა თანამშრომელმა ისიც კი გამოგვიცხადა, რომ გამყიდველებთან ინტერვიუს ასაღებად და ფოტოების გადასაღებად ქართველ ჟურნალისტებს ბაზრის დირექციის სპეციალური ნებართვა სჭირდებათ. მანქანის გაჩერება და ფოტოების გადაღება აგვეკრძალა ლეონიძის ქუჩაზეც, რომელსაც პოლიცია სამთავრობო კორტეჟის გამოსვლისთვის ამზადებდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს PR-ის სპეციალური ნებართვა კი უკვე პოლიციამ მოგვთხოვა ავლაბარში, მოედანზე, საპატრულო მანქანების სიახლოვეს ფოტოების გადასაღებად და პოლიციელებთან ინტერვიუს ჩასაწერად. თავის მხრივ გურამ დონაძემ, სამინისტროს პრესმდივანმა, ჩვენი მოთხოვნის წერილობით პროექტად გაფორმება და შსს-ში ხელმოსაწერად გადაგზავნა მოგვთხოვა. ჩვენ ეს მოთხოვნა პოსტრევოლუციურ ხუმრობად ჩავთვალეთ და ამიტომ რეპორტაჟი მრავალრიცხოვანი ნებართვების გარეშე დავასრულეთ.

ვარდების და ეკლების ისტორია კი გრძელდება.







იუსტინა მილნიკიევიჩის ფოტოები

რევოლუცია ჭიქაში



B2

ლუჩესკუს სამშობლოში იხმობენ



B5

ყოჩაღი კაჭკაჭი, პოლიგლოტი და პატრიოტი მალხაზა



B6

ნომრის სტუმარი

# დღევანდელი როლისთვის კარგად ვარ მომზადებული

*მან გადაიტანა ქმრის ამბოხი იუსტიციის მინისტრობისას, საკრებულოს თავმჯდომარეობისას და ბოლოს - ამბოხი, რომელიც მთელ ქვეყანას მოედო და პრეზიდენტობით დასრულდა. კარგი იქნებოდა, ამით არ დამთავრდეს და პრეზიდენტის ამბოხი ქვეყანაში არსებულმა ყველა უკანონობამ და თითოეულმა კორუმპირებულმა ჩინოვნიკმა გამოიწვიოს. ქვეყნის პირველ ქალბატონს, ალბათ, ამ ტიპის ამბოხის გადატანა უფრო გაუადვილდებოდა.*

*ფრანგები მამაკაცს იმით აფასებენ, თუ როგორი ქალბატონია მის გვერდით. სანდრა რულოვსი მიხეილ სააკაშვილის სერიოზული კაპიტალი იყო საარჩევნო კამპანიის დროს და ის ახლაც წარმატებით გადის "ფრანგულ ტესტს". ქალბატონი სანდრა პოლიტიკური აქტივობით არ გამოირჩევა, სამაგიეროდ, აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა და ამას იქამდეც აკეთებდა, ვიდრე სტატუსი დაავალებდა. ჰარმონიული არსებობისთვის ოჯახთან და საკუთარ საქმიანობასთან ერთად სჭირდება ჯაზი (ან კლასიკა), გეგმები და ოცნებები.*



სერგო ედიშერაშვილის ფოტო

მე არ ვარ პირველი ლედი მხოლოდ მართლმადიდებელი საშუალო ქართველისთვის, რომელიც თბილისში ცხოვრობს, პირველი ლედი ვარ ასევე უშგულის ერთი ბავშვისთვისაც, სამცხე-ჯავახეთის სომეხი პედაგოგისთვისაც და პანკისელი მოხუცისთვისაც.

რეიტინგი ჯერ არ არის დაცემული, მაგრამ 96 პროცენტი ახლა არ განმეორდება.

იდეა, რომ მიშა ოდესმე მნიშვნელოვან თანამდებობაზე იქნებოდა, ჩემთვის მისაღები იყო, მაგრამ ეს დრო იმაზე სწრაფად მოვიდა, ვიდრე ველოდი.

მაია ჭალაგანიძე

**- რას გავალებთ პირველი ქალბატონის სტატუსი და რომელი სფეროების მფარველობას აპირებთ?**

- მფარველობის ქვეშ მთელი ქვეყანა უნდა იყოს.

**- პრეზიდენტი რაღას გააკეთებს?**

- პრეზიდენტს ნაკლებად სცალია რეგიონებში სასიარულოდ და განცხადებების წასაკითხად, ჯობს, ეს მე გავაკეთო. ბატონი მიშა და მე ვართ ამ ქვეყნის მმართველობის ერთგვარი სიმბოლო. ეს სიმბოლო ყველგან უნდა ჩანდეს. ისიც და მეც ბევრს დავდივართ, მაგრამ ჩემს თავს ვავალებ, რაც შეიძლება მეტად ვიყო რეგიონებში. მე არ ვარ პირველი ლედი მხოლოდ მართლმადიდებელი საშუალო ქართველისთვის, რომელიც თბილისში ცხოვრობს, პირველი ლედი ვარ, ასევე, უშგულის ერთი ბავშვისთვისაც, სამცხე-ჯავახეთის სომეხი პედაგოგისთვისაც და პანკისელი მოხუცისთვისაც. მინდა ყველგან ვიყო, მაგრამ ეს ვერ მოხერხდება, რადგან მეც ოჯახი მაქვს, ჰუმანიტარულ საქმიანობას ვეწევი. ვცდილობ, 2 კვირაში მაინც 1-2 დღე რომელიმე რეგიონში ჩავიდე.

**- თქვენი დღის გრაფიკი მოულოდნელ ცვლილებებს განიცდის ხოლმე?**

- ყოველთვის მზად ვარ მოულოდნელობებისთვის. როცა მიშა მეუბნება, რომ სადღაც ჩვენი ერთად წასვლაა საჭირო, ან რაიმე სახელმწიფო შეხვედრა იგეგმება, ეს პირველ რიგში დგას. ჩემი დღის გრაფიკი კი ასეთია: ბავშვის საუზმე, მომზადება და სკოლაში წასვლა. მერე ვბრუნდები, მიშასთან ერთად ვსაუზმობ, ვსაუბრობთ და როცა ის მიდის, მეც ან ჩემს ფონდში მივდივარ, ან შეხვედრებზე. სამ საათზე ბავშვი გამომყავს სკოლიდან, ისვენებს, მერე ჩემს ორგანიზაციაში ვსადილობთ - ახლოა და ფეხით მივდივართ. ამის შემდეგ მიდის ხან ჩოგბურთზე, ხან ცურვაზე, ხან სოლფეჯიოზე ან დაბადების დღეზე და ა.შ.

**- შვილის ნიშნებით კმაყოფილი ხართ?**

- დიახ, კმაყოფილი ვარ. მას აქვს რვეული, სადაც იწერება ნიშნები. კვირის ბოლოს მშობლის ხელმოწერაა საჭირო და ყოველთვის ვაწერ.

**- პრეზიდენტიც აწერს ხელს დღიურს?**

- კი, პირველ გვერდზე მისი ხელმოწერაა.

**- ეს უკვე სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტია... "მაკდონალდსში" ისევ ახერხებთ ერთად სიარულს?**

- ხანდახან კი, მაგრამ მაინც არ ვარ ამ ტიპის კვების მომხრე, იქ უფრო საჩუქრისთვის მივდივართ...

საღამოს ექვსი საათისთვის მივდივართ ან დედამთილთან, ან რომელიმე გამოფენაზე. სახლში 7 საათზე ვბრუნდებით, ვალაგებ, სამზარეულოში პატარა ბუტერბროდებს ან სწრაფად მოსამზადებელ საკვებს ვამზადებ, ეს უფრო მეხერხება. საღამოს ვმეცადინეობთ, სახლში ფორტეპიანოს პედაგოგი მოდის. 10 საათისთვის ბავშვი იძინებს და ვიწყებ შემდეგი დღის დაგეგმვას - წერილებზე პასუხის გაცემას, შეხვედრებისთვის მომზადებას, უკვე ჩატარებული შეხვედრების ანალიზს.

**- კარგად იცით, რა ხდება ქვეყანაში?**

- რა თქმა უნდა, ვიცი, ბევრ ხალხთან მაქვს კონტაქტი, ხან მანქანაში რადიოს ვუსმენ.

**- ვინ გირჩევთ, სად წახვიდეთ შეხვედრაზე და სად - არა, თქვენი მისვლა ხომ სახელმწიფოებრივ მხარდაჭერად აღიქმება?**

- 9 წელია, აქ ვცხოვრობ. ვმუშაობდი "წითელი ჯვრის" საერთაშორისო ცენტრში, ჰოლანდიის საელჩოში, წლის განმავლობაში ვიყავი ბიზნესკონსულტანტი - მცირე და საშუალო ბიზნესის დასახმარებლად ჰოლანდიიდან ბიზნესმენები ჩამომყავდა. ვეწევი სამედიცინო-ჰუმანიტარულ საქმიანობას, ვკონტაქტობ არასამთავრობოებთან, დიპლომატებთან, კერძო სექტორთან - ასე რომ, დღევანდელი როლისთვის კარგად ვარ მომზადებული. ცხადია, ყველაფერი არ ვიცი, მეც ვსწავლობ. მყავს მრჩეველი და ის მეხმარება, ერთად ვწყვეტთ, სასწრაფოა თუ არა, აქტუალურია თუ არა. საჭიროა თუ არა ჩემი გამოჩენა და თანამშრომლობა. მაღაზიების გახსნასა და ლენტების გაჭრას პროექტების წერა მირჩევნია. სამედიცინო, ჰუმანიტარული და საგანმანათლებლო სფეროს შეხვედრები უფრო საინტერესოა ჩემთვის, ვიდრე სადღესასწაულო ღონისძიებები.

**- თქვენ ხალხს ადრეც ხვდებოდით. რა განწყობას ამჩნევთ ადამიანებს ახლა?**

- 7 წელია, ჰუმანიტარული ორგანიზაციის დირექტორი ვარ, მაგრამ მანამდე მცირე მასშტაბის პროექტებს ვახორციელებდით. მყავდა სპონსორები ჰოლანდიიდან, ბელგიიდან. რა თქმა უნდა, ახლა ნდობის ფაქტორმაც მოიმატა. უცხოელები ინტერესსა და სიმპათიებს გამოხატავენ ჩვენი რევოლუციური ცვლილებების მიმართ და საქველმოქმედო აქციების ჩატარების სურვილს გამოთქვამენ. თებერვლიდან გახშირდა სპონსორების წერილები, სურთ დაეხმარონ ჩვენს ბავშვებსა და მოხუცებს, ან დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამართონ რაიმე აქცია, ან რომელიმე კოლეჯთან დამეგობრებას გვთავაზობენ. ასეთ წინადადებებზე ყოველთვის წავალ, თუ ეს სერიოზული და სანდო ხალხია და თუ არ არის პოლიტიკური.

**- როგორც ვიცი, თქვენი არასამთავრობო ორგანზაცია SOCO ჭიათურაშიც გახსენით...**

- დიახ და ახლა ქსელის გაფართოებაზე ვმუშაობთ. გვინდა, 25 ორგანიზაციასთან დავამყაროთ განსაკუთრებული ურთიერთობა. ახლა ხობის მოხუცებულთა სახლის დამხმარებას ვაპირებთ და ვფიქრობთ, ქუთაისის ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას მივმართოთ მონიტორინგისთვის და ინფორმაციის გასაცვლელად. ეს მათთვისაც საინტერესოა - სტატუსი ექნებათ, რაც საქველმოქმედო საქმეების საკეთებელ შანსს მისცემს.

**- თქვენ სამედიცინო-ჰუმანიტარულ სფეროში მოღვაწეობთ. ობიექტური ინფორმაცია გაქვთ ამ დარგში შექმნილი ურთულესი მდგომარეობის შესახებ?**

- დიახ, ვითარება რთულია. სამედიცინო სფროში ჩახედული ვარ და ვცდილობ, ამ დარგს სტიმული გადავცე. მაქვს ურთიერთობა სახელმწიფო სტრუქტურებთან და არა მხოლოდ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელს, არამედ როგორც თანამოაზრეს. ვარ რამდენიმე კომისიის წევრი, ტუბერკულოზის, შიდსისა და მალარიის საკოორდინაციო ცენტრის თავმჯდომარე. ვმუშაობთ ძუძუს კიბოს პრევენციაზე. მაქვს ურთიერთობა დამწვრობის ცენტრთან. მუდმივი დიალოგი მაქვს ჯანდაცვის, განათლების სამინისტროებთან.

როცა საქმეში პირველი ლედია ჩართული, არასამთავრობოებს უფრო სერიოზულად იღებს მთავრობა და ეხმარება. მზრუნველობას მოკლებული 4 000 ბავშვია ამ ინსტიტუციებში. გვინდა შვილობილობის პროგრამის განხორციელება, მაგრამ ამას შესაბამისი კანონმდებლობა, განათლების კოორდინაცია უნდა, რათა პრიორიტეტები გაირკვეს. ამგვარი სახლებისთვის ბავშვი ერთგვარი კაპიტალია, რადგან ისინი აღსაზრდელების რაოდენობის მიხედვით იღებენ დახმარებას. ასეთ სახლებს ხელს არ აძლევს ბავშვების შემცირება, რადგან ბავშვზე 3-6 ლარია დახმარება. ამ ფულიდან მხოლოდ მცირე თანხა ხმარდებათ ბავშვებს, ალბათ, ხვდებით, სად მიდის დანარჩენი. ჰოლანდიაში მზად არიან, თვეში 25 ევრო გადაუხადონ ოჯახს ბავშვზე დროებითი ზრუნვისთვის, მაგრამ საკანონმდებლო პრობლემებს ვაწყდებით. ოჯახური გარემო ყველას უნდა და ეს სახლები ის ადგილი არ არის, სადაც ბავშვები ამგვარ გარემოს მიიღებენ.

მისახედია ქუჩის ბავშვებიც. ვიცი, რომ არსებობს ბირჟები, სადაც 200-მდე ასეთი ბავშვი იყრის თავს და ხიდების ქვეშ, ყუთებში ცხოვრობენ, მიშვებულები არიან. უნდა შეიქმნას კარგად აწყობილი გამანაწილებელი ცენტრი, საიდანაც ციხეში კი არ უშვებენ, არამედ მათი სოციალური რეაბილიტაცია ხდება.

**- ადამიანების განწყობაზე რას იტყვით - ახლა და რევოლუციამდე?**

- პირველი წელი რთული იყო და ვფიქრობ, მეორეც რთული იქნება. ზამთარი მოდის, ახლა გადამწყვეტი პერიოდია. თუ შუქი გვექნა, პენსიებმა და ხელფასებმა თუ არ დაიგვიანა, ეს უკვე კარგი საქმეა. რა თქმა უნდა, კორუფცია კიდევ არსებობს, მაგრამ შემცირდა და გახმაურების შიშია. ეს უკვე პოზიტიური მოვლენაა. მაგრამ ამ ძველ, მავნე ჩვევებს კონტროლი და გამჭვირვალობა უშველის.

ადამიანების განწყობა კი მძიმეა. თებერვლიდან ჩემს ორგანიზაციაში 2 000 განცხადება შემოვიდა, ჭიათურის ოფისში, რომელიც აპრილში გავხსენით - 1 200. ეს მოხუცების და გაჭირვებულის ხელით დაწერილი განცხადებებია. მათ სჭირდებათ ბინა, სასამართლოში საქმის წარმოება, პენსიები, დახმარებები. ძალიან ხშირად ამ თხოვნების ასრულება არ შეგვიძლია, რადგან ეს ჩვენს კომპეტენციას სცილდება. ხშირად თანხებზეა საუბარი და არასდროს არ ვმალავ, რა შემიძლია და რა - არა. გვინდა, რომ ვისაც ვეხმარებით, კარგად დავეხმაროთ და დაპირებებით არ შემოვიფარგლოთ. ამიტომ, იმ 2 000 წერილიდან შეიძლება 10 პროცენტი დავაკმაყოფილოთ. ეს ძალიან ცოტაა, მაგრამ ეს არის 200 ან 400 ადამიანი, რომელმაც მიიღო ინვალიდის ეტლი, ან წამლები, ან კვების პაკეტი. ახლა თურქმა ბიზნესმენებმა მოგვცეს 30- ლარიანი სტიპენდია, რომელიც დაენიშნებათ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს სვანეთიდან, ცხინვალიდან ან სხვა რეგიონებიდან. ეს არ არის დიდი მასშტაბები, მაგრამ მაინც კარგია. ხალხი დახმარების იმედით მომმართავს და ზოგჯერ ავიწყდებათ, რომ ჩემს განკარგულებაში მხოლოდ 24 საათია და მარტო 2 ხელი მაქვს. ყველანაირად ვცდილობ, მოვიძიო ინტერესები და დაფინანსება, რადგან ეს პროცენტი აუცილებლად უნდა გაიზარდოს.

**- მშვიდი ადამიანი ჩანხართ, თქვენთვის რით იყო საინტერესო ერთი წლის წინანდელი მოვლენები - უძრაობიდან გამოსვლის და აქტიური ქმედების ხანა?**

- რა თქმა უნდა, ჩემთვის ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ ეს ყველაფერი ჩემთვის მოულოდნელი არ ყოფილა. მიშა ყოველთვის პოპულარული პოლიტიკოსი იყო. 5-6 წელია, რაც გაზეთების გამყიდველებიც კი მეუბნებოდნენ, თქვენი ქმარი უნდა იყოს პრეზიდენტიო. თავიდან მეღიმებოდა. იდეა, რომ მიშა ოდესმე მნიშვნელოვან თანამდებობაზე იქნებოდა, ჩემთვის მისაღები იყო, ამას მიჩვეული ვარ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს დრო იმაზე სწრაფად მოვიდა, ვიდრე ველოდი. არ მეგონა, რომ წინა პრეზიდენტის მერე სააკაშვილი იქნებოდა, რადგან ეს ძალიან რადიკალური ცვლილებაა. ვფიქრობდი, რომ ჯერ გარდამავალი პერიოდი დადგებოდა, მმართველობის სხვა ფორმა იქნებოდა. ამასობაში მიშა გაიზრდებოდა, გამოცდილებას მიიღებდა. ალბათ, თავადაც ასე ფიქრობდა, მაგრამ როდესაც 2003 წლის ნოემბრის არჩევნები გაყალბდა და ხალხმა საკმაოდ ორგანიზებული, მასობრივი აღშფოთება გამოხატა, ალბათ, მიშა დარწმუნებული იყო, რომ ეს ის დროა.

24 ოქტომბერს დედაჩემი 60 წლის გახდა და 2 კვირით ჰოლანდიაში წავედი შვილთან ერთად, 9 ნოემბერს უნდა დავბრუნებულიყავით. აქ განვითარებულ ამბებს თვალს ვადევნებდი და, რა თქმა უნდა, ვნერვიულობდი. ორგვარი გრძნობა მეუფლებოდა - ჩემი მეუღლის გამო ვღელავდი, მაგრამ, მეორე მხრივ, ვამაყობდი, რომ ხალხმა გაიღვიძა, აღსდგა და ცვლილებები მოუნდა. საქართველოში 9 დეკემბერს ჩამოვედი...

**- ყველაზე საინტერესო ადგილები გამოგიტოვებიათ...**

- სამწუხაროდ, მაგრამ როდესაც ჩამოვედი, სულ სხვაგვარი საქართველო დამხვდა.

**- ჰოლანდიაში ყურადღების ცენტრში იყავით?**

- დიახ. ჰოლანდიისა და ბელგიის პრესასთან მქონდა ურთიერთობა და ეს ჩემთვის კარგი შანსი იყო. რთული იყო იქ ყოფნა, ერთგვარ გაურკვევლობაში ვიყავი. არ ვიცოდი, რა და როგორ მოხდებოდა, დააყენებდა თუ არა მიშა თავის კანდიდატურას... ცხადია, ეს არ იყო სატელეფონო თემა და ამის შესახებ არ ვსაუბრობდით. ჩემთვის ძალიან რთული იყო, მაგრამ იმედით ვიყავი სავსე.

მალე ჰოლანდიაში გამოვა წიგნი ჩემი ცხოვრების, განვლილი გზის შესახებ. წიგნი წერილების საფუძველზე შევადგინე. მშობლებს თითქმის ყოველდღიურად ვწერდი ამერიკიდან და საქართველოდან. წიგნი მარტში ჯერ ჰოლანდიაში გამოვა და მერე აქაც.

**- ერთ შეხვედრაზე, რომელიც საქართველოში არ შედგა, პრეზიდენტობის გარიჟრაჟზე თქვენს მეუღლეს უთქვამს, ვიცი, წლის ბოლოსთვის ჩემი რეიტინგი დაეცემა, ისეთი ნაბიჯების გადადგმა მომიწევსო, ასეა?**

- რეიტინგი ჯერ არ არის დაცემული, მაგრამ 96 პროცენტი ახლა არ განმეორდება. ეს არა მხოლოდ მიშასთვის მიცემული ხმაა, არამედ წინა ხელისუფლებისა და მართვის სტილისთვის უარის თქმასაც ნიშნავდა. ახლა გარკვეული ცვლილებებია სოციალურ სფეროში, პენსიებსა და ხელფასებში. გამოჩნდნენ ინვესტორები, სხვაგვარი დამოკიდებულებაა მთავრობასა და მოსახლეობას შორის. რაც მთავარია, ალარაფერი ალარ იმალება. ადრე სხვაგვარად იყო - წავიდოდა შევარდნაძე ბათუმში და არავინ იცოდა, რაზე, ჩამოვიდოდა და - არ ამბობდა, რის შესახებ ილაპარაკეს. ხალხი მოტყუებული იყო.

მიშას ძალიან უნდა ხალხის ჩართვა დემოკრატიულ პროცესებში. უნდა იცოდეს ხალხმა, რატომ იგზავნებიან ჩვენი ჯარისკაცები ერაყში. ჩვენ არ გვჭირდება ჯარისკაცები? საზღვრები არ ირღვევა ჩვენთან? მაგრამ, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამერიკის ანტიტერორისტულ კამპანიაში ვმონაწილეობთ, როგორც სახელმწიფო. ჯარისკაცები გამოცდილებას მიიღებენ და გამოგვადგება.

არ მეგულება უცხოელი, რომელსაც ქართველი თუ არა, ქვეყანა მაინც არ შეყვარებოდა. უამრავი პლუსი გვაქვს - ბუნება, ხალხი, კულტურა. მეზობელ ქვეყნებთან - რუსებთან, თურქებთან, სომხებთან, აზერბაიჯანელებთან - მინდა იდეალური ურთიერთობები დამყარდეს. მალე სომხეთში 10-კაციანი დელეგაციით მივდივარ. დელეგაციაში იქნებიან ჟურნალისტები, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორი, პარლამენტარი. მეზობელ ქვეყნებთან კარგი ურთიერთობები უნდა იყოს და ამაში ვხედავ ჩემს როლს.

**- მსოფლიოს გამოჩენილ ადამიანებთან, პრეზიდენტებთან გიწევთ ურთიერთობა. მეგობრობთ სხვა ქვეყნების პირველ ქალბატონებთან?**

გაგრძელება B7 გვერდზე



# აფიშა

## გამოფენები

**ქარვასლა**
"ქრისტიანობის 2000 წელიწადი"

**TMS**
ნინო ყვავილაშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ტექსტილი)

**ძველი გალერეა**
გია ბუღაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**სურათების ეროვნული გალერეა**
ქართული რევოლუციის წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტოგამოფენა

**სამხატვრო აკადემია**
აკადემიის დაარსებიდან 70 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

**სალონი "ხელოვნება"**
ხელოვნების ნიმუშთა გამოფენა-გაყიდვა

**ბავშვთა სურათების გალერეა**
"ზამთარი ჩვენ სახლებში"

**კლუბები**
**ნოა ნოა**
Percussion Competition
(მერაბ სანოძე, კოკა აბზიანიძე, გია სალაღიშვილი, ელიბო, დი-ჯეი ბუკა)
დას: 22:00 სთ.

**გასართობი ცენტრი "მეიდანი"**
ფესტივალი "ოქროს ვარდის" საკლუბო გახსნა
დას: 21:00 სთ.

**Jam**
პროგრესულ-რევოლუციული "ფართი"
(ეძღვნება "ვარდების რევოლუციას")
დი-ჯეები: ლილუ, ედგარ სებისი, ქრეიზი და ქეში
დას: 21:00 სთ.
ფასი: 10 ლარი.
(50 პროცენტიანი ფასდაკლება მათთვის, ვინც თან იქონიებს ერთ ვარდს).

**კონცერტები**
**დიდი საკონცერტო დარბაზი**
ფესტივალი "ჩვენებურები"
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი**
სიმფონიური კონცერტი
დას: 18:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პიტერ შაფერი
"ა.ს.ა"
(ანტი-სულიერების-ამფეთქებლები)
რეჟისორი: ნინო შოთაძე
დას: 20:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
ფასი: 3, 7 და 10 ლარი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
პაზოლინის ფილმების ჩვენება
"სალორე"
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"თეთრი გოგონები"
დას: 14:00; 20:00 სთ.

"უცხო მტაცებლის წინააღმდეგ"
დას: 13:00; 17:30; 22:00 სთ.

**ამირანი**
"ტერმინალი"
დას: 22:00 სთ.

"რიდიკის ქრონიკები"
დას: 12:00; 14:30; 17:00; 19:30 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*

# ათი წელი ლურჯ სახლში

### გალერეა TMS-ში გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა გაიხსნა

მადი სერებრიაკოვა

*La Maison Bleue - ქართული გარემოსთვის ამ საკმაოდ უცნაური დასახელების ქვეშ ტექსტილის სამხატვრო სტუდია იგულისხმება. უკვე 10 წელია იგი თბილისში არსებობს და ზედმეტი ხმაურისა და აჟიოტაჟის გარეშე ძალზე საინტერესო პროდუქციას ქმნის. სტუდია ხუთ მხატვარს აერთიანებს. ეკა ხუნწარიამ, ირმა ხოფერიამ, ნინო ყვავილაშვილმა, ქეთი ქავთარაძემ და ნინო ხოფერიამ 10-წლიანი თანამშრომლობის აღსანიშნავად საანგარიშო გამოფენა გალერეა TMS-ში წარმოადგინეს.*

La Maison Bleue 1994 წელს დაარსდა. ხუთი მხატვრისთვის იგი ერთბაშად სახელოსნოც არის, პატარა საგამოფენო სივრცეც და ამ წლების მანძილზე დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების ადგილიც. მათი მხატვრული პროდუქცია ტექსტილის სხვადასხვა ტექნიკის გაერთიანების საფუძველზე იქმნება: ბატიკა, მხატვრობა აბრეშუმზე, გობელენი, პეჩვორქი, ნაქარგი. მათი ნამუშევრების ნაწილი მხოლოდ ვიზუალური სიამოვნებისთვის იქმნება, ნაწილს კი სავსებით უტილიტარული დანიშნულება აქვს: ღამის ნათურები, ჩანთები, ბალიშები, ქუდები, ტანსაცმელი და ა.შ. რაც მთავარია, ყოველი მათგანი ხელნაკეთი და განუმეორებელია. ამასთანავე, თავისი ფერადოვნებითა და სილამაზით ნებისმიერ გარემოს მყუდროებასა და სიხალისეს სძენს.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*გალერეა TMS-ში გუშინ გახსნილი გამოფენა ერთგვარი საანგარიშო ღონისძიება გახლდათ.*

La Maison Bleue-ს მხატვრები აქტიურ საგამოფენო მოღვაწეობას ეწევიან. მონაწილეობენ თითქმის ყველა მნიშვნელოვან გამოფენაში, რომელიც გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებზეა ორიენტირებული. მათი ნამუშევრები გამოიფინება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. დროთა განმავლობაში La Maison Bleue ერთგვარ სასწავლო დაწესებულებადაც ჩამოყალიბდა, სადაც შესაბამისი ნიჭისა და სურვილის მქონეთ ტექსტილის სხვადასხვა ტექნიკას შეასწავლიან.

როგორ აღინიშნა, გალერეა TMS-ში გუშინ გახსნილი გამოფენა ერთგვარი საანგარიშო ღონისძიება გახლდათ. აქ La Maison Bleue-ს თითოეულმა წევრმა ამ ათი წლის მანძილზე მიღწეული გამოცდილების საფუძველზე შექმნილი საუკეთესო ნიმუშები წარმოადგინა. გამოფენა ორი, ერთგვარად ურთიერთგამომრიცხავი და წინააღმდეგობრივი სიტყვით შეიძლება აღიწეროს - "მყუდრო სიჭრელე". ფერთა სიმრავლე გალერეაში შესვლისთანავე მოგჭრის თვალს, თუმცა, ოდნავაც არ გაღიზიანებს. პირიქით, იმდენად მშვიდ და მყუდრო ატმოსფეროს ქმნის, რომ დიდხანს აღარ მოგინდება გამოსვლა.

თითოეული ნამუშევარი შორიდან ჭვრეტის ობიექტიც არის და, ამასთან, ყურადღებით დაკვირვების საბაბსაც იძლევა: ოსტატურად და მახვილგონივრულად შერეული აბრეშუმი, ბატიკა, აპლიკაციები, პრიალა თუ ხავერდოვანი ფაქტურები, მჭახე და გვიანი შემოდგომის ფერები. La Maison Bleue-ს მთავარი ფერი კი მაინც ლურჯია და მისი ათასგვარი გრადაცია მეტ-ნაკლებად ყველგან იჩენს თავს. მეტ-ნაკლებად ერთიან სტილურ ფარგლებში შეიძლება განვიხილოთ ნინო ყვავილაშვილის ძალზე ლამაზი კომპოზიციები, ეკა ხუნწარიას "გასეირნება ჯადოსნურ ქალაქში". თევზების თემა ეფექტურად შემოიტანა ირმა ხოფერიამ. ყველაზე განსხვავებულად კი ქეთი ქავთარაძის ნამუშევრები მომეჩვენა. განსხვავებული როგორც ფერწერული, ისე თემატური თვალსაზრისით. რაღაცით შაგალის ტილოებიც კი მომაგონა.

გამოფენაზე გამოარჩევდით ნინო ხოფერიას ეთნიკური მოტივებით, ფერებითა და ორნამენტებით შექმნილ ნამუშევრებსაც. საინტერესო იყო ირმა ყვავილაშვილის მიერ ზაზა კობერიძის ლითონის კარკასებზე შექმნილი ნამუშევრებიც - ძირითადად, ღამის ნათურები. დამამახსოვრდა მისივე "ჯეჯემი", ეკა ხუნწარიას ნატურმორტი. გამოფენა კიდევ რამდენიმე დღეს გასტანს. მას კი, ვინც მის დათვალიერებას ვერ მოასწრებს, La Maison Bleue-ს მხატვართა ნამუშევრები შეუძლია მათივე სტუდიაში ნახოს.

# ძველი და ახალი ქართულ მინანქარში

### ქართული მინანქრის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები გრძელდება

სოფო კილასონია

შუა საუკუნეების ქართულ მინანქარზე ბევრი უთქვამთ და დაუწერიათ. თუმცა, არც თანამედროვე მინანქარია ნაკლებად პოპულარული და მომხიბვლელი, არც ჩვენს სალონებსა და გამოფენებზე წარმოდგენილი მინანქრის სამკაულები თუ გულსაკიდი ხატები და ჯვრები რჩება ვინმესგან შეუმჩნეველი. მათ გარშემო მუდამ ტრიალებენ და აღფრთოვანებით შესცქერიან. მეტიც, მაღალი ფასების მიუხედავად, თანამედროვე მინანქარს უამრავი მყიდველი ჰყავს. მინანქრის სამკაული დღეს ერთ-ერთი ყველაზე სასურველი საჩუქარია. ლამაზი, დახვეწილი და მოდური - აქ ყველაფერი გასაგებია, თუმცა, ქართული თანამედროვე მინანქრის გამოფენებზე მისული საზოგადოების სიმრავლე და გაუნელებელი ინტერესი მის ფენომენზე გვაფიქრებს. მაინც როდიდან ვტკბებით მისი სილამაზით და როდიდან ვიწონებთ თავს ოსტატურად შესრულებული ნაკეთობებით?

ცნობილია, რომ ქართულ ხელოვნებას მინანქრის (უმთავრესად, ტიხრულის) დიდი ტრადიცია აქვს. მინანქარს თვალსაჩინო ადგილი უკავია შუა საუკნეების ქართულ ხელოვნებაში. იგი განვითარების ისეთივე მაღალ საფეხურზე იდგა, როგორზეც ხუროთმოძღვრება და კედლის მხატვრობა. ქართული ტიხრული მინანქრის მრავალი ნიმუში დაკარგულია. შემორჩენილთა შორის უძველესი VIII საუკუნეს ეკუთვნის. ეს არის კათალიკოსის გულზე დასაკიდებელი ჯვარი და მთლიანად ტიხრული მინანქრით შესრულებული ენკოლპიონი მარტვილიდან.



ჯერ კიდევ 1998 წელს ხელოვნებათმცოდნეებმა მაია ნოზაძემ, ხათუნა ჩხეიძემ და ია დვალმა დააფუძნეს "თანამედროვე ხელოვნების განვითარებისა და პოპულარიზაციის ცენტრი". ამავე წელს ამ ასოციაციამ დააარსა სამხატვრო გალერეა "შარდენი", სადაც სისტემატურად ეწყობა თანამედროვე მხატვართა პერსონალური და ჯგუფური გამოფენები. მოგვიანებით ცენტრმა დააფუძნა გოგა კუპრაძის სახელობის მინანქრის სახელოსნო და მინანქრის კლუბი "შარდენი 15" მუდმივი სალონით. სწორედ ამ სახელოსნოში ისწავლა მინანქრის ხელოვნება კლუბის წევრთა დიდმა ნაწილმა, თუმცა, კლუბში მრავალი ცნობილი ოსტატიცაა. უკვე დიდი ხანია, რაც "შარდენი 15" წარმატებით ახერხებს ქართული მინანქრის ხელოვნების განვითარებას, მის საერთაშორისო ასპარეზზე გატანას, ფართო საზოგადოებისთვის გაცნობასა და კულტურული კონტაქტების დამყარებას.

გალერეა "შარდენმა" არაერთხელ უმასპინძლა მინანქრის მოყვარულთა საზოგადოებას. მრავალი გამოფენის გარდა, შარშან მოეწყო მინანქრის პირველი საერთაშორისო ბიენალეც, რომლის მნიშვნელობასა და, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, არაჩვეულებრივ ექსპოზიციაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. გუშინ "შარდენმა" გახსნა კიდევ ერთი გამოფენა, რომლის მასშტაბებიც, მართალია, შარშანდელს ჩამოუვარდება, მაგრამ არანაკლებ შთამბეჭდავი და საინტერესოა. აქ მინანქრის მრავალფეროვანი ტექნიკაა წარმოდგენილი. ტიხრულის გარდა, ვხედავთ ტვიფრულსა და ვიტრაჟულ ტექნიკას და, რაც განსაკუთრებით საინტერესოა, ეს გახლავთ ფრედ ბოლის ექსპერიმენტული ტექნიკა, რომელიც საზღვარგარეთ ჯერ კიდევ 60-იან წლებში გავრცელდა. ჩვენი მხატვრები მას ბიენალეს დროს ჩამოსული ჯუდი სტოუნის დახმარებით გაეცნენ. როგორც მაია ნოზაძემ აგვიხსნა, ახალი ტექნიკა ბევრად უფრო მარტივია, ვიდრე ურთულესი ტიხრული მინანქარი, ან სხვა დანარჩენი. ამას გარდა, ეს უკანასკნელი არა მარტო სიბრტყობრივი, არამედ სამგანზომილებიანი ნამუშევრების შექმნის საშუალებასაც იძლევა (ფორმა ჩამოისხმება რომელიმე ლითონში და გარედან იფარება მინანქრით).

გამოფენაზე მისულ დამთვალიერებელს სალონის ერთ კუთხეში ზაზა ლოდიას, მეორე მხარეს კი პაატა პაატაშვილის ნამუშევრები ელის. ეს უკანასკნელი ადვილად იცნობა გამოკვეთილი, ყველასგან გამორჩეული ხელწერით. პაატა პაატაშვილის სამკაულებში კი შერწყმულია ტვიფრული და ტიხრული ტექნიკა. ზაზა ლოდია საკუთარი კომპოზიციებით კიდევ ერთხელ აკვირვებს მნახველს და ორიგინალურ ხედვასა და ფანტაზიას ტიხრული მინანქრით ავლენს, თუმცა, უნდა ვთქვათ, რომ ეს არაა ტრადიციული ქართული ტიხრული მინანქარი.

ამ ორი მხატვრის გარდა, უნდა შევეხოთ კიდევ რამდენიმეს. დავით ჩხეიძის დახვეწილი ტექნიკითა და მომხიბლავ ფერთა გამით გამორჩეულ სამკაულებს, ია გიგოშვილის ულამაზეს თასებს, ნინო ბურკაძის ორიგინალურ, ძვირფასი ქვებით მორთულ გულსაკიდებს. ექსპოზიცია აერთიანებს მრავალ საინტერესო მხატვრულ ნამუშევარს, თუმცა, ყველაზე საყურადღებო ის არის, რომ დამთვალიერებელი იხილავს გოგა კუპრაძის, თანამედროვე მინანქრის ერთ-ერთი პირველი და გამორჩეული ოსტატის ქმნილებებსაც, ოსტატისა, რომელმაც, ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, მდიდარი მემკვიდრეობა დატოვა. "დღეს შევიგრძენი, თუ რამდენად დიდია ტიხრული მინანქრის გამოხატვის ძალა და მრავალფეროვნება. თუ ადრე მინანქრით მხოლოდ რელიგიური თემატიკა ხორციელდებოდა, დღეს ვხედავთ პორტრეტებსა და ფერწერულ კომპოზიციებს. ტიხარმა მინანქარში კომპოზიციურად აითვისა ის დატვირთვა, რასაც, ჩვეულებისამებრ, ფლობს გრაფიკა და ფერწერა. ის აღარაა მხოლოდ ფერთა გამიჯვნის საშუალება, იგი მხატვრულ ხერხად იქცა. დღეს ტიხარი მხატვრის ჩანაფიქრის მთავარი შტრიხია. ქართველმა მხატვრებმა მოახერხეს ტიხრული მინანქრისა და მისი ფერწერული შესაძლებლობების სინთეზი. დავრწმუნდი, რას ნიშნავს ახალი ტალღა", - აღნიშნავს ხელოვნებათმცოდნე თენგიზ პაპუნაშვილი, რომელიც უკვე 30 წელია, ამ დარგს ემსახურება. თუმცა, იგი ერთადერთი არ ყოფილა, ვინც გუშინ აღფრთოვანებულ ფრაზებს წარმოთქვამდა და, საერთოდ, ჩვენს მხატვრულ ტრადიცია-ფასეულობათა მნიშვნელობასა და ახლებური მხატვრული ხედვის სინთეზზე ალაპარაკდა.

# რევოლუცია ჭიქაში

ავთო შარვაშიძე

იმ დღეს ბარში ვიჯექი. უცებ გვერდით მაგიდიდან ხმა გავიგონე: "ორი ვარდების რევოლუცია, თუ შეიძლება". გამახსენდა, რომ სწორედ ამ რევოლუციის ერთი წლის იუბილე ახლოვდება და გავიფიქრე, ალბათ, ხუმრობს-მეთქი. თუმცა, ბარმენს რომ დავაკვირდი, მისი მოძრაობით მივხვდი - ის აშკარად რევოლუციას ქმნიდა, ოღონდ ჭიქაში.

როდესაც ესპანელები პირველად მოხვდნენ ამერიკაში, თავი ისე იგრძნეს, როგორც საკუთარ სახლში, მამლების ჩხუბი გამართეს. ეს ესპანური ტრადიციაა, მაგრამ ამერიკაშიც მოეწონათ და მას თავისებური ელფერი შეჰმატეს. გამარჯვებული მამლის პატრონის სახელზე შეჯიბრების შემდეგ წვეულებას აწყობდნენ და ვისაც რა სასმელი ჰქონდა, ერთმანეთში ურევდნენ. შედეგად სხვადასხვა ფერისა და გემოს სასმელს იღებდნენ. ასეთ სასმელს ამ დღესასწაულის პატივსაცემად "მამლის კუდი" - Cock 's tail ანუ კოქტეილი შეარქვეს.

საქართველოში, არ ვიცი, ღვთისა თუ დროის წყალობით, სმის კულტურა ნელა, მაგრამ მაინც იხვეწება. უკვე ვიცით, რომ თუ ორ-სამ ჭიქა "მამლის კუდს" ანუ კოქტეილს მივირთმევთ, შეიძლება კარგ გუნებაზე დავდგეთ და დრო სასიამოვნოდ გავატაროთ. ამისთვის სულაც არ არის საჭირო, დიდი სუფრა გაშალო, ზედ უამრავი სასმელი დააწყო და, რაც შეიძლება, ბევრი დალიო. უბრალოდ, შედი ბარში, დალიე კოქტეილი და მუსიკას მოუსმინე. ერთი რჩევა პირადად ჩემგან: ბარი მუსიკის რეპერტუარის მიხედვით შეარჩიეთ, რადგან კოქტეილებს ყველგან ერთნაირად ამზადებენ (გარდა იმ კოქტეილისა, რომელზეც მინდა ცალკე გიამბოთ), მუსიკა კი ყველგან ერთნაირი არ არის.



*ის იმ ვარდივით წითელია, რომელიც იმ დღეებში ხელში გვეჭირა.*

ყველა კოქტეილს თავისი ისტორია აქვს. თუ გინდათ, ლას ვეგასის ბატონ-პატრონად წარმოიდგინოთ თავი, შეუკვეთეთ კოქტეილი "კუბალიბრე". ცნობილია, რომ ეს კოქტეილი ლას ვეგასის დამაარსებელს მოგრინს უყვარდა. ხოლო თუ გსურთ, კოქტეილის შექმნის ესპანურ-ამერიკული ტრადიცია ქართული სულით გაამდიდროთ, მიირთვით "ვარდების რევოლუცია". ეს არის კოქტეილი, რომელიც საგანგებოდ ვარდების რევოლუციის წლისთავისთვის შეიქმნა ქიაჩელის ქუჩის კუთხეში მდებარე ბარ "ნალში". ამიერიდან ჩვენ შეგვიძლია დავლიოთ კოქტეილი, რომლის შექმნის ისტორიის მონაწილენიც ვართ.

2003 წლის 23 ნოემბრიდან დღემდე, თუ რაიმე გაკეთებულა, ყველაფერი ვარდების რევოლუციას მიეძღვნა. მათ შორისაა ეს კოქტეილიც. პირადად მე "ნალის" ხშირი სტუმარი ვარ. რა თქმა უნდა, თავი ვერ შევიკავე და ეს სასმელი გავსინჯე. ჩემდა გასაოცრად, ამ რევოლუციურ სასმელსა და ვარდების რევოლუციას შორის სამი მსგავსება ვიპოვე: ის იმ ვარდივით წითელია, რომელიც იმ დღეებში ხელში გვეჭირა, ისეთივე ცივია, როგორც ნოემბრის ის დღეები იყო და ისეთივე ამაღელვებელია, როგორც ყველა სიახლე.

23 ნოემბერს მთელი ქალაქი აღნიშნავს რევოლუციის წლისთავს. ზეიმი კი სასმელის გარეშე წარმოუდგენელია. ამ დღეს, დარწმუნებული ვარ, საქართველოს პრეზიდენტიც იზეიმებს და მინდა, იგი პირადად დავპატიჟო "ნალში" ერთ ჭიქა "ვარდების რევოლუციაზე".

# "თბილისური აისი"

სამი დღის მანძილზე, კინოს სახლში კინომოყვარულთა მე-8 ფესტივალი "თბილისური აისი" მიმდინარეობდა.

ეს ფესტივალი, პირველად 1979 წელს ჩატარდა, და ყოველ ორ წელიწადში ერთხელ კრებდა კინომოყვარულებს. 80-იანი წლების ბოლოს, რიგ მიზეზთა გამო ფესტივალმა დროებით შეწყვიტა თავისი არსებობა და მხოლოდ 2001 წელს, 14-წლიანი შესვენების შემდეგ შეძლო აღედგინა ძველი ტრადიცია.

19-21 ნოემბრის ჩათვლით ფესტივალის ორგანიზატორმა სტუდია "პიონერფილმა" და მისმა ხელმძღვანელმა გრიგოლ ჩიგოგიძემ ქართველ კინომოყვარულთა და ტელესარეჟისორო ფაკულტეტის სტუდენტთა ნამუშევრებთან ერთად, უცხოელ კინომოყვარულთა ფილმებიც წარმოადგინა. აქვე წარმოდგენილი იყო რაიონებში არსებული კინო სტუდიის ნამუშევრებიც. რამდენიმე წუთიანი მხატვრული თუ დოკუმენტური ჩანახატები, ანიმაციური ფილმები და მუსიკალური კლიპები - ასეთი იყო კინომოყვარულთა პროგრამა.

რიგით მე-8 ფესტივალი, 21 ნოემბერს საზეიმოდ დაიხურა, სადაც გამარჯვებულებს და ფესტივალის თითქმის ყველა მონაწილეს ჟიურიმ და მისმა თავჯდომარემ მარლენ კიტიამ სიმბოლური პრიზები და სიგელები გადასცეს. "თბილისური აისის" მთავარი პრიზის მფლობელი ქუთაისელი კინომოყვარული დავით ნანობაშვილი აღმოჩნდა, რომლის დოკუმენტურმა ნამუშევარმა "მირონ მდინარე ხატები" ჟიურის გრან-პრი დაიმსახურა.

# რისი ეშინოდა ვირჯინია ვულფს

ვერა ნეფარიძე

*რევოლუცია დიდ ცვლილებებს გულისხმობს ყველა სფეროში. უკანასკნელი წლების საქართველოში, ყველაფერთან ერთად, კულტურის სფეროშიც რომ კრიზისი იყო, არავისთვის არ არის ახალი. საზოგადოების დაყოფა, ალბათ, არ ღირს, მაგრამ აშკარა იყო, შარშანდელ რევოლუციას ხელოვანებიც ჰმატებდნენ ძალას. მათთან ერთად კი რევოლუციურ ცვლილებებს კულტურაში საზოგადოებაც ელოდა. ერთი შეხედვით, ახალი ხელისუფლებისგანაც ჩანდა ამგვარი მზაობა. რევოლუციიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ჯერ კიდევ სახელმწიფო მინისტრის რანგში მყოფი ზურაბ ჟვანია კულტურის მოღვაწეებს შეხვდა. "მინდა იგრძნოთ, რომ თქვენს მოედანზე ვართ და არა სახელისუფლებო, შეთეთრებულ მოედანზე", - რამდენ ხანს დარჩებოდა ხალისუფლება ამ მოედანზე, ამას კულტურის მოღვაწეთა და ხელისუფალთა თანამშრომლობა გაარკვევდა. ჟვანიამ იმ დღეს კულტურაში არსებული უამრავი პრობლემის მოსაგვარებლად ხელოვანებს თანამშრომლობა შესთავაზა. რა მოუტანა ქვეყანას ამ თანამშრომლობამ (თუკი ის, საერთოდ, მოხერხდა)? მოხდა თუ არა რევოლუცია ქართულ კულტურაშიც? რამდენად რევოლუციური პროექტები შესთავაზა სახელმწიფომ საზოგადოებას ახალი ინსტრუმენტის - გაერთიანებული სამინისტროს საშუალებით? დაბოლოს: დამთავრდა თუ არა საქართველოში "კარის პოეტების" ზეობა?*



## ხელისუფალთა მსახურნი

მიამიტი არ ვარ. არ მომწონს, მაგრამ ვიცი, "კარის პოეტების" ხანა არასდროს დასრულდება. ყოველთვის იარსებებენ "შემოქმედები", რომელთაც ხელისუფალთ უნდა უმღერონ, და ყოველთვის იარსებებს ხელისუფლება, რომელიც ამგვარ "შემოქმედებს" შეიწყალებს; მაგრამ განსხვავება კომუნისტურ, პოსტკომუნისტურ და "ახალ საქართველოს" (რევოლუციის შემდგომ) შორის ამ მხრივ ის უნდა იყოს, რომ ამგვარი ადამიანები საზოგადოებაში არ სარგებლობდნენ განსაკუთრებული უფლებებით (როგორც აქამდე იყო); მეტიც, ხელისუფლებას უნდა რცხვენოდეს მათი მფარველობის და უნდა ერიდებოდეს საჯაროდ ამ ურთიერთობების გაშიშვლებას. თუმცა, თუ საზოგადოება სნობიზმს, ხელისუფლებასა და "ელიტურ ინტელიგენციას" შორის მერკანტილურ ურთიერთობებს მწვანე შუქს აუნთებს, ხელისუფლება ამას საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენებს და ყოველთვის მიესალმება.

რატომ დავიწყეთ ამ თემით? ალბათ იმიტომ, რომ ათწლეულების განმავლობაში ამ სენით ქართველები თითქმის განუკურნებლად ვიყავით ავად; ეს აღარ არის მარტო ჩვენი მამებისა და ბაბუების დაავადება. ამაში არაერთხელ დავრწმუნებულვართ. გახსოვთ ალბათ, როდესაც საპარლამენტო არჩევნებამდე ერთი დღით ადრე, "ლოკომოტივის" სტადიონზე სახელისუფლო პარტიის მხარდასაჭერ მორიგ ფონოგრამულ კონცერტში მონაწილეთაგან რამდენიმე "ვარსკვლავმა" ამ კონცერტიდან სულ რაღაც თვენახევარში საახალწლო ჰიმნის ჩაწერაში მიიღო მონაწილეობა და "ვარდების რევოლუციის" დროს ბარიკადებზე დგომაც ამაყად დაიბრალა. ეს იყო ერთი უბრალო ჟესტი, რომელიც უფრო მეტად არ უხდებოდა ახალგაზრდა "ესტრადის ვარსკვლავებს", ვიდრე იმ პოეტ ძიებს, პარლამენტისა თუ მთავრობის სხდომებზე ქება-დიდებას რომ ასხამდნენ გამეფებულ სისტემასა და მის ავტორებს. რაც შეეხება ჩვენი დროის "კარის პოეტებს", ჯერ ვერ გეტყვით, ამაოდ დაშვრნენ თუ არა. დღევანდელი ხელისუფლება მსგავს ურთიერთობებში ჯერჯერობით ვერ შევნიშნეთ. შესაძლოა, საკმარისად არ მოძლიერებულა. საზოგადოებას კი მაინც სიფხიზლე ჰმართებს.

"ნებისმიერ საზოგადოებას ცოტა დრო აქვს რეფორმებისთვის", - ეს გაფრთხილება ახალი ხელისუფლებისგან კულტურის მოღვაწეებმა შარშან მიიღეს. ბუნებრივია, საზოგადოება სახელმწიფოსგან რეფორმებს ელოდა. მათ შორის, კულტურის სფეროშიც, სადაც რეფორმების გარანტი განახლებული კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო რჩება დღემდე.

დამეთანხმებით, სამინისტროს პრეროგატივა გლობალური პრობლემების მოგვარებაა. აქ სამინისტრო მრავალ სერიოზულ პრობლემას შეიძლება გადააწყდეს, რადგან ბევრი რამ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. მაგალითად, კანონი ქველმოქმედების შესახებ ჯერაც არ მიგვიღია. არადა, ამ კანონის ამოქმედებით (რასაკვირველია, თუ ის მაქსიმალურად გამართული იქნება), კულტურის სფეროში არსებული პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი თავისთავად გადაწყდება. რევოლუციის წლისთავზე, სამწუხაროდ, ამ კანონის ამუშავება ვერ მოხერხდა.

მაინც რას ელოდა საზოგადოება რევოლუციისგან? გასაგები იყო მათი პათოსი, ვინც ირწმუნებოდა, რომ მხოლოდ შევარდნაძის წასვლა ყველაფერს უშველიდა. იყვნენ ისეთებიც, ვინც, რევოლუციური აღტკინების მიუხედავად, რეალურ რამეებზე ფიქრობდნენ: **"მეშინია, ჩვენმა ლიდერებმა, ვინც ამ რევოლუციაში მიეხმარა და ამ ორომტრიალში მიიღო მონაწილეობა, ის ხალხი არ დასვან თანამდებობებზე",** - ამბობდა რეჟისორი ირაკლი მახარაძე რევოლუციის დღეებში. თუმცა, საშიში აღმოჩნდა სხვაგვარი ტენდენციაც. დამსახურებების გამო, თანამდებობების ჩუქებასთან ერთად, ჩვენში საკმაოდ მომძლავრებულია საახლობლოს დასაქმება. ოღონდ, ახალ საქართველოში ამას "გუნდური მუშაობის პრინციპად" ასაღებენ. მინისტრს ან რომელიმე "ჩინოვნიკს" საკუთარ (მის დაქვემდებარებაში მყოფ) უწყებაში მიჰყავს საახლობლო (მეგობრები, ნათესავები...) წრიდან რჩეულები, თითქოს ეს არის მისი სამუშაო გუნდი. სინამდვილეში კი ამ "გუნდს" აქამდე ერთად მუშაობის გამოცდილება არ ჰქონია. ამგვარად ხვდებიან არაპროფესიონალები მნიშვნელოვან თანამდებობებზე. ჩვენს სამინისტროებში **ეს ტენდენცია უკანასკნელ თვეებში უკვე გამოიკვეთა,** რაზეც უკვე ბევრს საუბარობენ საზოგადოებაში.

## სახელმწიფოს არჩევანი

როდესაც კულტურის სამინისტროს სტრუქტურულ ჩამოყალიბებაზე მსჯელობდნენ, არავისში ეჭვს არ იწვევდა, რომ ამ სამინისტროს ძირითადად კულტურის სფეროების სტიმულირება მოეთხოვებოდა. ამაში იგულისხმებოდა: ფინანსების მოძიება მნიშვნელოვანი პროექტების განსახორციელებლად; მემკვიდრეობის მოვლა, ახალი, საინტერესო იდეების მხარდაჭერა. არც საზოგადოებაში ყოფილა ამ საკითხთან დაკავშირებით პრინციპულად განსხვავებული აზრი. მისთვის მთავარი იყო, სამინისტრო ნამდვილად განახლებულიყო. **"კულტურის სამინისტრო უნდა იყოს ერის სულიერი სარკე; რაც ახალი და საინტერესო ხდება ქვეყანაში, იქ უნდა ირეკლებოდეს. კულტურის სამინისტრო, რაც მე მახსოვს, ყველაზე კონსერვატული და ტერორისტული ორგანიზმი იყო"**, - მიაჩნდა და დღესაც ასე ფიქრობს მუსიკოსი ლადო ბურდული.

უამრავთაგან რომელ სფეროში არსებულ პრობლემებს უნდა მინიჭებოდა უმთავრესი ყურადღება, ამაზე ბევრს ჰქონდა საკუთარი მოსაზრება; ძირითადად, მაინც ყველა საკუთარი ინტერესებიდან ხედავდა პრობლემას. ზოგიერთისთვის მნიშვნელოვანი იყო ქართული კინოს რეანიმაცია; სხვანი ქველმოქმედების შესახებ კანონის მიღებას მიიჩნევდნენ უფრო საჭირბოროტოდ; ზოგიერთები სახელოვნებო აღზრდას... და ა.შ. ძნელია, ჩამოთვლილიდან რომელიმეს უპირატესობაზე და მეორეხარისხოვნობაზე ისაუბრო. სამინისტრომ თავისი არსებობიდან დღემდე წამოწყებული და განხორციელებული პროექტებით თუ პროექტებში თანამონაწილეობით საკუთარი არჩევანი გააკეთა.

ასე თუ ისე, პრიორიტეტები გამოიკვეთა: ამუშავდა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების პროგრამა (წლეულს დამოუკიდებელ საქართველოში პირველად გაიმართა პროფესიული თეატრებისა და თეატრალური ჯგუფების გასტროლები 14 ქალაქსა და რაიონში), ასევე, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამა; ხალხური ხელოვნების პოპულარიზაციის მიზნით დაფინანსდა ფოლკლორული ფესტივალები; დაწყებული და დაგეგმილი პროექტების რაოდენობის მიხედვით თუ განვსაზღვრავთ, შეიძლება ითქვას, რომ განსაკუთრებული ზრუნვის საგანი კულტურული მემკვიდრეობაა. ის, რომ წიგნი კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს პრიორიტეტია, რამდენიმე ლიტერატურული გაზეთის, წიგნის ფესტივალის თანადაფინანსებით და საქართველოში წიგნის პოლიტიკისადმი მიძღვნილი სემინარით გამოიხატა. თანამედროვე ვიზუალური ხელოვნების სფეროში დაფინანსდა პროექტები (გამოფენების მოწყობა საქართველოში; თავისუფალი პროექტები); კონკურსგარეშე დაფინანსდა ქართული პროფესიული სახვითი ხელოვნების განვითარების სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამიდან სხვადასხვა პროექტი. რასაკვირველია, ეს ძალიან ზოგადი ჩამონათვალია იმ ნუსხიდან, რაც სამინისტროში არსებობს და ნებისმიერ მსურველს ექნება მისი გადახედვის შესაძლებლობა.

დაბოლოს: ყოველთვის იყვნენ, არიან და აუცილებლად იქნებიან ადამიანები, ვინც ყველანაირ სახელმწიფო სტრუქტურასთან ურთიერთობის გარეშე შექმნიან ხელოვნების ნიმუშებს, იმიტომ, რომ ეს მათი არსებობისთვის აუცილებელი პირობაა; მათ არ დასჭირვებიათ და არც დასჭირდებათ სამინისტრო, მაგრამ სამინისტროს უნდა დასჭირდეს ისინი. ამით უნდა განსხვავდებოდეს სასურველი სამინისტრო აქამდე არსებულისგან. სახელმწიფოს ყოველთვის სჭირდება ცალკეული ხელოვანები და ეს პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ თბილისში "თანავარსკვლავედის" შეკრებამაც დაადასტურა. მაშინ უცხოეთში მოღვაწე ქართველმა მუსიკოს-შემსრულებლებმა ერთხმად განაცხადეს, რომ თუ ქვეყანაში სახელმწიფო დონეზე დაიწყებოდა კულტურაზე ზრუნვა, ისინი აუცილებლად დაბრუნდებოდნენ სამშობლოში. დღემდე ხელისუფლებამ ნინო ანანიაშვილის დაბრუნება შეძლო - პირობა, ამ შემთხვევაში, ორივე მხარემ შეასრულა. მანამდეც და მას შემდეგაც არაერთხელ თქმულა, რომ ამ მიმართულებით ხელისუფლება ისევ გააგრძელებს მუშაობას და საქართველოს პროფესიონალ ხელოვანებს დაუბრუნებს. ესეც კულტურის სფეროში სახელმწიფოს ზრუნვის ერთ-ერთი მიმართულებაა.

# იფიქრე სიმბოლოებით

### პოლონურ-ამერიკული პლაკატი თბილისში

თამარ ბაბუაძე

"ხელოვანის შესაძლებლობები ყოველთვის მისი ბოლო ნამუშევრით უნდა შეფასდეს. იმდენად ხარ კარგი, რამდენადაც შენი ბოლო ნაწარმოებია კარგი", - პოლონელი მხატვარი რაფალ ოლბინსკი საკუთარ თავსაც ამ წესით აფასებს და ამერიკის შესწავლის ცენტრში გამართულ გუშინდელ შეხვედრაზე, პირველ რიგში, სწორედ თავის უკანასკნელ ნახატს გვაჩვენებს.

"უკონტექსტოა. გალერეისთვის გავაკეთე. ერთი ეგ ვიცი, რომ მთავარი გმირი ჩემი შვილია, დანარჩენი თავისით მოვიდა, თორემ, ბიჭს არც ბალეტი უყვარს და იმედი მაქვს, ჯერ არც ეს ქალი", - მიუთითებს იქვე, ნახატის კუთხეში მდგარი ბალერინისკენ და აშკარად ეტყობა, რომ ნახატი თვითონაც მოსწონს.

ნამუშევარი სიმპათიურია. საინტერესოა. და ოლბინსკის წესის გათვალისწინებითვე, მისი დანარჩენი შემოქმედების სიკარგეზეც მიგვანიშნებს.

თუმცა, კიდევ უფრო კარგია ის ფაქტი, რომ ოლბინსკი უკანასკნელ ნაწარმოებად - ანუ, საკუთარ თავზე მსჯელობისთვის - საქართველოსთვის საჩუქრად ჩამოტანილ პლაკატს არ წარმოგვიდგენს: გერგეთის სამებისა და მყინვარის ფონზე ამოზრდილ ბებერ ხეს, რომლის ტოტებშიც, გრანდიოზული ბუდესავით, წითელი ვარდი ჩასვენებულა, წინ კი გაურკვეველი წარმოშობის, მაგრამ ქართველად მოაზრებული ქალი დგას.

პლაკატი, ცხადია, ჩვენი ქვეყნისადმი დიდი პატივისცემის გრძნობით არის დახატული, მაგრამ მაინც დასანანი იქნებოდა, ოლბინსკის წესის გათვალისწინება და მის შემოქმედებაზე ამ ერთ-ერთი უკანასკნელი ქმნილებით მსჯელობა.

თავად ავტორი კი საჩუქრის შეფასებას ჩვენ მოგვანდობს: "როგორია, ეს თქვენ უნდა თქვათ. ისე კი, საქართველოზე ბევრი არაფერი ვიცოდი. პლაკატი ოქტომბრის დასაწყისში რამდენიმე დღეში შევქმენი. სიმბოლიკაც გავითვალისწინე - მათ შორის, ვარდი, და ხეც, როგორც სიბრძნის მეტაფორა".

თუმცა, არც ნაჩუქარ ცხენს გაესინჯება კბილი და არც ქართველები აპირებენ ამის გაკეთებას; მით უფრო, პუბლიკის ის ნაწილი, რომელმაც კვირას, 21 ნოემბერს ეროვნული ბიბლიოთეკის დარბაზში გახსნილი ოლბინსკის გამოფენა უკვე დაათვალიერა, ავტორსაც პირადად მოუსმინა და საქართველოსთვის ნაჩუქარი ვარდიანი პლაკატის გარეშეც იოლად ირწმუნა მხატვრის სიკარგე.





*"ჩემი ამერიკული კარიერა ჟურნალ "თაიმში" დაიწყო, მაგრამ არა ისე, როგორც ახლა თქვენ ეს გაიფიქრეთ", - ჰყვება მხატვარი.*

დანარჩენებმა კი, შეიძლება ეს ჯერ არც იცით, მაგრამ ოლბინსკის, ალბათ, საქართველოში ჩამოსვლამდეც იცნობდით. პირადად მე მხოლოდ გუშინ გავიხსენე, რომ, თურმე, პოლონელის ნამუშევარი პირველად რამდენიმე წლის წინ მინახავს, ჟურნალ "ნიუზუიქის" გარეკანზე. მაშინ იმდენად მომეწონა ჟურნალის მთავარ თემაზე, მენოპაუზაზე გაკეთებული ოლბინსკის ნახატი, რომ დღემდე დამამახსოვრდა და გუშინ, კიდევ ერთხელ ნახვისას, პირვანდელი შთაბეჭდილებაც გამიძლიერდა - ყდაზე ქალის პროფილია გამოსახული, ოღონდ მთელი თავი გამხმარი, დალარული ხის ტოტებითაა აწყობილი და ქალის ფენომენზე რამდენიგვარ მეტაფორას გვახსენებს.

რაფალ ოლბინსკი 1980-იანი წლებიდან გაამერიკელებული პოლონელი მხატვარი, ილუსტრატორი და სცენის დიზაინერია. პოლონეთიდან ემიგრირების შემდეგ ნიუ იორკში ცხოვრობს და ვიზუალური ხელოვნების უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს. იუმორი, რითაც ის თითოეულ ახალ ნაწარმოებს უდგება, საუბარშიც იგრძნობა. იშვიათად მინახავს მხატვარი, რომელიც საკუთარ თავზეც ასე უშუალოდ იცინის და თან ყოველ მორიგ წინადადებაში ამტკიცებს, რომ კარგი გაგებით ძალიან არატრადიციული ამერიკელია.

"ჩემი ამერიკული კარიერა ჟურნალ "თაიმში" დაიწყო, მაგრამ არა ისე, როგორც ახლა თქვენ ეს გაიფიქრეთ", - ჰყვება მხატვარი და ანეკდოტივით ბიოგარფიულ ეპიზოდს იხსენებს:

"მაშინ ამერიკაში ახალი ჩასული ვიყავი. შეგუება მიჭირდა, ენაც არ ვიცოდი კარგად, მაგრამ თავის დამკვიდრებას ყველანაირად ვცდილობდი. ვრეკავდი რედაქციებში და საკუთარი ნამუშევრების გაცნობას ვთავაზობდი.

ერთხელაც "თაიმში" დავრეკე, მდივანმა მითხრა, რომ ჩემი პორტფოლიო უნდა მიმეტანა, დამეტოვებინა. შემდეგ რედაქტორი ნახავდა და თუ მოეწონებოდა, დამირეკავდა. მე კი მისი ნათქვამი ისე გავიგე, რომ თითქოს რედაქტორი მიწვევდა სადილზე. იმ დღეს წვიმდა, მე კი საგულდაგულოდ გამოვეწყვე, საგულდაგულოდ დახვეული პლაკატები მოვიმარჯვე და "თაიმის" რედაქციისკენ გავეშურე. სანამ შენობას ვიპოვიდი, საერთოდ გავილუმპე. მერე კი გავიგე, რომ არავითარი სადილი არ იქნებოდა. სანამ მდივანთან დაბნეული ვიდექი და ვიცდიდი, ერთმა ფოტოგრაფმა გამოიარა, რომელიც "თაიმის" მორიგი ნომრის მთავარ თემაზე "ახალი ემიგრანტები" მუშაობდა. ჩემზე უკეთესს კი ვის იპოვიდა - დიდ, წვერიან, სველ, როხროხა აღმოსავლეთ ევროპელს. იქვე გადამიღო პოლაროიდის ფოტო და მერე გარეკანზეც გამომაჭენა. ეს ჩემი პროფილია, ასო T-ს ქვეშ".

ოლბინსკი "თაიმში" ილუსტრატორადაც მიიწვიეს, მართალია, ორი წლის მერე, მაგრამ მაინც. იმ დროისთვის პოლონელი უკვე "ნიუ იორკ ტაიმსში" მუშაობდა. შემდეგ ის რეგულარულად აფორმებდა "ნიუზუიქის", "ბიზნესუიქის", "თაიმის", "ნიუ იორკერის", "დერ შპიგელის" გარეკანებს და, როგორც თავად ამბობს, ეუფლებოდა "ვიზუალურად, სახეებით, სიმბოლოებით ფიქრს".

ოლბინსკის ნიჭი და მისი ზომიერი იუმორით გაჯერებული სიურეალისტური სტილი ეროვნულ ბიბლიოთეკაში მიმდინარე გამოფენა-ფარულ აუქციონზეც კარგად ჩანს. იქ 28 ნოემბრამდე მხატვრის საუკეთესო ნამუშევრებია წარმოდგენილი (აუქციონიდან შესული თანხა სამხატვრო აკადემიის ერთი კონკრეტული პროექტის დაფინანსებას მოხმარდება). სჭარბობს საოპერო დადგმებისთვის გაკეთებული სცენის დიზაინი და აფიშები, იქვეა ოლბინკსის - ჯაზის დიდი მოყვარულის ცნობილი პლაკატიც - "დიუკ ელინგტონი". თუმცა, აღსანიშნავია, რომ სახეებითა და სიმბოლოებით ავტორი ყველა თემაზე ერთნაირად შთამბეჭდავად "ფიქრობს" - პოლიტიკურ პლაკატებსაც აკეთებს, ბიზნესსაც ეხება და ხელოვნებასაც.

პირველი ოპერა, რომელიც ოლბინსკიმ სრულიად შემთხვევით გააფორმა ფილადელფიაში დადგმული "დონ ჟუანი" იყო. ეტყობა, მხატვარს ეს დანარჩენ სპექტაკლებზე - "ტოსკაზე", "ტრავიატაზე", "დონ კარლოსზე", "ოტელოზე" და კიდევ ბევრ სხვაზე მეტად უყვარს და შეხვედრაზე მისულებსაც დეტალურად გვიხსნის ოპერის სცენის დიზაინს. მისი მონათხრობიდან კი კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ კომუნისტურ პოლონეთში ნასწავლი სიმბოლური აზროვნება ოლბინსკიმ საკუთარივით გაითავისა და თავისუფალ ამერიკაშიც წარმატებით გამოიყენა: "დონ ჟუანი ყველაზე სექსუალურ მანქანაში "ბუგატიში" ჩავსვი. კონტრასტი ძლიერი იყო - წითელ საწოლად გადაკეთებული შავი "ბუგატი", რომელიც მთავარი გმირის სასიყვარულო ფანტაზიების ავანსცენად დავსახე".

ამგვარ იუმორნარევ, ხანდახან კი პროვოკაციულ მეტაფორებს გპირდებით, ბიბლიოთეკაშიც მრავლად წააწყდებით. ანონსად კი გაცნობებთ, რომ იქ წელს ქვევით სპორტულ ფეხსაცმელსა და შორტში, ზევით კი ეპოქის ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი შექსპირიც დაგხვდებათ, მაგრამ როცა პლაკატის კონტექსტს გაიგებთ, მერე აღარც ავტორს დაძრახავთ შექსპირის შეურაცხყოფისთვის.

### პაულო კოელიოს სვეტი

# სინათლისა და კაბალას წიგნი



სიტყვა "კაბალას" საწყისი ებრაულ ენაში უძევს. qabbalah ივრითზე "ტრადიციას" ნიშნავს და თორას სწავლების მეტაფიზიკურ ინტერპრეტაციას გულისხმობს (თორა იუდეველთა წმინდა წიგნების ერთობლიობაა). თავიდან ის ახალ თაობას მამა-პაპათაგან ზეპირ სიტყვად გადაეცემოდა. ადამიანები იმ დროს უკვე ფიქრობდნენ, რომ თორაში შემავალი თითოეული ასო და რიცხვი საიდუმლო მნიშვნელობით იყო დახუნძლული. შემდეგ, თანდათან, კაბალა დაწერილ ტექსტად და დიაგრამებად ჩამოყალიბდა. ამ უკანასკნელთაგან ყველაზე ცნობილია ნახაზი, რომელზეც ძირითადად ერთმანეთში გადაკვეთილი წრეებია გამოსახული და რომელსაც სიცოცხლის ხე ეწოდება. მე-14 საუკუნეში მოღვაწე მისტიკოსი ჯოზეფ გიკატილა ღვთაებრივი გეგმის შესახებ ამბობდა: "ყველაფერი, რაც იმ ადგილზეა, სადაც ის პირვანდელი შექმნისას იყო, კარგია. ხოლო ის, რაც გადაადგილდა - ბოროტი".

მე-17 საუკუნეში, ესპანელმა მისტიკოსმა მოისეს დე ლეონმა დაწერა ერთგვარი გზამკვლევი ამ კაბალისტური ინტერპრეტაციების ასახსნელად. მის კვლევას მოგვიანებით ეწოდა ასე - "ზოჰარი - სინათლის წიგნი". ტექსტში ლეონი გვასწავლის, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ადამიანის გონებამ უზენაეს სიბრძნეს.

აი, გერშომ შოლემის მიერ შერჩეული ნაწყვეტები ზოჰარიდან, რომელიც, მართლაც, საინტერესოდ ჟღერს:

წმინდა წიგნები (იგულისხმება თორა) აკვესებენ სიტყვას, რომელიც ფურცლის დატოვებისთანავე, უბრუნდება ადგილს, სადაც გაჩნდა - ანუ, უბრუნდება საიდუმლოს. ეს სიტყვა - ფურცლიდან ასხლეტილი და საიდუმლოს ფესვებს დაბრუნებული - მხოლოდ მას ენახვება, ვისაც ესმის და იცავს წმინდა მცნებებს.

მეტიც, ეს სიტყვა შეიძლება შევადაროთ მშვენიერ ახალგაზრდა ასულს, რომელიც მიყრუებულ ოთახში მარტოდმარტო გამოუკეტავთ. გოგონას მალულად შეყვარებული ჰყავს, რომლის არსებობის შესახებაც არავინ არაფერი იცის. ლამაზმანის სიყვარულით გონებაარეული ყმაწვილი მთელ დღეებს მისი ოთახის სიახლოვეს ატარებს და მოუთმენლად ელის წუთს, როცა საყვარელი სახის დანახვას შეძლებს. გოგონამ იცის, რომ ის იქვე, ახლოსაა. და რას აკეთებს ბიჭისთვის? ასული სწრაფი მოძრაობით წევს ფარდას დაკეტილი ოთახის კარზე - მიჯნურს წამიერად დაენახვება და მერე ისევ ფარდის მიღმა იმალება. ბიჭი ბედნიერია, რადგან იცის, რომ გოგონას ფარდა მწველი გრძნობით სავსე გულმა გადააწევინა; იცის, რომ ეს სწრაფი მოძრაობა სიყვარულით იყო სავსე და მხოლოდ მას, ერთს ეკუთვნოდა. ამ ბედნიერი წამის შემდეგ ის თავის გულსა და სულს მშვენიერ ასულს მსხვერპლად წირავს (ბიჭმა ხომ გოგონას ნაზი საიდუმლო ახსნა).

იგივე ხდება წმინდა წიგნებშიც (კვლავ იგულისხმება თორა): ტექსტები თავიანთ იდუმალებას მხოლოდ მას უმხელენ, ვისაც წმინდა საიუდუმლოებანი გულით უყვარს (და თან დათმენის უნარიც აქვს); მას უმხელენ იდუმალებას, ვინც მუდამ გულით, მთელი არსებით ეძებს სიბრძნეს და არც მაშინ იხევს უკან, როცა დღედაღამ დაკეტილ კარს მიღმა უწევს ლოდინი.

კიდევ ერთი მსგავსება წმინდა წიგნებთან: დაშიფრული, საიდუმლო სიტყვები მხოლოდ წამით ეჩვენებიან რჩეულს და ამას რჩეულისადმი სიყვარულით აკეთებენ.

ხშირად ნიშანს მაშინვე ვერ ხსნიან ხოლმე. სიყვარულით სავსე წმინდა წიგნები კი სხვა ნიშნებს უგზავნიან ადამიანს; ადამიანს, რომელმაც სისუსტე გამოიჩინა და პირველ ღვთიურ ნიშანს თვალი ვერ გაუსწორა. ახალ ნიშანს კი ამგვარი მისია ეკისრება: "წადი და უთხარი იმ სუსტ სულიერს, უკან დაბრუნდეს, დანარჩენზე მერე ვილაპარაკოთ".

როცა კარგი გულის მქონე ადამიანი ამ წესრიგს მისდევს, წმინდა წიგნები თავიანთ რჩეულს ფარდის მიღმა დაენახვებიან ხოლმე. მერე და მერე, როცა ადამიანი იწყებს სიტყვების მნიშვნელობისა და საიდუმლოებების სიღრმისეულად გაგებას, ფარდა სულ უფრო თხელდება და თხელდება. ბოლოს კი, დგება ის უცაბედი მომენტი, როცა რჩეულ კაცს წამიერად ბოლომდე გაეხსნება გონება და გული, ანუ როცა მის წინაშე ბოლომდე ჩამოიხსნება ფარდა და კაცს მოესმება ხმა: "ახლა უკვე შეგწევს ძალა, ჩემს მიერ შენთვის გამოგზავნილი ნიშნები დაინახო და ჩემში არსებული საიდუმლოება შეიცნო".

სწორედ ამ მიზეზის გამოა, რომ თითოეული ადამიანი მთელი თავისი არსებით უნდა ეცადოს, წმინდა წიგნების (თორას) გზას მიჰყვეს; მან ეს დაშიფრული ტექსტები უნდა შეიყვაროს ისევე უშურველად და უმიზეზოდ, როგორც ბიჭმა შეიყვარა ოთახში გამოკეტილი ასული".

### რამდენიმე სიტყვა თანამედროვე სიბრძნეებიდან

"გამოცდილება ის კი არ არის, რაც ჩვენ გვემართება; გამოცდილება ის არის, რასაც ჩვენ ვუკეთებთ იმას, რაც გვემართება".

*ოლდოს ჰაქსლი*

"უფრო მეტად უნდა გაღელვებდეს საკუთარი ღირსებები, ვიდრე რეპუტაცია. რადგან შენი ნამდვილი "მე" სწორედ ამ თვისებებისგან შედგება; რეპუტაცია კი მხოლოდ ის არის, რასაც სხვები ფიქრობენ შენზე".

*ჯონ ვუდენი*

"ურყევად ნათქვამი "არა" შეიძლება უფრო კეთილშობილური და ძლიერი გამოდგეს, ვიდრე "დიახ" - სხვისი სიამოვნებისთვის, ან კიდევ უარესი - სირთულის თავიდან ასაცილებლად წარმოთქმული".

*განდი*

*პაულო კოელიოს ტრილოგიის პირველი წიგნი გამოსცა "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.*

ფეხბურთი

# როგორ ჩაივლის "აიაქსის" იუბილე?

*ჩემპიონთა ლიგის A, B, C და D ჯგუფებში დღეს ბოლოსწინა ტური შედგება. აქედან გამომდინარე, ბევრი გუნდის ბედი სწორედ დღეს გადწყდება. ტურინის "იუვენტუსი", სხვებისგან განსხვავებით, სტატისტის როლშია. მან უკვე გაინაღდა ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპის საგზური და "აიაქსთან" დღევანდელ მატჩში წაგების უფლებაც აქვს. ამსტერდამელებს კი მერვედფინალში გასვლის იმედის შესანარჩუნებლად მხოლოდ გამარჯვება სჭირდებათ. თანაც, დღეს მათი იუბილეა...*

**ჯგუფი A**
**მონაკო - ლივერპული**
**ოლიმპიაკოსი - დეპორტივო**

ისევე როგორც "ლივერპულს", ჩემპიონთა ლიგის შემდეგ ეტაპზე გასვლის კარგი შანსი აქვს "მონაკოსაც". ეს გუნდები დღეს მონტეკარლოში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ამ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში ინგლისური კლუბი დროზე ადრე გაინაღდებს მერვედფინალის საგზურს, თუმცა, ეს საკმაოდ ძნელი იქნება. "ლივერპულის" წინააღმდეგ "მონაკოს" შემადგენლობაში თამაშს კვლავ შეძლებენ თავდამსხმელები ხავიერ სავიოლა და ერნესტო შევანტონი, რომლებიც აქამდე ტრავმის გამო აკლდნენ გუნდს. მსგავსი ვითარებაა "ლივერპულის" რიგებშიც. ორთვიანი ტრავმის შემდეგ გუნდს დაუბრუნდა კაპიტანი სტივენ ჟერარდი, რომელიც "მონაკოსთან" თამაშს შეძლებს. მიუხედავად ამისა, "ლივერპული" ორ ფორვარდს, მილან ბაროშს და ჯიბრილ სისეს მოისაკლისებს, რაც, უდავოდ, დიდი პრობლემაა რაფაელ ბენიტესის გუნდისთვის.

A ჯგუფის მეორე მატჩში ბერძნული "ოლიმპიაკოსი" ლა კორუნიის "დეპორტივოს" მასპინძლობს. "ლივერპულის" მსგავსად, "ოლიმპიაკოსსაც" 7 ქულა აქვს. დღეს გამარჯვების შემთხვევაში ბერძნები სენსაციას მოახდენენ და ჩემპიონთა ლიგის მომდევნო ეტაპის საგზურს ახლავე გაინაღდებენ. "დეპორტივოს" საქმე კი ცუდად არის. ხავიერ ირურეტას გუნდს მხოლოდ ორი ქულა აქვს და ჯგუფის უკანასკნელ საფეხურზეა. "ოლიმპიაკოსთან" გასვლით მატჩში გამარჯვების შემთხვევაშიც კი "დეპორტივოს" მომდევნო ეტაპზე გასვლის მხოლოდ თეორიული შანსი თუ დარჩება.

**ჯგუფი B**
**რეალი - ლევერკუზენი**
**დინამო - რომა**

B ჯგუფში უაღრესად საინტერესო ვითარება შეიქმნა. "რეალს", "ლევერკუზენსა" და კიევის "დინამოს" ქულების ერთნაირი რაოდენობა (7-7) და, აქედან გამომდინარე, შემდეგ ეტაპზე გასვლის ერთნაირი შანსი აქვთ. იტალიურ "რომას" კი მხოლოდ ერთი ქულა აქვს და უეფა-ს თასის საგზურის მოპოვების შანსიც კი მიუწვდომელია მისთვის.

მადრიდის "რეალი" დღეს ლევერკუზენის "ბაიერს" უმასპინძლებს და, ცხადია, ამ გუნდთან პირველ შეხვედრაში განცდილი მარცხისთვის (0:3) შურისძიებას შეეცდება. გარდა ამისა, სამეფო კლუბი ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში ბარსელონაში დამარცხდა და საკუთარი გულშემატკივრის წინაშე რეაბილიტაცია მართებს.

ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით, B ჯგუფის ლიდერია არა "რეალი" ან "ლევერკუზენი", არამედ კიევის "დინამო" და ეს გუნდი დღეს აუტსაიდერ "რომას" უმასპინძლებს. გამარჯვების შემთხვევაში კიეველები პირველ ადგილს შეინარჩუნებენ, თუმცა, შემდეგ ეტაპზე გასვლის გარანტიას ამ ჯგუფში ჯერ ვერავინ მოიპოვებს.



*ამსტერდამის "აიაქსი" ევროთასებზე საიუბილეო 250-ე შეხვედრას ტურინში "იუვენტუსის" წინააღმდეგ გამართავს.*

**ჯგუფი C**
**იუვენტუსი - აიაქსი**
**ბაიერნი - მაკაბი**

ჯგუფური ეტაპის დარჩენილ ორ მატჩს ტურინის "იუვენტუსისთვის" ფორმალური ხასიათი აქვს. ამ გუნდმა მერვედფინალის საგზური წინა ტურში "ბაიერნთან" გამარჯვებით უკვე გაინაღდა და პირველ ადგილს მას ველარავინ შეეცილება. "აიაქსისთვის" კი "იუვენტუსთან" დღევანდელ მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. სამი ქულით ამსტერდამელები ჯგუფში მესამე ადგილზე არიან და ტურინში დამარცხების შემთხვევაში შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსს დაკარგავენ. გარდა ამისა, დღევანდელი შეხვედრა "აიაქსისთვის" საიუბილეოა - ის 250-ე იქნება ევროტურნირებში. იუბილეს აღნიშვნა კი "აიაქსს" სტივენ პიენაარისა და მეკარე ბოგდან ლობონტის გარეშე მოუწევს. ორივე ფეხბურთელს მუხლის ტრავმა აქვს და ვერ ითამაშებენ. ტრავმა ჰქონდა ჯონი ჰეიტინგასაც, თუმცა, სავარაუდოდ, ის მაინც შეძლებს მოედანზე გასვლას.

მიუნხენის "ბაიერნი" 6 ქულით მეორე ადგილზეა და ამ პოზიციის გასამყარებლად დღეს საღამოს ტელ-ავივის "მაკაბის" დამარცხებას შეეცდება. მიუხედავად იმისა, რომ მიუნხენელები ტრავმირებულ როი მაკაის მოისაკლისებენ, "მაკაბის" დამარცხება მათ მაინც არ უნდა გაუჭირდეთ.

**ჯგუფი D**
**სპარტა - ფენერბახჩე**
**მანჩესტერი - ლიონი**

D ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გაღწევის თეორიული შანსი თურქულ "ფენერბახჩესაც" დარჩა, თუმცა, ძნელი წარმოსადგენია, რომ მეორე პოზიციაზე მყოფმა "მანჩესტერ იუნაიტედმა" ეს დაუშვას. ალექს ფერგიუსონის გუნდი დღეს ჯგუფის ლიდერ "ლიონს" უმასპინძლებს და, ცხადია, მხოლოდ სამი ქულისთვის იბრძოლებს. "ლიონს" კი დღევანდელ მატჩში დამარცხების შემთხვევაშიც გარანტირებული აქვს მერვედფინალის საგზური. გასარკვევი მხოლოდ ისღა დარჩება, თუ ვინ აღმოჩნდება საბოლოოდ პირველ ადგილზე - "ლიონი" თუ "მანჩესტერი".

ამ ჯგუფის მეორე მატჩი გაიმართება პრაღაში, სადაც აუტსაიდერი "სპარტა" "ფენერბახჩეს" უმასპინძლებს. ჩეხებს ახლა მხოლოდ ერთი ქულა აქვთ და დღევანდელ მატჩში გამარჯვების შემთხვევაში უეფა-ს თასის საგზურის მოპოვების შანსს გაიუმჯობესებენ.

ჩოგბურთი

# ფედერერმა მასტერსი მოიგო



*როჟე ფედერერმა ჰიუსტონში წელს მე-11 ტურნირი მოიგო.*

შვეიცარიელმა როჟე ფედერერმა მოიგო წლის უკანასკნელი მასტერსი, რომლის საპრიზო ფონდი 4,45 მილიონი დოლარი იყო. ამერიკის ქალაქ ჰიუსტონში ფედერერმა დაამარცხა ტურნირის ორგზის გამარჯვებული, ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი - 6:3, 6:2. აშშ-ის კორტებზე გამარჯვებისთვის ფედერერმა 1,52 მილიონი დოლარი მიიღო, ამასთან, შვეიცარიელის ხელში გადავიდა ახალი "მერსედეს-ბენცის" მარკის მანქანა.

ფინალური მატჩი დაგეგმილზე სამი საათით ადრე დაიწყო. თავისი კორექტივები ტურნირის ორგანიზატორთა გეგმებში წვიმამ შეიტანა. თუმცა, ამან ფინალის ფავორიტი როჟე ფედერერი ვერ დათრგუნა. თამაშის დაწყებიდან უკვე 27 წუთში ფედერერი - 5:2-ს იგებდა.

წვიმამ კი ფინალის მონაწილეებს კვლავ შეახსენა თავი და თამაში ამჯერად ერთი საათით შეწყდა. თუმცა, ამ იძულებითი შესვენების შემდეგაც მატჩის ხასიათი და მსვლელობა არ შეცვლილა. ათენის ოლიმპიურ თამაშებზე შვეიცარიის მედროშე დამაჯერებლად იგებდა გეიმს გეიმზე და პირველ სეტში მან ექვსი ეისის ჩაგდება მოახერხა.

მეორე სეტში ფედერერი გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა და ლეიტონ ჰიუიტი პირდაპირ წალეკა უკანა ხაზიდან უძლიერესი დარტყმებით. 4:1-ის შემდეგ შვეიცარიელმა უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვა და მატჩი ლოგიკურ გამარჯვებამდე მიიყვანა.

ამრიგად, მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ფედერერმა (ამ გამარჯვებით მან საჩემპიონო რბოლის რეიტინგისთვის კიდევ 150 ქულა მიითვალა და ჯამში 1267 ქულა დაუგროვდა) თავის მრავალრიცხოვან ტიტულებს 2004 წლის მსოფლიო ჩემპიონის წოდებაც დაუმატა.

ამ სეზონში შვეიცარიელმა ჩოგბურთელმა 11 ტურნირი მოიგო. მათ შორის "დიდი სლემის" სამი ტურნირი - ავსტრალიის ღია ჩემპიონატი, უიმბლდონი და აშშ-ის ღია ჩემპიონატი. მან 22-ჯერ დაამარცხა მეტოქეები, რომლებიც რეიტინგის პირველ ათეულში ბინადრობენ.

"ეს ჩემთვის შესანიშნავი ფინალია, - მატჩის შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადა 23 წლის გამარჯვებულმა, - სეზონი ფანტასტიკური გამოდგა, როგორც ზღაპარში. დასასვენებლად მივდივარ იმ გრძნობით, რომ ვალი პირნათლად მოვიხადე".

"ფედერერი მეტოქეს არასოდეს აძლევს უფლებას, იოლი ბურთი მოიგოს, - განმარტავს ლეიტონ ჰიუიტი, - ის უაღრესად ხისტია და სწრაფ რიტმს ინარჩუნებს. ამ კვირაში მე ცუდად არ მითამაშია. ვფიქრობდი, რომ, ერთის გარდა, ნებისმიერი ჩოგბურთელის დამარცხება შემეძლო. ეს ერთი როჟე ფედერერია".

წლევანდელ სეზონში ფედერერის საერთო საპრიზო თანხამ 6,35 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც მხოლოდ 150 ათასი დოლარით ნაკლებია ლეგენდარული ამერიკელი პიტ სამპრასის მიღწევაზე 1997 წელს.

**საჩემპიონო რბოლა:**

| | |
|---|---|
| როჟე ფედერერი (შვეიცარია) | 1267 |
| ენდი როდიკი (აშშ) | 731 |
| ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 718 |
| მარატ საფინი (რუსეთი) | 612 |
| კარლოს მოია (ესპანეთი) | 504 |
| ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) | 493 |
| გილიერმო კორია (არგენტინა) | 480 |
| ანდრე აგასი (აშშ) | 420 |
| დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 389 |
| გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 384 |

# ლუჩესკუს სამშობლოში იხმობენ

მოგეხსენებათ, გასულ ოთხშაბათს რუმინეთის ნაკრებმა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ვერ დაამარცხა სომხეთის გუნდი (1:1). ამის გამო რუმინელთა მწვრთნელი თანამდებობიდან გადადგა. მის ნაცვლად რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციას სურს, ნაკრების სათავეში დონეცკის "შახტარის" მთავარი მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ იხილოს. მას შესაბამისი წინადადება უკვე გაეგზავნა.

წინა მწვრთნელი, გამოცდილი ანგელ იორდანესკუ კი, როგორც მოგახსენეთ, ერევანში დაფიქსირებულ ფრეს შეეწირა. ამ შედეგმა რუმინეთის ნაკრები უაღრესად რთულ მდგომარეობაში ჩააგდო და, შეიძლება ითქვას, ჯგუფიდან გასვლის ყოველგვარი იმედი გადაუწურა. პირველ შესარჩევ ჯგუფში რუმინეთი საგზურის მოსაპოვებლად ებრძვის ჰოლანდიისა და ჩეხეთის ნაკრებ გუნდებს, რომლებიც დაკარგული ქულებით რუმინელებს უსწრებენ. დაკარგულის ანაზღაურება კი რუმინელებს უაღრესად გაუჭირდებათ. არადა, 2000 წლის შემდეგ რუმინეთს არც ერთ მსხვილ საფეხბურთო ფორუმში მონაწილეობა არ მიუღია. მან გამოტოვა როგორც მსოფლიოს 2002 წლის, ისე ევროპის 2004 წლის ჩემპიონატიც.

უკანასკნელ წარმატებას რუმინეთის ნაკრებმა 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე ემერიხ ენეის ხელში მიაღწია. მაშინ გუნდი მეოთხედფინალში გავიდა. ენეი 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატზეც სათავეში ედგა ნაკრებს. მაშინ გუნდმა ჯგუფიდან გასვლა მოახერხა. შეგახსენებთ, რომ რუმინეთთან ერთად ჯგუფში იყვნენ არგენტინის, საბჭოთა კავშირისა და კამერუნის ნაკრებები.

ოთხი წლის წინათ, კი ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის უკანასკნელ მატჩში, რუმინელებმა ინგლისი დაამარცხეს და ჯგუფში ჩატოვეს. მაშინ ჯგუფიდან ვერც გემანიის ნაკრები გავიდა. მეოთხედფინალში რუმინელებმა იტალიასთან წააგეს. ეს მატჩი ნაკრებში უკანასკნელი იყო რუმინული ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ფეხბურთელის გეორგე ჰაჯისთვის, რომელმაც მომავალში ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ენეი შეცვალა. ჰაჯიმ მწვრთნელის რანგში ვერაფრით გამოიჩინა თავი. არადა, ლუჩესკუს მსგავსად, ისიც ნაკრებში მიიწვიეს. ლუჩესკუს გარდა, მწვრთნელობის კანდიდატებად ვიქტორ პიცურკე და ლასლო ბოლონი განიხილებიან.

მირჩა ლუჩესკუს კი შეიძლება თამამად ეწოდოს ყველაზე წარმატებული უცხოელი მწვრთნელი დონეცკის "შახტარის" ისტორიაში. მართალია, რუმინელმა, ნევიო სკალასი არ იყოს, ვერ მოიგო უკრაინის ჩემპიონატი, მაგრამ გუნდი პირველ ადგილზეა და კიევის "დინამოს" უსწრებს. თანაც, გუნდს ჩემპიონთა ლიგაშიც შენარჩუნებული აქვს, მართალია, სიმბოლური, მაგრამ მაინც შანსი, გავიდეს მომდევნო ეტაპზე. რა თქმა უნდა, ისეთ გრანდებთან ჭიდილში, როგორებიც "მილანი" და "ბარსელონა" არიან, "შახტარს" კონკურენციის გაწევა უჭირს, მაგრამ მათ ფონზე უკრაინული კლუბი სულაც არ ითვლება საცოდავ გუნდად აღმოსავლეთ ევროპიდან. ყოველ შემთხვევაში, "სელტიკთან" - 3:0 გამარჯვება კლუბის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული წარმატებაა. ლუჩესკუ სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში გარდამავალი წარმატებით მუშაობდა იტალიურ და თურქულ კლუბებში და ყველგან კარგი რეპუტაცია ჰქონდა. რეპუტაცია მწვრთნელისა, რომელიც, დიდ გუნდებში არა, მაგრამ საკმაოდ კერკეტ კლუბებში მუშაობს, რომელთაც საკმაოდ მყარი ფინანსური მდგომარეობა აქვთ. სწორედ ასეთი კლუბების რიცხვს შეიძლება მივაკუთვნოთ დონეცკის "შახტარი".



*მირჩა ლუჩესკუს რუმინეთის ნაკრების მწვრთნელად ეპატიჟებიან.*

დათანხმდება თუ არა ლუჩესკუ რუმინეთის ნაკრების მწვრთნელობაზე - ეს კიდევ საკითხავია. დონეცკის კლუბის ხელმძღვანელობა ასეთ სპეციალისტს ასე ადვილად ვერ შეელევა, შეთავსებით მუშაობას კი რუმინეთის ფეხბურთის ფედერაცია არ დათანხმდება. "შახტარი" აგრძელებს ერთბაშად სამ ფრონტზე ბრძოლას (შაბათს დონბასელები უკრაინის თასის ნახევარფინალში გავიდნენ, როცა სიმფეროპოლის "ტავრია" გაანადგურეს). მეორე მხრივ, თუ ლუჩესკუს სამშობლოში დაბრუნების დაუოკებელი სურვილი ექნება, დონეცკის "შახტარის" პრეზიდენტს რინატ ახმეტოვს საკმარისი დრო ექნება იმისთვის, რომ გუნდს კვალიფიციური მწვრთნელი მოუძებნოს. ორი ტურის შემდეგ უკრაინის ჩემპიონატში შესვენება იწყება, ხოლო რუმინეთის ნაკრებს შესარჩევი ციკლის უახლოესი მატჩი მხოლოდ მარტში აქვს. ასე რომ, მხარეები მოასწრებენ გაერკვნენ მოულოდნელად წარმოქმნილ პრობლემებში.

თუ მირჩა ლუჩესკუ ნაკრებს მაინც ჩაიბარებს, მას არცთუ ისე სახარბიელო მემკვიდრეობა შეხვდება. უკანასკნელ წლებში რუმინეთში, უბრალოდ, არ არიან მსოფლიო კლასის ფეხბურთელები, ისეთები, როგორებიც ადრე ჰაჯი, პოპესკუ, დუმიტრესკუ, მუნტიანუ, რადუჩოიუ და სხვები იყვნენ. ახალი თაობის საუკეთესო რუმინელი ფეხბურთელი ადრიან მუტუ კი დისკვალიფიცირებულია. არადა, ათი წლის წინათ, აშშ-ის მსოფლიო ჩემპიონატზე ანგელ იორდანესკუს ხელმძღვანელობით რუმინეთის ნაკრებმა შესანიშნავი ფეხბურთი ითამაშა და მხოლოდ პენალტების სერიაში დაუთმო ნახევარფინალის საგზური შვედებს. მერვედფინალური მატჩი არგენტინასთან კი, მიუხედავად იმისა, რომ არგენტინელებს მარადონა და კანიჯა არ ჰყავდათ, ტურნირის მშვენება გახდა. ის მატჩი რუმინეთმა - 3:2 მოიგო.

ფეხბურთის გულშემატკივარს დღემდე ახსოვს ფორვარდების წყვილის - დუმიტრესკუსა (რომელმაც დებიუტშივე ორი გოლი გაიტანა) და რადუჩოიუს შესანიშნავი თამაში და გეორგე ჰაჯის ფანტასტიკური გოლი ლუის ისლასის კარში, რომელმაც რუმინეთის ნაკრებს გამარჯვება მოუტანა.

შვედებთან მატჩში კი დუბლი უკვე რადუჩოიუმ შეასრულა. რუმინელი გულშემატკივრისთვის სამწუხაროდ, ამის შემდეგ დუმიტრესკუსა და რადუჩოიუს ნაკრებში ერთად აღარ უთამაშიათ და გუნდში ჩავარდნა დაიწყო. გუნდი ინერციით მოხვდა ევროპის ჩემპიონატებზე - 1996-2000 წლებში და 1998 წლის მსოფლიო პირველობაზე, თუმცა, ვერაფრით გამოიჩინა თავი. ერთადერთი ის იყო, რომ 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე რუმინელებმა კოლექტიური აქცია მოაწყვეს - მთელმა გუნდმა თმა შეიღება. ეს ამბავი მერვედფინალში გასვლას დაუკავშირდა, მაგრამ უკვე მომდევნო მატჩში ხორვატებთან გუნდმა უაღრესად მოსაწყენი თამაში აჩვენა და დამსახურებულად დამარცხდა.

რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის შეფი მირჩა სანდუ აცხადებს, რომ რუმინეთის ნაკრების ახალი მწვრთნელის თაობაზე გადაწყვეტილებას უახლოეს დროში მიიღებენ. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მირჩა ლუჩესკუ თანამემამულეებს დადებით პასუხს შეუთვლის.

*რაგბი*

# ვისაუბროთ ნაკრებზე

პაატა თოთაძე



*მალხაზ ნაცვლიშვილი: "ამ გამარჯვებისთვის მორაგბეებმა პრემია მიიღეს..."*

გოგიტა ბაბაიას ფოტო

ქართველების მიერ რუსების დამარცხების მესამე დღეს ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელებმა რაგბის კავშირში გამართეს პრესკონფერენცია, რომელზეც, მატჩის გარდა, მისთვის მოსამზადებელ ეტაპსა და მომავალ გეგმებზე ისაუბრეს.

ნაკრების მენეჯერი მალხაზ ნაცვლიშვილი:

"ამ მატჩისთვის, შეიძლება ითქვას, ზაფხულიდან ვემზადებით, იმ დროიდან, როცა საქართველოში "ბლუ ბულზი" ჩამოვიდა. ამის მერე იყო სამხრეთამერიკული ტურნე. ამან საშუალება მოგვცა, თვალყური გვედევნებინა ნაკრების კანდიდატებისთვის, შეგვერჩია ისინი. რამდენიმე მათგანი სწორედ მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ მოხვდა ნაკრებში. საერთო ჯამში, მინდა ვთქვა, რომ მოსამზადებელმა პერიოდმა ნაყოფიერად ჩაიარა..."

"რუსეთთან თამაშის მაღალი ხარისხი ვაჩვენეთ. მათთან შეხვედრა მუდამ ძალიან მნიშვნელოვანია. ეს, ალბათ, იმის გამოც, რომ ჩვენ მეტ-ნაკლებად თანაბარი ძალის გუნდები ვართ. გარდა ამისა, ეს გამარჯვება მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ამ მატჩით ორწლიანი საკვალიფიკაციო ეტაპი დაიწყო. ბიჭები ფსიქოლოგიურად კარგად არიან განწყობილნი. ძალიან გთხოვთ, თანხას ნუ დამასახელებინებთ, მაგრამ ამ გამარჯვებისთვის მორაგბეებმა პრემია მიიღეს..."

"მინდა შევეხო ლეგიონერების საკითხს. მათთან არანაირი პრობლემა არ შეგვქმნია. უბრალოდ, კლუბებმა შემოგვითვალეს, მნიშვნელოვანი მატჩები გვაქვსო და ამჯერად თავი შევიკავეთ მათი გამოძახებისგან. გუნდში ძირითადი შემადგენლობის ოთხი მორაგბე გვაკლდა. კლუბებს უკვე გავუგზავნეთ ერთწლიანი გეგმა. ასე რომ, მათ უკვე იციან, როდის დაგვჭირდება ლეგიონერები. უშუალოდ მატჩების წინ კიდევ ერთხელ შევეხმიანებით. ერთი სიტყვით, ამ მხრივ ყველაფერი რიგზეა..."

ამის შემდეგ საუბარში ჩაებნენ ნაკრების მწვრთნელები მალხაზ ჭეიშვილი და დავით ჩავლეიშვილი:

"გვინდა, ნაკრებმა უფრო მეტად ითამაშოს ხელით. უკეთესობა ამ მხრივ არის, თუმცა, გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. ჩვენს თამაშს ეპიზოდებში ორგანიზებულობა, გუნდურობა აკლია. ეს მისახედია..."

"მეტოქე ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ. სტატიკაში, დინამიკაში ვერაფერი დაგვიპირისპირეს. ჩვენი მეორე ლელო 1.50-წუთიანი და 13-ფაზიანი შეტევეს შედეგი იყო. რუსეთის ნაკრების მწვრთნელმა იგორ მირონოვმა აღნიშნა, რომ მატჩამდე ნაკრების მოთამაშეებს ტესტები ჩაუტარეს და, როგორც აღმოჩნდა, ფიზიკურად ისინი საფრანგეთის უმაღლესი დივიზიონის მოთამაშეებზე უკეთ იყვნენ მომზადებულნი..."

"მომავალი მატჩი გველის პორტუგალიასთან, რომელთანაც, უკვე ორი წელია, ვმარცხდებით. ამ მატჩისთვის საფრანგეთში გავივლით შეკრებას და ბოლოდროინდელი უსიამო ტრადიციის დარღვევას შევეცდებით..."

*კრივი*

# ეპიზოდი მეორე იგივე სახეებით

გიგა გურასაშვილი

*უცნაურია, იყო პროფესიონალი მოკრივე, დიდ ფულზე და უმთავრეს ტიტულებზე ჩხუბობდე, კარიერისთვის ყოველ ბრძოლას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებდე და შენს წინ მდგომს, მეტოქეს, რინგზეც კი, სადაც ლამის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება, დიდ პატივს სცემდე. მეტოქეს, რომელიც იმისთვის გადის რინგზე, რომ კარგად მიგინაყოს ცხვირ-პირი, დაგალილავოს და, შესაძლოა, ისეთიც მოგცხოს, რომ წუთისოფელს გამოგასალმოს. იშვიათია, მაგრამ კვირას, გამთენიისას, სწორედ ასეთი რამ მოხდა კრივის მექაში, ლას ვეგასში, საქვეყნოდ ცნობილ კომპლექს "მენდელეი ბეის" ხალხით გადაჭედილ დარბაზში. ერთი სიტყვით, "შუგარ" შეინ მოსლი და რონალდ "ვინკი" რაითი.*

მათი პირველი მატჩი წლეულს გაიმართა. მაშინ მსაჯთა დათვლით - 117-111, 117-111 და 116-112 ვინკი რაითმა გაიმარჯვა. და აი, იგივე სახეები და იგივე არენა... ერთი სიტყვით, ეპიზოდი II.

ვინკი რაითმა (48-3, აქედან 25 ნოკაუტით) გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა. მეორედ დაამარცხა შეინ მოსლი (39-4, აქედან 35 ნოკაუტით) და ტიტული შეინარჩუნა. ახლა შეუძლია ის გააკეთოს, რაც მოეპრიანება. ვინკი რაითის ფასმა ერთიორად იმატა კრივის ბაზარზე. ანუ, სუპერნახევრად საშუალოწონოსანთა, მართლაც, თანავარსკვლავედს ვინკი რაითის ვარსკვლავიც შეემატა. მერედა, არ იკითხავთ, ვინ არიან აქ? ვინ და, ფელიქს ტრინიდადი, ოსკარ დე ლა ჰოია, ბერნარდ ჰოპკინსი! ისინი, ვინც განაგებენ თანამედროვე კრივის სამყაროს. თუმცა, სიტყვა "განაგებენ" არცთუ მთლად ზუსტია. კრივის ისტორიაში მათ უკვე თქვეს საკუთარი სიტყვა.

"ტიტო" ფელიქს ტრინიდადი ნომერ პირველია, - მოგვიანებით იტყვის რაითი. - "მაგრამ მე ოსკარს, ბერნარდ ჰოპკინსს უნდა შევებრძოლო... ვისაც გულშემატკივარი ისურვებს".

ხედავთ, რაითს უკვე ასარჩევად აქვს საქმე. მაგრამ ამგვარი უპირატესობა, ანუ კრივის ელიტაში გარევა იოლი სულაც არ ყოფილა. შეინ მოსლისთან თანაბარ ჩხუბში გამარჯვებამდე ზღვარი სულ რაღაც ორი ქულა აღმოჩნდა. ორმა მსაჯმა 115-113 რაითის სასარგებლოდ დაითვალა. ერთმა კი ვერც ერთს ვერ მიანიჭა უპირატესობა - 114-114.



*"ვინკის" მარჯვენამ საქმე გამარჯვებამდე მიიყვანა.*

მსგავსებაც ბევრი იყო ახლანდელსა და პირველ დაპირისპირებას შორის, რომელიც წლეულს, მარტში გაიმართა. სხვაობა მხოლოდ რაითის ეფექტური მარჯვენა ჯები იყო. და კიდევ ის, რომ გაზაფხულზე "ვინკი" ჯერ კიდევ WBA (ასოციაცია) WBC (საბჭოს) ვერსიებით მსოფლიო ჩემპიონ მოსლისთან აუტსაიდერად ითვლებოდა. მაგრამ ეს გაზაფხულზე იყო. ახლა პირიქით, ფავორიტი გახლდათ. მიუხედავად ამისა, ისეთი ჩხუბი იყო, თქვენი მოწონებული. ვნებათაღელვა მე-12 რაუნდის დამთავრების მაუწყებელ გონგამდე არ ჩამცხრალა. როდესაც გონგმაც დაიზრიალა, ბოლომდე არავინ იცოდა, ვის გამოაცხადებდნენ გამარჯვებულად. ორივე მოკრივესაც ასე ეგონა, რომ სწორედ ის იყო გამარჯვებული და არა მეტოქე.

"მეგონა, ჩვენ მოვიგეთ ბოლო რაუნდი. მეგონა, ჩვენ მოვიგეთ ორთაბრძოლა", - მატჩის შემდეგ იტყვის მოსლის მწვრთნელი ჯო გუსენი. ორივეს ხელები ჰქონდა აღმართული, ვიდრე რეფერიმ გაბრდღვიალებული რინგიდან სამი მსაჯის ანგარიში არ აუწყა ახმაურებულ მოსეირეებს. როდესაც რეფერიმ საკუთარი მისია დაასრულა, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, მოსლი მაინც გახარებული და თითქოს კმაყოფილიც ჩანდა.

"ჩემს გულშემატკივრებს ვაჩვენე, რომ როდესაც ვჩხუბობ, 100 პროცენტით ვიხარჯები", - საკუთარი თავით კმაყოფილება არ დაუმალავს მოსლის.

მერე ერთმანეთს გადაეხვივნენ და 12-რაუნდიანი შუღლი იქვე, რინგზე დატოვეს. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო მოსლის ჟესტი, როდესაც გამარჯვებული მხრებზე შესვა და ყველას დაანახა: შეხედეთ, ვინაა ჩემპიონიო.

რაც შეეხება ორთაბრძოლას, ტიტულებშენარჩუნებული "ვინკი" ბრძოლის ბატონ-პატრონად გვევლინებოდა მეხუთე რაუნდამდე, ვიდრე მოსლის გამოზომილმა მარჯვენამ უცაბედად არ შეარყია დომინანტი, უფრო სწორად...

მეხუთე რაუნდში რაითმა გადაწყვიტა, მეტოქე ფსიქოლოგიურად გაეტეხა და ხელები დაუშვა: ვერც ასე დამაკლებ რამესო. მოსლიმ უკან არ დაიხია და მარჯვნიდან გემრიელად უთავაზა. შემდეგ მარცხნიდან კორპუსში და ისევ მარჯვენა. მართალია, რაითმა ხურდა დაუბრუნა, მაგრამ ოვაცია და... მეხუთე რაუნდში გამარჯვება მაინც მოსლის დარჩა.

"მინდოდა მეჩვენებინა, რომ ვერაფერს დამაკლებდა. რომ შემიძლია მისი დარტყმების ატანა, მაგრამ ეს დარტყმა კი არა, მოცაცუნება უფრო იყო", - მეხუთე რაუნდის პერიპეტიებს იხსენებს რაითი.

შეიძლება ითქვას, რომ მოსლი მეტოქის კორპუსზე უფრო აკეთებდა აქცენტს, მაშინ როდესაც რაითის ჯებს მეტოქის ცხვირ-პირი ჰქონდა სამიზნეში ამოღებული. თუ რაითმა წარმატებას მიაღწია, ამას საკუთარ ჯებს უნდა უმადლოდეს.

მერე კი თქვა: "შეინის მადლიერი ვარ. ის რომ არა, დღემდე სადღაც გადასაკარგავში, დასავლეთ ვირჯინიაში უნდა მეჩხუბა".

*კალათბურთი*

# ღამის მორიგე

სანდრო ნავერიანი

მორიგი დღე, მორიგი სენსაციები და მორიგე - მე.

პირველი, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის მორიგი სათამაშო დღეა, მეორე - "სან-ანტონიო სფურზის" "ტორონტო რეფტორზთან" და "დალას მავერიქსის" "დენვერ ნაგეთსთან" მარცხი, ხოლო მესამე ვარ მე, რომელმაც მორიგი ღამე გავათენე კალათბურთის ყურებაში.

არ მითხრათ ახლა, თუ არ გინდა, ნუ უყურებ, ვინ გაძალებსო. არავინაც არ მაძალებს, მინდა და ვუყურებ, მაგრამ... ოჰ, ეს წერა... მე შენ გეტყვი, მელანში ნაწობი ბატის ფრთით პაპირუსზე ვწერდე. არა, თქვენც არ მომიკვდეთ. ბატის ფრთა კი არა, კალმისტარი და მათემატიკის 12-ფურცლიანი, მინდორგამოყოფილი და ყდაზე გამრავლებისტაბულიანი რვეულიც კი სანატრელი გამიხდა. ვზივარ კომპიუტერთან და კლავიატურას ვაწკაპუნებ. იქ შიფტიო, იქ ენთერიო, იქაც კიდევ ქაფსლოქიო.

დავიღალე.

არადა, სახლში PARKER-ის ავტოკალამიც მაქვს, ქათქათა ფურცლებიც და საწერი მაგიდაც თავისი ღამის ნათურით, მაგრამ სახლში წერა მაინც არ გამოდის. სახლში, ავტოკალმით, თეთრ, ქათქათა ფურცლებზე რომანები და ლექსები უნდა წერო, სტატიები კი - რედაქციაში, კომპიუტერთან. ჰოდა, თუ ეგრეა, რაღას ვწუწუნებ, რა მაქვს სადარდებელი. წაval სახლში, დავწერ რომანებს და ლექსებს და ვიქნები ჩემთვის, რა მენაღვლება? როგორც უკვე მოგახსენეთ, სენსაციები იყო. ჰოდა, ამ სენსაციებით დავიწყებ და ნელ-ნელა, აუღელვებლად მივყვები დანარჩენსაც.

სამი-ოთხი წლის წინ ხმები დადიოდა, კანადელებმა რა იციან კალათბურთისაო. ის კი არ იცოდნენ, რომ "ტორონტო რეფტორზი" მხოლოდ კანადური გუნდი იყო, თორემ იქ არც ერთი კანადელი კალათბურთელი არ ყოფილა.

ჰოდა, იმას მოგახსენებდით, ტორონტოში, "ეარ კანადა ცენტრში", ტორონტოელმა რეპტილიებმა "ჭეშმარიტ" ტეხასელებს (ფრანგი ტონი პარკერი, არგენტინელი მანიუ ჟინობილი და სლოვენიელი რაშო ნესტეროვიჩი) უმასპინძლეს. უკანასკნელი მეოთხედის დაწყებამდე კაცს შეიძლება ეფიქრა: აი, ძმაო, მასპინძლობაც ამას ჰქვიაო ("სან-ანტონიო სფურზი" მესამე მეოთხედის დასრულების შემდეგ 82:63 იგებდა), მაგრამ რა იციან კანადელებმა მასპინძლობის, ან, მე შენ გეტყვი, სტუმარ-მასპინძელი აქვთ წაკითხული: აიღეს და უკანასკნელი მეოთხედი 33:9 მოიგეს, მატჩი კი - 96:91. ამ კრის ბოშმა ("ტორონტო რეფტორზი") ხომ არ დაინდო არავინ და არაფერი, არავისთვის არ უკითხავს, ისე გააკეთა ოცი ქულა, თან, ორჯერ დააფარა კიდეც მეტოქეს. ასევე ოცი ქულა ჩაუყარა ტეხასელებს რაფერ ალსტონმა. ჩლიქების შემადგენლობაში ყველაზე მაგარი ჩლიქი აღმოჩნდა ტიმ დანკანი, რომელმაც 26 ქულა ჩაუწყო კალათში მეტოქეს, მაგრამ ვაი, ასეთ 26-ს, შედეგი არ არის და რად გინდა...



*22 წლის ბოშმა "სან-ანტონიოს" 20 ქულა ჩაუყარა.*

ასეა თუ ისე, რეპტილიებმა დაამარცხეს ჩლიქები.

მეორე სენსაცია კი, როგორც უკვე მოგახსენეთ, დენვერელმა ოქროს ზოდებმა მოახდინეს. "ჭეშმარიტმა" კოლორადოელებმა (კოლხი ნიკოლოზ ცქიტიშვილი, ბრაზილიელი ნენე ჰილარიო) ხომ საერთოდ არ იციან მასპინძლობა! პირველი მეოთხედი კი მოაგებინეს საწყალ დალასელ მოხეტიალეებს და მერე მიდიიი... ბურთს ბურთზე აგდებდნენ. თან ჩვენებურმაც გამოიჩინა თავი -ორი ქულა გააკეთა. "პეპსი ცენტრში" შეკრებილი გულშემატკივარი უმოწყალოდ უკრავდა ტაშს, წამითაც არ გასჩენიათ სინანულის გრძნობა დალასელების მიმართ. გრეგ ბაქნერმა ხომ სულ მთლად გადარია გულშემატკივარი - 28 ქულა გააკეთა. მოხეტიალეები კი... მართლაც რომ დახეტიალობდნენ. მთავარი მოხეტიალე, გერმანელი დირკ ნოვიცკი ყველაფერს თამაშობდა, კალათბურთის გარდა: 11 ქულა მოაგროვა და ისიც ძლივს. "ნაგეთსმა" "მავერიქსი" 110:82 დაამარცხა.

მოკლედ, რომ არ მოგატყუოთ, ეს სათამაშო დღე ბევრით არაფრით გამოირჩეოდა. უბრალოდ, იმიტომ დავიწყე წერა, რომ ჩემი ვალია. მეტი არაფერი. ჰოდა, როგორც დაწყებაა ვალდებულება, ასევე - დამთავრებაც.

| | |
|---|---|
| **ტორონტო - სან-ანტონიო** | 96:91 |
| **ბოსტონი - სიეტლი** | 102:83 |
| **დეტროიტი - შარლოტი** | 117:116 |
| **ჰიუსტონი - პორტლენდი** | 97:93 |
| **საკრამენტო - მილუოკი** | 88:79 |
| **ფენიქსი - ლ.ა. კლიპერსი** | 122:111 |
| **მაიამი - ფილადელფია** | 93:83 |
| **ნიუ-იორკი - კლივლენდი** | 98:88 |
| **დენვერი - დალასი** | 110:82 |
| **ლ.ა. ლეიკერსი - ჩიკაგო** | 102:93 |

*TV-სპორტი*

**სამშაბათი. 23 ნოემბერი**

**НТВ+ФУТБОЛ**

06:30 NBA TV. სეზონი 2001-2002. "NEW YORK KNICKS" - "LOS ANGELES CLIPPERS"
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
13:00 ინგლისის ჩემპიონატი. "ასტონ ვილა" - "ტოტენჰემი"
14:45 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:00 "წვრილმანები". უკრაინა 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე
17:15 პორტუგალიის ჩემპიონატი. "პორტუ" - "ბოავიშტა"
19:00 თავისუფალი დარტყმა
19:15 სახვალიო ტელეპროგრამა
19:25 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:25 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
21:25 "FUTBOL MUNDIAL"
21:55 "ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი"
22:25 ON-LINE ჩემპიონთა ლიგა. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები პირდაპირ ეთერში
00:45 ჩემპიონთა ლიგა. "რეალი" - "ბაიერი"
02:40 02:40-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. სეზონი 2001-2002. "SAN ANTONIO SPURS" - "SACRAMENTO KINGS"
05:30 NBA TV - დღიური

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:10 "ქრონიკა"
10:25, 15:00 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 "ორშაბათამდე მივატანთ"
11:15 "ჰოკეი-პლუს"
11:30 ჭადრაკი. რუსეთის ჩემპიონატი. სუპერფინალი
12:00 სპორტული ტანვარჯიში. შვეიცარიის დიდი პრიზი. შესვენებისას (13:00) - პრესცენტრი
15:30 ფიგურული სრიალი. დიდი პრიზი "TROPHEE ERIC BOMPARD". პირდაპირი ტრანსლაცია. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:15 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი. "MEMPHIS GRIZZLIES" - "SAN ANTONIO SPURS". შესვენებისას (19:00) - პრესცენტრი
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:15 სახვალიო ტელეპროგრამა
21:20 "ჰოკეი-პლუს"
21:35 სპორტული ცეკვები. მსოფლიო ჩემპიონატი. ლათინოამერიკული პროგრამა
22:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "მონაკო" - "ლივერპული". პირდაპირი ტრანსლაცია
00:35 ახალი ამბები
00:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. "ოლიმპიაკოსი" - "დეპორტივო"

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
11:00 ფეხბურთი - ევროგოლები
12:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. საუკეთესო მატჩები
13:00 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში
14:30 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში
15:00 ფუტზალი. მსოფლიო ჩემპიონატი ჩინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. საუკეთესო მატჩები
21:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
22:00 სნუკერი. დიდი ბრიტანეთის ღია ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა
02:00 ახალი ამბები
02:15 ნასკარის ავტორბოლები
03:15 ახალი ამბები

# ყოჩალი კაჭკაჭი, პოლიგლოტი და პატრიოტი მალხაზა

## ტელეკომპანია "იმედის" ეკრანზე



ძვირფასო მკითხველო, ხომ გახსოვთ, მალხაზა კახეთიდან რაფით რომ ჩამოვიდა, საოცრად, ადრე დაღამებულზე და სასტუმრო "კოპალას" ვერანდიდან რომ ცრემლმორეული გადაცქეროდა მისთვის და ჩვენთვის ასე საყვარელ თბილისს... დაძინებას ჯერ არ აპირებდა. ინდოეთიდან სპეციალურად ჩამოტანილ საათზე დაიხედა და ამოიოხრა: "რა გაათენებს ამხელა ღამესო" და რადგანაც ქალაქის ეს უბანი კარგად იყო განათებული, გაიფიქრა, სიონის მიდამოებს გადავხედავო. აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი მალხაზა ინდოეთის რელიგიური უმცირესობის, მართლმადიდებლური მრწამსის მიმდევარი გახლდათ. ათი-თხუთმეტი წუთი გარს უვლიდა ჩვენს დიდმნიშვნელოვან ტაძარს... გული სიამით ევსებოდა, რომ მეორე დღეს, წმინდა სამების ტაძრის კურთხევასაც დაესწრებოდა... ცოტა ხნით შარდენის ქუჩაზე შეისვენა. მოეწონა, რაც ნახა. რაღაც წინსვლასაც ვხედავო, გულში გაივლო თუ არა, უცებ ორი ახალგაზრდა მამაკაცის ხმა შემოესმა. ისინი იქვე მაგიდას მისხდომოდნენ, ლუდს წრუპავდნენ და თავიანთ მცირე ბიზნესზე საუბრობდნენ. მალხაზამ ლამის იყვირა... ორივენი მისი თანამებრძოლები იყვნენ. აფხაზეთისათვის ომში ავაზასავით მებრძოლნი, ისინიც მალხაზასავით ორ-ორჯერ დაჭრილნი, უანგარო და პატიოსანი პატრიოტები. ოლმურ ალიბეგისძე - პოეტი, მწიგნობარი და უჩა ბედურხანაშვილი - მეცნიერი, ფილოლოგი. ოლმურის ბიზნესის წყარო ყოფილა ირლანდიიდან ჩამოტანილი დიდი პამპერსები, ძირითადად, ქართველი თამადებისათვის. ახალი პარტია უკეთესია, სამ ლიტრამდე ისრუტავსო, - უმტკიცებდა მეგობარს. უჩას ბიზნესი კი საპახმელიო სალათების წარმოება ყოფილა. სიხარულთან ერთად გულისტკივილიც შეიგრძნო მალხაზამ - ეს ხალხი ხელისგულზე უნდა ატაროს ჩვენმა საქართველომ და ხედავთ, გაჭირვების გამო რაები დაუწყიათო? ცოტა ხანს სიყვარულით შესცქეროდა თანამებრძოლებს ბაია გალერეას სარკმლიდან, მერე ადგილს მოსწყდა, ოლმურის და უჩას წინ დაფრინდა და ძველებურად რიხიანად შესძახა:

- სალამი ბიჭებს, ტუფლები გვიჭერს!

ოლმური და უჩა გულში იკრავდნენ უმაგალითოდ მამაცს და საქართველოს დიდ პატრიოტს კაჭკაჭ მალხაზას. გაიგეს მალხაზას ქართული პასპორტისა და მოქალაქეობის ამბავი, ისიც, მალხაზას პრეზიდენტის მრჩევლად მოწყობა რომ სურდა, სიხარულით გადაირივნენ. აწი სულ ერთად ვიქნებითო, ჩვენთან იცხოვრებსო.

- ბევრს ახსოვს, ჩემო რაქში... უჰ, ბოდიში, ჩემო მალხაზა, შენი ვინაობა და ის გმირული თავგადასავლები, რაც წყეულ ომში გადაგხდა. მაშინდელი გაზეთი "კავკასიონი" შენს ამბებს რომ ბეჭდავდა, ყველას შენახული აქვს, - ამბობს კეთილი ოლმური.

- მოიცა, მოიცა, - თვალები მოჭუტა უჩამ, - ჩვენი მალხაზას გმირული სულისკვეთება და ამდენი ენის ცოდნა, ეს ხომ ნამდვილი სენსაციააა... მოდი, პირველ არხს მივაკითხოთ, ეთერით ყველას ვამცნოთ ეს ამბავი.

- თუ ძმა ხარ! - წარბი შეიკრა მალხაზამ, - სანამ მაგ ტელევიზიაში ყველაფერი არ "გაიასნდება", მანდ მიმსვლელი არა ვარ...

- მაშინ "იმედის" არხზე ვცადოთ. იქლაა ერთი პროგრამა, სადაც ეს იოლად მოხერხდება ინგა გრიგოლიასთან... კოლორიტი კაცი მუშაობს იქ, კოკოშა კობაიძე და ის დაგვეხმარება.

უჩას ძველი მანქანით მეგობრებმა "იმედისაკენ" გასწიეს.

- კაცს კოკოშა რომ ერქმევა და მე, ფრინველს, მალხაზა, ცოტა უცნაური არ არის? - ხუმრობის ხასიათზე დგება მეგობრების ნახვით ბედნიერი მალხაზა.

ტელეკომპანიაზე მისვლას საათზე მეტხანს მოუნდნენ.

- რა ოხრობაა ეს ამდენი მანქანა, საცობები, გამონაბოლქვი... ამ ჰაერით ხომ დაიხოცა ხალხი...

- აბა, რა იქნება. მთელ მსოფლიოში ყველა გამონაცვალი მანქანა აქ ჩამოიყვანეს. ხედავ, როგორ ხრჩოლავენ?.. შენ გაგიჭირდება, ძმაო მალხაზ, თორემ ჩვენ რას დაგვაკლებს... გამოყვანილი ხალხი ვართ.



ტელესტუდიის დერეფანში გამოფენილიყვნენ ნაცნობი და უცნობი სახეები. ყველას უნდოდა, საკუთარი თვალით ენახა ქართულად, რუსულად, ჰინდი ენაზე,



ინგლისურად, აფხაზურად და ოსურად მოლაპარაკე პოლიგლოტი, აწ უკვე საქართველოს მოქალაქე, ყოჩალი კაჭკაჭი მალხაზა.

ორიოდე წუთიც და სენსაციური შესავლით ინგა გრიგოლიამ ტელემაყურებელს წარუდგინა უცნაური ფორმის, თუთიყუშის და კაჭკაჭის ჰიბრიდი, რომელიც ჯიუტად უწოდებს თავის თავს კაჭკაჭს.

სტუდიის ტელეფონები ლამის გადაიწვა... მსოფლიოს ყოველი კუთხიდან რეკავდნენ სხვადასხვა ქვეყანაში სარჩოსათვის გადახვეწილი თანამემამულენი. მალხაზას პატრიოტული შემართებით განცვიფრებული ემიგრანტები პირობას დებდნენ, რომ მალე ოჯახებს დაუბრუნდებოდნენ.

- ვარდების რევოლუციის პირველ წლისთავს როგორი განწყობით ხვდებით? - თვალები მოწკურა, ტუჩები მობუსხა და წარბები საშიშრად აათამაშა ცნობილმა ტელეწამყვანმა.

მალხაზამ ცოტა პაუზა გააკეთა.

- ცხადია, დიდი ინტერესით... თუმცა, ერთი წლის იუბილეს ასეთი თვითკმაყოფილებით და პომპეზურობით აღნიშვნა ცოტა მეჩოთირება. გასულიყო სამი-ოთხი წელი, მერე შეგვედარებინა ერთმანეთისთვის რევოლუციამდელი და შემდეგი საქართველო და თუ საზეიმოდ მოგვეჩვენებოდა, მერე გვეზეიმა. ისე, დიდმნიშვნელოვანია ყოველი რევოლუცია. აქ რომ ვყოფილიყავი, აქტიურ მონაწილეობას მივიღებდი... მე მებრძოლი სულის გახლავართ და ასეთი ტკბილი სიმბოლიკები "ვარდების", "შროშანების", "იასამნების" - ჩემთვის ჯერჯერობით შეუცნობელია. ერთი, რაც ძალიან მომწონს, ეს არის ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცება. ქართული ჯარის წვრთნა და ეკიპირება. მომწონს თქვენს ეკრანზე ეროვნული სიძლიერის გამომხატველი კლიპების გამოჩენა. დიახ! საჭიროა რწმენა, საჭიროა იმედიანობა, ოღონდა ბევრი რამ ეტაპობრივია... თანდათანობითია... აქ ბევრი კომპონენტი მონაწილეობს.

- რას გულისხმობთ?

- ბევრ რამეს... აი, ჩვენი სიმღერები რას დაამგვანეს? ერთი დღეა, ტელევიზორს ვუყურებ და გაოცებას ვერ ვმალავ. არავითარი ცენზი, არავითარი ბარიერი. ყველა უნიჭოს შეუძლია თავისი სულელური ტექსტი უფრო სულელურ მუსიკას შეუთანხმოს და მერე უხმო და უსმენო ახალგაზრდებმა კურტუმოს ქნევით შეასრულონ, იწუწუნონ რაღაც ღალატზე და განშორებებზე... ეროტიკაზე.

წამყვანი უხერხულად იშმუშნება, თუმცა, დიდი სიყვარულით შესცქერის ინტელექტუალურ, მოლაპარაკე ფრთოსანს.

- კარგით... ესე იგი ულოცავთ ქართველ ხალხს ამ ზეიმს.

- თუ ეზეიმებათ, რატომ არ მივულოცავ? ისე, რევოლუციების ზარ-ზეიმით აღნიშვნა ვინც იცოდა, მოგეხსენებათ. ჯერ კარგად არ გავრკვეულვარ, რა მდგომარეობაა საქართველოში, როგორ ცხოვრობს ხალხი. არის თუ არა უმუშევრობის პრობლემები. ისე, ჩემო კარგო, რაც ლაგოდეხიდან თბილისამდე ვიხილე, ნამდვილად არ მაყენებს ზეიმის ხასიათზე.



- მოდით, საზეიმო განწყობილებას ნუ გავუფუჭებთ ამ ხალხს, ჩვენს მრავალრიცხოვან ტელემაყურებელს...

- ბოდიში, გაწყვეტინებთ... ის ვნახე გუშინ თქვენს არხზე... ჰო, "კექსი ქალაქში", - და მალხაზამ თავშეკავებით ჩაიცინა, - აი, თუ ზეიმი გინდათ, უყურეთ ამ გადაცემას და იზეიმეთ! მაინც, საზღვარგარეთული პროექტია, თუ აქვე გამოიგონეს?

- ბატონო მალხაზ, - აწყვეტინებს წამყვანი, - თუ შეიძლება, გვითხარით თქვენი მოღვაწეობის, შემდეგი მიზნების შესახებ თქვენს მეორე სამშობლოში, საქართველოში...

- არ ვიცი... მინდა ჯარშიც ვიმსახურო და მინდა პრეზიდენტის მრჩეველიც ვიყო. ბევრ შემთხვევით ადამიანს ვხედავ ზედა ეშელონებში, რაც ცუდ ხასიათზე მაყენებს. მე არავის დავინდობ, ყველას გამოვააშკარავებ, არავის ვაჩხრიალებინებ კაკლის მაგიერ ბამბას...

მალე დაემშვიდობა მალხაზა ტელემაყურებლებს, იქვე გამოაღებინა ტელეოპერატორს სარკმელი და ყველას თვალწინ სტუდიიდან გაფრინდა.

იმ ღამეს ინგას ძილი გაუკრთა... ეჰ, სადაა სრულყოფილება... რა იქნებოდა, ან მე ვყოფილიყავი კაჭკაჭი და ან მალხაზა თავისი ასაკის ვაჟიო (მალხაზა 33 წლისა გახლავთ!).

მეორე დღეს უჩამ და ოლმურმა ბეჭზე შემომჯდარი მალხაზა რუსთაველზე ჩამოატარეს.

- მალხაზას სიცოცხლე.

- მალხაზას გაუმარჯოს.

- მალხაზას ჩვენი სალამი.

ისმოდა აქეთ-იქიდან.

მალხაზა, გულზე ფრთამიდებული, ღიმილით უქნევდა ყველას ნისკარტს. ერთ ღამეში იგი საქვეყნოდ პოპულარული და საყვარელი მოქალაქე გამხდარა! მალხაზა ქალაქის მერიის წინ გამართულ ტრიბუნაზე დაფრინდა. ის იყო სიმღერას მორჩა ცნობილი სოპრანო. მალხაზამ მიკროფონი შეამოწმა, ნისკარტი დაჰკრა.

- ჯერ სხვა ნომერია, ეს რა ხდება, - ისტერიკები დაემართა ცერემონმაისტერს, რეჟისორ ვარსიმაშვილს, რომელსაც გვერდით მდგარმა რაღაც ჩასჩურჩულა ყურში. ისიც დაცხრა, გაისუსა...

- ბატონებო... - სამჯერ გაიმეორა მალხაზამ, ხმაურმა, შეძახილებმა იკლო, - ბატონებო, აი, მე თქვენთან ვარ. ინდოეთის შუანაწილიდან ათასობით კილომეტრი გამოვიარე და თქვენამდე ჩამოვაღწიე. სიხარული და სინანული ერთად ბრუნავს ჩემს სულში, ჩემს ფიქრში, ჩემს გონებაში... მაგონდება დიდი მოღვაწე, არსენ აბულმაისის ძე, მისი შეძახილი მშობლიური ხალხისადმი: - "გიხაროდენ ერნო ქართლისანნო, რამეთუ არავისზე უმრწმეს გყო შენ ღმერთმა"! მსოფლიოს ათ ქვეყანაში მაინც ვყოფილვარ და ქართველი კაცისნაირი არც ცუდი და არც კარგი არსად შემხვედრია... არც ისეთი მშვენება, როგორიც ქართველი ქალია (და ჰოი, საოცრებავ! მალხაზას თვალწინ ინგა გრიგოლიას სახებამ გაიელვა!!!). დიახ... აფხაზეთის ომის სავალალო შედეგის შემდეგ, ინდოეთისკენ მიმავალი ბევრს ვფიქრობდი, რა მოხდა აფხაზეთში. ჩვენს უნიათობას დაემატა რუსეთის ის ავი პოლიტიკა, რომელიც ერეკლე ნაზარალი ხანის ვაჟმა პეტრე პირველმა შექმნა - ტყუილის და გაცურების პოლიტიკა! - რომელიც 150 წელია, წარმატებით გრძელდება რუსთა მიერ. ვინ წაგვართვა აფხაზეთი და სამაჩაბლო? ვინ გვიბორკავს დღეს ხელ-ფეხს? - დავფიქრდეთ ამაზე, ძვირფასებო! ვინ არის კოკოითი? არძინბა? - აქვე ვიტყვი, მომწონს პრეზიდენტის ცხოველმყოფელური შემართება ქვეყნის გამთლიანების თვალსაზრისით. ამიტომ ვაპირებ მის მრჩევლად მუშაობას, მის გვერდით დგომას და ერის საქმეების კეთებას! - და მალხაზამ თავგანწირულად დაიწყო სიმღერა.

- სამშობლოვ, სამშობლოვ, შენი დიდების დღე დგება!..

მოამზადა
***დავით ანანაურმა***

# დღევანდელი როლისთვის კარგად ვარ მომზადებული

B1 გვერდიდან

- ჩვენი ურთიერთობები საქმიანია. არ მინდა, რომელიმე სახელმწიფო ვიზიტზე ტურისტად წავიდე, ამის დრო ნამდვილად არ მაქვს. ამიტომაც არ წავედი ირანში, თუმცა იქ ნამყოფი არ ვარ და ძალიან მაინტერესებს. ვიზიტისას ჩემთვის საინტერესოა საქმიანი, შინაარსიანი შეხვედრები პირველ ლედისთან, ქართველებთან, ჰუმანიტარულ სპონსორებთან, არასამთავრობოებთან, რათა ეს ყველაფერი საქართველოსთვის სასარგებლო გამოდგეს. ყველასთან მეხერხება ურთიერთობა - პრეზიდენტებთან, პედაგოგებთან, დამლაგებლებთან...

**- თქვენთვის აქამდე უცნობი რა შტრიხი შეიძინეთ?**

- ყოველთვის ვცდილობ, ვიყო უშუალო და ხალხი დამელაპარაკოს. დაცვა მყავს, მაგრამ ხალხი ქუჩაში ხშირად მოდის ჩემთან - ან თხოვნას გადმომცემენ, ან უბრალოდ გადამკოცნიან, ან ყვავილებს მომართმევენ. რაც უნდა მეჩქარებოდეს, 1-2 წუთით დალაპარაკებას ყოველთვის ვახერხებ. ვცდილობ, ვიყო უშუალო და ბუნებრივი. შეიძლება, ადამიანისთვის მნიშვნელოვანია პირველ ლედისთან შეხვედრა და ვცდილობ, ყოველი ასეთი შეხვედრა რაღაცით უნიკალური იყოს. ადრე არ მქონდა ეს თვისება.

**- თქვენს ყოველ ნაბიჯს, გამოხედვას, ღიმილს, ჩაცმის სტილს უფრო ფართო თვალებით უყურებენ, ვიდრე ოდესმე, ამას გრძნობთ?**

- დიახ და ხშირად პოზიტიურად. უფრო მეტ ყურადღებას ვაქცევ ჩაცმულობას. ვცდილობ, დავრჩე ისეთი, როგორიც ვარ.

**- საქართველოში ქალები უფრო მეტად არიან შებოჭილნი სოციალური ვალდებულებებით, მეთანხმებით?**

- საქართველოში ნამდვილად მძიმე ტვირთი აქვთ ქალბატონებს, მაგრამ კარგად ართმევენ თავს. ყველას ჯანმრთელობას, გამრავლებასა და სიძლიერეს ვუსურვებ. ხანდახან მინდა, რომ ქართველი ქალი უფრო მეტად სპორტული იყოს. მე თვითონ ვარ ცხოვრების ჯანმრთელი სტილის მომხრე. მინდა, რომ ქალებს საკუთარი თავის წინაშე მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდეთ - ეს მათი ცხოვრებაა. თუ ოდნავი საშუალება გაქვს, ოჯახი უნდა დააზღვიო, შეიძლება, ენა და კომპიუტერი ისწავლო... ამას, უბრალოდ, სერიოზული მიდგომა უნდა, თორემ ამისთვის უამრავი საშუალებები არსებობს. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება ენის მცოდნე მეზობელი გყავდეს, ან დეიდა იყოს მასწავლებელი, ეს ხომ ქართული რეალობაა?!

**- თქვენი აზრით, როგორ უნდა დააღწიონ ქალებმა თავი არჩევანს მაღალ შემოსავალსა და დიასახლისობას შორის?**

- ყველა ქალი ბუნებით დიასახლისია, მეც ასე ვარ. როცა სახლში მივდივარ, ჯერ ვალაგებ, ჭურჭელს ვრეცხავ, მეც ვდებ ყვავილს ვაზაში, მეც ვცვლი ტუალეტის ქაღალდს, გამაქვს ნაგავი - ზრუნვა სისუფთავეზე და ბავშვებზე ყველა ქალში ზის.

მაგრამ, თუ ქალს მუშაობის საშუალება აქვს, ძალზე მნიშვნელოვანია, საზოგადოებაში რაიმე როლი შეასრულოს. ამისთვის აუცილებელი არ არის ბანკში ან საელჩოში მუშაობა. შეიძლება მოხალისეც იყოს, ან სკოლაში დამხმარე პედაგოგად წავიდეს, ან საკუთარ ჰობის - პოეზიას, დიზაინს მიუძღვნას დრო... ქალმა თავად უნდა აირჩიოს მისთვის სასურველი კომბინაცია. ქალი ჰარმონიულად უნდა გრძნობდეს თავს. ბრძანეთ, მშვიდი აურა გაქვსო - ვცდილობ, ჩემი ჰარმონია არ დავარღვიო. მინდა, ვიზრუნო ოჯახზე, ფონდზე და თან მინდა, ჩემი პატარა გატაცებები მქონდეს.

**- და ამ ჰარმონიას ვერც ისეთ ადამიანი არღვევს, როგორიც მიშა სააკაშვილია?**

- წარმოიდგინეთ, არ არღვევს. ეს სიმშვიდე შიგნიდან მოდის და ჩემს ბედნიერ ბავშვობას ვუკავშირებ. მქონდა ჯანსაღი გარემო, განათლების ყოველგვარი საშუალებები. ეს კარგ საფუძველს ქმნის მთელი ცხოვრებისთვის.

**- ძლიერი ქალების კატეგორიას მიეკუთვნებით?**

- რა თქმა უნდა, მეც ვნერვიულობ, ან რაიმეზე ვბრაზობ, მაგრამ რადგან შინაგანი ჰარმონია ვიპოვე, ამის გადატანა არ მიჭირს. საბედნიეროდ, ჯერ ძალიან ცუდი რამ, პირადი ტრაგედია არ მომხდარა.

**- ერთი წლის წინანდელი მოვლენები საკმაოდ დიდი განსაცდელი იყო და არა მხოლოდ თქვენთვის...**



სერგო ედიშერაშვილის ფოტო

*ქალბატონი სანდრა პოლიტიკური აქტივობით არ გამოირჩევა, სამაგიეროდ, აქტიურ საქველმოქმედო საქმიანობას ეწევა და ამას იქამდეც აკეთებდა, ვიდრე სტატუსი დაავალებდა.*

- რა თქმა უნდა, მაგრამ, საბედნიეროდ, კარგად დამთავრდა. შემიძლია რთული პერიოდების გადატანა. საკუთარ თავს მუდმივად ვესაუბრები. როცა საღამოს ბავშვს სძინავს და მიშა ჯერ სახლში არ არის, ვზივარ და განვლილ დღეს ვავლებ თვალს. თუ ხვალინდელი დღე არ დავგეგმე და განვლილი არ გავაანალიზე, ჩემი ჰარმონია ირღვევა. არიან ქალები, რომელთაც მარტოობა არ შეუძლიათ. მეც მიყვარს ხალხთან, მეგობრებთან ყოფნა, მაგრამ ძალიან მჭირდება საკუთარი დრო - ვრთავ ჯაზს, ან კლასიკას და ვართ მე, ჩემი გეგმები და ოცნებები.

**- რა იყო ქართველთა ხასიათის ის სირთულე, რომლის გადალახვაც ყველაზე მეტად გაგიჭირდათ?**

- ბავშვი წლის არ იყო, როცა ჩამოვედი და ავად გახდა. რადიკალური გადაწყვეტილება მიიღეს და მაშინვე ანტიბიოტიკები და ნემსები გაუკეთეს. დიდი ბებიაც, მამამთილიც ექიმები იყვნენ და ბავშვს ვინ მიმაკარებდა?! პირველი ზამთარი განსაკუთრებით გამიჭირდა. ჩემს ბავშვს ახლაც ხშირად აწუხებს დისბაქტერიოზი, რომელსაც მაშინდელ მიდგომას ვაბრალებ. ახლა ამის გამოსწორება შეიძლება სპორტით, კვებით - ბიჭია და მოძლიერდება. თუმცა, ქართველების უფრო პოზიტიური თვისებები მახსენდება. კარგი თვისებაა, როდესაც გინდა, ადამიანს რამენაირად აჩვენო, რომ არ გიჭირს. ოჯახში სუფრა იშლება და არავინ იცის, რა გაიყიდა ამის გამო, ან რა ვალი აიღეს. ძალიან პოზიტიურია ის, რომ მეგობრობა და ერთგულებაა მთავარი, მაგრამ ამას მეორე მხარეც აქვს - ამასობაში, სკვერები, სადარბაზოები მოუვლელია, ნაგვიანია. თუმცა, ვამჩნევ, რომ გამონაკლის შემთხვევებში ეს სწორდება, მაგრამ ძირითადად თავის ოჯახსა და გარეგნულობაზე ზრუნავენ.

ეს თვისებები ხანდახან არარაციონალურია, პრიორიტებებია სხვანაირი. მაგრამ, როცა ჰოლანდიაში ჩავდივარ, მეუბნებიან - როგორ გაქართველებულხარო... რა მნიშვნელობა აქვს, რა სუფრა დევს მაგიდაზე, ან რატომ უნდა იყოს ორი თეფში და ორი ჭიქაო? რა ვქნა, აქ მივეჩვიე. მაგალითად, უსაფრთხოების ღვედებს ჰოლანდიაში სულ ვიკეთებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამაჯარიმებენ. აქ კი ქამრის გადაჭერა მძღოლისთვის უნდობლობის გამოცხადება მგონია და მეც, ისევე როგორც ის მძღოლი, იმ პატარა ხატის იმედზე ვარ, რომელიც აუცილებლად აქვს მანქანაში.

**- ჰოლანდიაში ძალიან უყვართ დედოფალი და ქვეყნის დედად მიაჩნიათ. რა დამოკიდებულება აქვს დედოფალს უბრალოა დამიანებთან?**

- ძალიან ძლიერი დედოფალია, კარგი ოჯახის დედაა და ძალიან კარგი შვილები ჰყავს.

ცნება "უბრალო ჰოლანდიელები" - პირობითია, რადგან მინისტრებიც დადიან ველოსიპედებით და მეტროთიც მგზავრობენ. არავინ იცნობს პრემიერის, ან მერის მეუღლეს, კონტაქტი უშუალოა. რა თქმა უნდა, დედოფალს თავისი პროტოკოლი აქვს. მაგრამ ვიცი, რომ ინფორმირებული ადამიანია. შეიძლება, სიტყვით წელიწადში ერთხელ გამოვიდეს, მაგრამ დედოფლის ოჯახი აქტიურად არის ჩართული საზოგადოებრივ პროცესებში. ჰოლანდია განვითარებული ქვეყანაა, საქმეები კარგად მიდის. ამ ბოლო დროს იყო მკვლელობა, ანტიისლამური ქმედებები და ეს დედოფალს ძალიან აწუხებს. დარწმუნებული ვარ, გააკეთებს განცხადებას, რათა ხალხი დაამშვიდოს. რა თქმა უნდა, იქაც არის იმიგრაციის, დისკრიმინაციის პრობლემები, მაგრამ როცა ქვეყანა დალაგებულია, ხელმძღვანელის მიმართ დადებითად არიან განწყობილნი.

**- ამ ბოლო დროს პრეზიდენტის პარტიის რეგიონულ ორგანიზაციებში სკანდალებია, რატომ?**

- პოლიტიკაში არ ვერევი, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველა მთავრობაში არ უნდა გადავიდეს. უნდა იყოს ჯანმრთელი ოპოზიცია, სხვადასხვა პარტიები, რომელთაც სხვადასხვა პროგრამები აქვთ. ხალხმა ამ პროგრამებით უნდა შეაფასოს მათი მოღვაწეობა და არა პიროვნებებით და დაპირისპირებებით. ეს არ არის ახლოს დემოკრატიულ პროცესებთან. ჰოლანდიას 400 წელი დასჭირდა დემოკრატიის ასაშენებლად, აქ დემოკრატია ახალია და ამას აშენება უნდა.

**- ეს თქვენი ჰოლანდიური თვისებაა, რომ პრეზიდენტის დედა უფრო ჩანს ტელევიზორში, ვიდრე თქვენ?**

- ვფიქრობ, რომ საკმაოდ ხშირად ვჩანვარ. მირჩევნია, რეგიონებში, ოჯახებში პირადად ვიყო ხშირად, ვიდრე პირველი არხის, ან "რუსთავი 2"-ის ეთერის მეშვეობით.

## ფოტოგალერეა



*ათვლის წერტილი.*

*ავტორი: ვახო ბესელია.*

## TV პროგრამა

*23 ნოემბერი*

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეღიპუცები" **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** თამაში "ყველაზე ჭკვიანი" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "შეყვარებული ქალები" **13.30** მხ. ფილმი "სიყვარულის ფორმულა" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** "ტელეღიპუცები" **18.20** "რობოტი და რობოტუნა" **18.55** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **19.45** პატრული **19.55** სერიალი "შეყვარებული ქალები" **22.00** საფეხბურთო მიმოხილვა **22.45** ჩემპიონთა ლიგა. "რეალი"-"ლევერკუზენი" **02.20** პატრული

### TV5

**06.00, 08.00,** 09.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.15, 20.00, 24.00,** 02.20(შვეიცარია), 02.50(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **06.30** დ დიზაინი. დოლჩე გაბანა. 2004-2005 შემოდგომა-ზამთარი. მამაკაცების ტანსაცმელი. **08.30** ტელედილა. **09.05** ზანგური მუსიკის ისტორია. ჯაზის აპოგეა. **10.30** აფრიკის სტადიონებზე. **15.30** გატაცება კინო. **16.30** გადაცემა: აქტუალური თემა. **18.30** კითხვები ჩემპიონისთვის. ტელეთამაში. **23.00** იყო ჩეჩნეთი. დოკ. ფილმი. რეჟისორი ნინო კირთაძე.2002.

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **09.30** "გიორგობა" - ტრანსლაცია სამების ტაძრიდან **10.00** "იმღერე რამე" **15.00, 20.00, 23.00** მოამბე **15.20** "ანშლაგი" - "ბაგრატიონები" 1-ლი ნ. **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.05** დოკ. სერიალი "დიზაინი" **16.30** ისტორიანი **17.00** ფესტივალი "ჩვენებურები" (ტრანსლაცია ფილარმონიიდან) **19.00** 9 აპრილის მემორიალის გახსნა **20.10** საზეიმო კონცერტი (მერია) **21.05** სერიალი "ზღვის რაჯა" **22.00** ქიმერიონი - ფოტოგრაფები **00.00** მხ. ფილმი "თემო"

### კავკასია

**14.00** ქართული მუსიკა **16.00** "საქმე და ეკონომიკა" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** სერიალი "მილედი" **19.20** სპექტრი **21.30** მხ. ფილმი "საზღვაო თავგადასავალი" (გ) **00.30** ქართული მუსიკა

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ტელეჟურნალი "მოდა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "სინიორ ვიანელო" **10.30** სერიალი "ვუპი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** პუბლ. გადაცემა "პატრიოტთა თამაშები". ვ. მჟავანაძე **13.05** სერიალი "პოლიციელი ქალები" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "ტაიმსლოტი" **16.05** სერიალი "მარია ემილია" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** სერიალი "პოლიციელი ქალები" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **19.50** "ჯეოსტარი" შესარჩევი ტური **20.45** სერიალი "სინიორ ვიანელო" **21.15** სერიალი "ვუპი" **21.45** კრიმინ. დრამა "სთშ: დანაშაულის ადგილი ლას ვეგასი" **22.45** "არჩევანის ზღვარზე" **00.00** მხ. ფილმი "მაქსი და იერემია" (18) (ფილიპ ნუარე)

### მეორე არხი

**19.00** საბ. სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **19.25** სერიალი "მკვლელობათა ძიების განყოფილება" **20.15** "იმღერე რამე" **20.45** ბასტი-ბუბუ **21.00** დოკ. ფილმი "ცენტრალური სადაზვერვო კომპანია" **21.55** ლერერის შოუ **22.35** მხ. ფილმი "სპირალი" (გ) 1-ლი ს.

**18.00** მხ. ფილმი "იესო" (გ) **19.50** დოკ. ფილმი **20.50** კონცერტი **22.10** მხ. ფილმი "მეწამული მდინარეები" (15)

### იმედი

**07.00** ქრონიკა **07.40** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **08.30** "იმედის" დილა - "დუბლიორი" **09.25** ქრონიკა - ტრანსლაცია სამების ტაძრიდან **15.00, 16.00, 17.00, 18.00, 19.00, 02.05** ქრონიკა **15.30** ვაკაჭი-ნიუსი **16.30, 02.15** ტვ-მარკეტი **16.45, 02.45** იმედის მელოდიები **17.30** სპ. პროგრამა "გოლი" **18.30** ა. ცქვიტინიძე, მოსკოვი - გაზაფხული-ზაფხული 2005 **23.00** სერიალი "კექსი დიდ ქალაქში" **23.25** ქართ. მხ. ფილმი "გიორგობის თვე" **01.10** სერიალი "ნეშ ბრიჯესი" **02.55** "გოლი - სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი)

### აჭარა

**09.00, 23.30** საინფ. დაიჯესტი **09.20, 13.50** ფოლკლორი **10.05, 11.45, 13.40, 15.45** "მზე აქ შემიჩერებია" **10.10** პანტომიმის თეატრი "სტუმარ-მასპინძელი" **10.55** ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტის სტუდენტთა სადიპლომო ნამუშევრები **11.05** "ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა" **11.30, 14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **11.55, 13.25, 14.45, 15.30** ხელოვნების ინსტ. სტუდენტთა სადიპლომო ნამუშევრები **12.10** ფრაგმენტები ნ.მემანიშვილის კონცერტიდან 1-ლი ნ. **12.50** "მაჭახელი" **14.00** "სამშობლოს სადარაჯოზე" **15.00** "გენერალი დე გოლი" **15.55** სპექტაკლი "კავკასიური ცარცის წრე" **17.50** სპექტაკლი "კავკასიური ცარცის წრე" **18.30** საინფ. გამოშვება "ნოვოსტი" **18.50** სპექტაკლის გაგრძელება **19.15, 20.20, 22.10, 23.20** ხელოვნების ინსტ. სტუდენტთა სადიპლომო ნამუშევრები **19.30** საინფ. გამოშვების ანონსი **19.35** "იალაღობა აჭარაში" **20.05** ფრაგმენტები ნ.მემანიშვილის კონცერტიდან მე-2ნ. **21.00** სუხიშვილების პროექტი "ასა" **22.25** "სარფი- მოლენი" **23.45** მხ. ფილმი "მამაცი გული"

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **13.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** ვიპ-შოუ **21.00** ქართული ესტრადის ვარსკვლავები **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეგდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** "კენო" **23.00** დებატები 202-ზე

### ОРТ

06.00 **"Доброе утро"** 09.00, 12.00, 15.00, 18.00 **Новости**. 09.20, 21.30 **Сериал** "ДЕТИ АРБАТА". 10.30, 19.00 **Сериал** "КЛОН". 11.30 **"Шутка за шуткой"**. 12.20 **Сериал** "ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 13.20 **Дисней-клуб: "Новые приключения Винни Пуха"**. 13.40 **Николай Еременко-младший в боевике** "УДАР ЛОТОСА" 15.20 **"Угадай мелодию"** 15.50 **Юозас Будрайтис в сериале** "ЛИТОВСКИЙ ТРАНЗИТ". 17.00 **"Пять вечеров". Вторник**. 18.20 **"Пан или пропал". Поединок с Николаем Фоменко**. 19.50 **Сериал** "УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 21.00, 23.30 **Время**. 22.40 **Кремль-9. "Маршал Ворошилов. Свидетель и обвиняемый"**. 23.50 **"Фабрика звезд"**. 00.10 **"Звезды эфира". Эльдар Рязанов**. 00.40 **"Подорожник"**. 01.10 **Тимоти Далтон в комедии** "КРАСАВИЦА И ЧУДОВИЩЕ". 03.05 **Сериал** "ПРИКЛЮЧЕНИЯ МОЛОДОГО ИНДИАНЫ ДЖОНСА". 04.50 **Док. сериал "История живописи сестры Венди"**.

### НТВ

06.00 **"Сегодня"** 09.05 **Сериал** "МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 00.45 **"Сегодня"** 10.20 **Криминальная Россия**. 10.50 **"Стресс". Ток-шоу** 11.55 **Сериал** "ТОЛЬКО ТЫ...". 13.30 **Детективный сериал** "ПОЛИЦЕЙСКИЙ КЭТТС И ЕГО СОБАКА". 14.30 **"По ту сторону войны". Фильм Алексея Поборцева**. 15.35 **Чрезвычайное происшествие**. 16.20 **Ток-шоу "Принцип домино"**. 17.25 **Сериал** "РОКИРОВКА". 18.35 **Чрезвычайное происшествие**. 19.40 **Сериал** "ТОЛЬКО ТЫ...". 20.50 **"По ту сторону войны". Фильм Алексея Поборцева**. **2-я с.** 22.00 **"Страна и мир"** 22.35 **Футбол. Лига чемпионов.** "ДИНАМО" (Украина) - "РОМА" (Италия). 01.00 **"Футбольный клуб"** 02.25 **Бильярд**. 03.15 **Сериал "Дикий мир. Борьба за выживание: Мадагаскар"** 04.10 **Сериал** "ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА". 04.55 **Сериал** "МОРСКАЯ ПОЛИЦИЯ: СПЕЦОТДЕЛ". 05.40 **Чрезвычайное происшествие.**




# პაპარაცი, როგორც სიკვდილის მიზეზი

სიტყვა "პაპარაციდან" უკვე დიდი ხანია, ჰოლივუდელებმა ახალი ტერმინი - "სთოქერაცი" გამოიგონეს. ის ინგლისური სიტყვიდან a stalker-დან მომდინარეობს, რაც დაჟინებულ მდევარს, ავადმყოფურად აკიდებულ ადამიანს ნიშნავს. ჰოდა, გუშინ ლეონარდო დი კაპრიომ "ბი ბი სი"-ს განუცხადა, რომ ამ "სთოქერაცების" დაჟინებული დევნა ვარსკვლავების გამოსაჭერად, შეიძლება, ერთხელაც ვინმეს სიკვდილით დამთავრდეს.

"თითქმის ყველა მეზიზღება... როგორმე უნდა გამოვნახო გზა მათთან საბრძოლველად, სანამ კანონს შემოიღებდნენ. ნეტა, ოდესმე თუ მოხდება ისე, რომ მათ ფეხის ხმას აღარ გავიგებ ზურგს უკან. ნეტა, ოდესმე თუ დადგება ის დღე, როცა "სთოქერაცები" სიცოცხლეს აღარ გამიმწარებენ", - აცხადებს ის და დასძენს, რომ პრობლემას საკუთარი თავისა და კოლეგების გამო აუცილებლად უნდა მიხედოს, თორემ ერთ მშვენიერ დღესაც შეიძლება ამ განუწყვეტელ დევნას ფატალური დასასრული ჰქონდეს.



აღელვებული მსახიობის აზრს მისი აგენტი კენ სანშაინიც ავითარებს და აცხადებს, რომ სიტუაცია უკვე დიდი ხანია, კონტროლს აღარ ექვემდებარება.

"ლეონარდო გულისხმობდა ადამიანებს, რომლებიც ვარსკვლავებს განუწყვეტლივ უკან დასდევენ, ხანდახან მანქანებსაც უვარდებიან, საავარიო სიტუაციებს ქმნიან და ამას აკეთებენ მხოლოდ იმ მიზეზით, რომ როგორმე ღირებული ფოტო მოიპოვონ... ამიტომაც ვშიშობთ, რომ შეიძლება, ერთ დღესაც პრინცესა დაიანას ტრაგიკული ინციდენტი ლოს ანჯელესში განმეორდეს".

1999 წლიდან კალიფორნიაში მოქმედებს კანონი, რომლის მიხედვითაც ფოტოგრაფებს ეკრძალებათ კერძო ტერიტორიებზე ვარსკვლავების ფოტოების გადაღება. თუმცა, ეს საქმეს არ შველის. დი კაპრიოს გარდა აბეზარი ფოტოგრაფები ჯასტინ ტიმბერლეიკს, არონლდ შვარცენეგერს, ალეკ ბოლდვინს, ჯორჯ ქლუნის და კიდევ ბევრ სხვას აწუხებს. დღეს უკვე შტატის გუბერნატორი შვარცენეგერი ისეთ შემთხვევასაც იხსენებს, როცა უკან ადევნებული ფოტოგრაფის გამო იძულებული გახდა, კინაღამ ავარია მოეხდინა და მანქანა გზიდან გადაეყვანა. მაშინ მანქანაში მას შვილებიც ჰყავდა.




## განცხადება

შპს "ცაგო" აცხადებს ლიკვიდაციას. დაინტერესებულ პირებს, გთხოვთ, მოგვმართოთ 10 დღის განმავლობაში მისამართზე: თბილისი, აბაშიძის 8, ტელეფონი 94-25-74 ვლადიმერ გაწერელია.

**საქ.კანონი მეწარმეთა შესახებ 14.2**




თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.